ვახტანგ
ჭანკოტაძე

ქალი

ქალი
ქალის
ქალის
ქალმა
ქალის გამო
ქალო
ქალით
ქალური
ქალად
ქალისგან
ქალი და რა ქალი
ქალისთვის
ქალისკენ
ქალოშა
ქალივ
ქალი
ქალ
ქ

ვახტანგ ჭანკოტაძე

ქაღლი

გორი-თბილისი
2020 წ.

წიგნი ეძღვნება ყველა იმ გოგონას,
ქალიშვილს, ქალბატონს, ვისაც ვიცნობდი და
ვიცნობ და ვინც მიცნობდა
და მიცნობს.

რედაქტორი აკაკი ბიძინაშვილი

კორექტორი ირინე ჭანკოტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა შ. მურადაშვილი

ილუსტრაციები გ. კუსრაშვილი
ვ. ვანიშვილი
ნ. ჟოჟუაშვილი
ბ. ზუბაშვილი

ბევრი რამ თქმულა ქალის ფენომენზე. მოვიყვან ქართველ დიდოსტატთა რამდენიმე გამონათქვამს.

კონსტანტინე გამსახურდია



— თუ ქალის გულის მონადირება გინდა, მომეტებული ყურადღება არ უნდა მიაქციო.

— ქალს სწორედ იმ დროს უნდა წაავლო ხელი, როცა ჭოჭმანს იწყებს.

ვახტანგ მეექვსე

— კარგი ქალი თავის ქმრისთვის
სიკვდილს თავსა არ არიდებს.



დავით გურამიშვილი

— ნამუსიანად მქცეველი ქალი,
არს მარგალიტი, ძვირფასი თვალი.

ილია ჭავჭავაძე

— დედაკაცი ბურჯი იყო ჩვენი მამულის.

აკაკი წერეთელი

ქალი მამას ქმარში გასცვლის,
ქვრივი ცოლი სხვას გაჰყვება,
მაგრამ დედას შვილის ტრფობა
სამარეში თან ჩაჰყვება.

ვაჟა-ფშაველა

— ლამაზად შვილის გამზრდელი,
დედა მიცვნია ღმერთადა.
— შვილების მღერა რომ ესმის,
დედის სიცოცხლე ტკბილია.
— დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

ანდაზებიდან

— დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ დააკავებსო.
— დედის პირი რომ იწყევლება, ძუძუები ილოცებიანო.

წინათქმა

ბავშვობიდანვე ისეთი სულისკვეთებისა და ყოფის ატმოსფეროში ვიზრდებოდი, სადაც ქალისადმი პატივისცემა, ქალის გაღმერთება, ქალის გამო თავგანწირვისთვის მზადყოფნა ყველა მამაკაცისათვის უპირველეს მოვალეობად იყო განსაზღვრული.

დღესაც ჩამესმის მამაჩემის სიტყვები (1940–1950 წ.წ.): „...შვილო, კარგად დაიმახსოვრე ის, რომ მამაკაცი ამქვეყანას მოევლინა ქალის სასიყვარულოდ, ქალის პატივსაცემად და ხელის გულზე სატარებლად, იმისათვის, რომ მას ცივი ნიავიც კი არ მიეკაროს. ქალს ისეთი რაიმე უნდა შესთავაზო, რომ გაოცებისგან თავბრუ დაეხვეს და აღტაცებაში მოვიდეს. ქალს უყვარს უცნაური და მოულოდნელი სიურპრიზები; იცოდე, რომ მამაკაცი დაბადებულია ქალის სათაყვანებლად, მისი სურვილების შესასრულებლად...“

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში (პირველი 10–12 წლის გამოკლებით) მუდმივად მშურდა (ახლაც მშურს) მხატვრების, კომპოზიტორების, მწერლების, მოქანდაკეების, ფილოსოფოსების, პოეტებისა და ხელოვნებისა და კულტურის სხვა სფეროების დიდოსტატებისა, რომლებმაც თავისი ნიჭისა და მონდომების წყალობით შესძლეს შეექმნათ და სამუდამოდ შემოენარჩუნებუნათ კაცობრიობის ისტორიაში ისეთი ქალების მხატვრული სახეები, როგორებიც იყვნენ: თამარ მეფე, ქეთევან წამებული, ოთარაანთ ქვრივი, შუშანიკი, მაია წყნეთელი, მედეა, ელენე, ჟანა დარკი, კარმენი, ზოია რუხაძე, თინა იოსებიძე, ტეტჩერი, ვანგა, დედა ტერეზა, ინდირა განდი და მრავალი სხვა.

ყველა მათგანს ღრმად გამოხატული მეობა ჰქონდა, ყველას თავისი რწმენა და ხასიათი გააჩნდა, ერთმანეთს არ ჰგავდნენ არც გარეგნულად და არც შინაგანი სამყაროთი, თუმცა ერთი საერთო ჰქონდათ — ისინი ქალები იყვნენ და თავისი ეროგულებით, თავგანწირვით, სიყვარულით, სიბრძნით და სიმტკიცით, თავისუფლებისკენ სწრაფვით და წარმოიდგინეთ — შურისძიებითაც კი დაიმკვიდრეს მნიშვნელოვანი და უკვდავი ადგილი მსოფლიოს ხალხთა ისტორიაში.

მათი სახელები უკვდავჰყვეს ზემოთჩამოთვლილმა პროფესიონალმა ხელოვანებმა, რომელთა ოსტატობის დღესაც მშურს, რამეთუ მე ღმერთმა არ დამაჯილდოვა იმ ნიჭით და უნარით, რომ შემექმნა ქალის გამადმერთებელი, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოსახვედრი შედევრი.

თუმცა, გულს არ ვიტეხ, რადგანაც ჩემი სიცოცხლის განმავლობაში უყურადღებოდ არ ვტოვებდი ქალთა წარმომადგენლობას და ვცდილობდი რაიმეთი და როგორმე თაყვანი მეცა მათთვის, ამოვდგომოდი მხარში, შემექო, გამენებივრებინა, მაქსიმალურად გამეთვალისწინებუნა მათი სურვილები და არ მომეკლო ყურადღება.

წიგნი რომ შეიქმნა — ოდნავ დავმშვიდდი; მეჩვენება, რომ ნაწილობრივ მაინც მოვიხადე ჩემი კაცური ვალი ქალთა სამყაროს წინაშე.

დაე, მკითხველმა განსაჯოს.

ავტორი

ჟანა დარკი

* * *

ქალის ხატს გულით ვატარებ,
მეუღლეა თუ დობილი.
„ცივ ნიავს არ მივაკარებ“,
რადგან კაცად ვარ შობილი.

ფინიშს გადავწვდი ფიქრებით,
ცოტაღა დამრჩა ხვალისად,
ვიყავი, ვარ და ვიქნები
მაღმერთებელი ქალისა.

სალაღობო

ვეტრფი ღვინოს, ქეიფს, ქალებს,
იუმორს და კაფიას,
ახლობლებში სამეგობროს,
სახელებში — ნათიას.

მიყვარს დოლი, საზანდარი,
ზურნა, თარი, დაირა,
ვერ ვირწმუნე, ვერ შევძელი
ყოფნა მე სხვანაირად.

საბედისწერო როლი

ნეტავ სიტკბოთი აივსებოდეთ,
ცოლისთვის ქმარი, ქმრისთვის კი ცოლი
და არასოდეს არ გღირსებოდეთ,
შვილებმომკვდარი მშობლების როლი.

გაიმეტე კოცნა

რატომ აღარ მეკარები,
შეპარებით მპარავ წუთებს,
მარწყვის ტუჩებს ვეტანები,
ეგ თვალები სულს ცეცხლს უნთებს.

გაუფრთხილდი ახიზ ვნებებს,
სხვა ინებებს შენთვის მოცლას?!
შენზე ლოცვად ვხატავ ედემს —
გაიმეტე, გოგო, კოცნა.

ჯანდაბისკენ გზა ჰქონია!

მიყვარს ჩემი ცაც და მიწაც,
მთებს შეხედე — რა ფონია?!
ესე ლტოლვა არ სწამს ვისაც,
ჯანდაბისკენ გზა ჰქონია.

ჩვენი მხიბლავს მე სიმღერა,
რა რიტმი და რა ტონია?!
ვისაც ყურს სჭრის ღბერთის ბგერა,
ჯანდაბისკენ გზა ჰქონია.

ნორჩ ქალწულებს დააკვირდი
და ირწმუნე ჰარმონია,
ვინც არ იცის რაა კვირტი,
ჯანდაბისკენ გზა ჰქონია.

სენტიმენტალურ ნოტაზე

ვერ გაგიბედე მაშინ,
საოქმელი ჩემთან დარჩა,
მსურდა ყვავილად გაშლილს
შემოგხვეოდი ფარჩად.

მიახლოვდება ბოლო,
მიკაკუნებენ კარზე,
შენს სითბოს ველი მხოლოდ,
არასდროს მსურდა სხვა მზე.

ტყეში

გოგო ვნახე მოხვეულში
გატვრენილი გნოლივით,
ღმერთმა იცის ორივ გულში,
ტრფობა ბრწყინავს ბროლივით.

დაიჭირა თავი განზე,
წარბი მაღლა შეხარა,
სიტყვის გდება სცადა ბანზე,
რას ელოდა, ნეტავ, რას?

მოვიარეთ ტყე და ველი,
მთვარე გვეჯდა გუშაგად,
მოგვეძალა ვნება მწველი,
ხავსი გვეგო ქვეშაგად.

წარბს აღარ ხრის — ჩემდა წილად,
იცინის და კისკისებს,
გავუყევით ბილიკს წვყილად,
ჩემი სახლის ჭიშკრისკენ.

თამარ ციციშვილი

მედეა ჯაფარიძე
(მხ./ფ. „ქეთო და კოტე)

გელი

სად გიპოვო,
სად გეძებო,
საით, რომელ კუთხეში,
დღეს ვთქვი შენი
სადღეგრძელო,
ვიგრძენ მცირე ნუგეში.
იქნებ მაშინ
მე ვტყუოდი,
იქნებ მართლაც ვცდებოდი,
შენ ჩემ ნათქვამს
ვერ გუობდი,
ეკალივით ხვდებოდი.
დრო გავიდა,
დრომ თავისი
საქმე გარჯით აკეთა,
არც ჩემი ხარ
და არც სხვისი,
კვლავ შორსა ხარ აქედან.
დაშორება
იქნებ კმარა,
იქნებ გული გაითბე,
ასე უნდოდ
რამ გაგვყარა,
საით შენ და საით მე.



მოვიარე
მინდორ-ველი,
მომენატრა შენი ხმა,
გელოდი და
კვლავაც გელი
გულდაჭრილი შენი ყმა.

* * *

ვიღაცამ თქვა ლაღად, ღიად,
(წამიკითხავს — მახსოვს ასე):
„ქალი ყველა ლამაზია,
გამხდარი, თუ ხორცით სავსე“.
მე კი ახლა ყველას ვუხმობ,
არ შეფასდეს ქალი თალხში,
შაოსანი (გწამდეთ) უფრო,
უფრო მეტად მოგვდის თვალში.
ვფიქრობ მისმენს, ვისაც ვვედრი,
ზეცას ნდობით ვაპყრობ თვალებს,
მაინც იმას ვინატრებდი —
არ ჩაეცვათ შავი ქალებს.

ხაბაზი

ჯერ კიდევ სძინავთ
გიჟმაჟ ბეღურებს,
ვნებას უღვიძებს
ტუჩები მარწყვის,
ცომიც და ცოლიც
ელის მეპურეს,
გარეთ კი წვიმს და
როგორღაც არც წვიმს.
ტრფობაში ჩაფლო
ძალა და ღონე,
ცეცხლად დაენთო
მოიმკო რთველი,
მერე ლავაში ჩამოხსნა თონეს,
ძუს სხეულივით
რბილი და ცხელი.

ჯულიეტა (მსახიობი ოლივია ჰასი)

მარჯორი უორდროპი
(ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი)

დედა

დავემშვიდობე, მივატოვე
გიჟმაჟი სუფრა,
სულ სხვა ნაბიჯით გავუყევი
სახლისკენ ბილიკს,
კბილის ღრჭიალით ძლივს ვაკავებ
ბობოქარ სუნთქვას,
სუსტ ნამს საცაა ააორთქლებს
სხივთკონა დილის.

გადაეცრიცა სოფლის ხედი
დეკემბრის მთვარეს,
მშობლიურ მხარეს დარი უდგას
იღბლად და ბედად,
მოძაწვა სევდა, ვინ გამიღებს
ნეტავი კარებს?
თვალებს გადაღლილს კვლავ მომაპყრობს
მოხუცი დედა.

„გთხოვ მაპატიო, ამჯერადაც,
ძვირფასო დედავ“ –
ცრემლშემშრალს ვხედავ – არ ჰქონია
სიმშვიდის ღამე,
და მერამდენედ ვინანიებ,
სათქმელსა ვბედავ:
ნეტავ დედაზე უტკბილესი
არსებობს რამე?!

სხვას ნუ შემადრი

სულ არა მსურს
გალაკტიონს,
ან გრიშაშვილს მადარო,
სხვას ვუმღერი
მე ალიონს,
სხვა საავდროს, სადაროს.

ოცნებად მაქვს
ჩემი ლექსი,
მხოლოდ შენთვის ცოცხლობდეს,
არაერთგზის,
მორიდებით,
იწვოდეს და მორცხვობდეს.

პაემანი თუ?

გაჩერებასთან შეჩერდა,
გოგონა ქერათმიანი,
მოშვილდულ ტანს უშშვენებდა,
სამოსი კოპლებიანი.

ყველა სვლაგეზის ტრანსპორტმა,
აქ „ჩაიშუხლა“ დროებით,
მაგრამ გოგონა კვლავ იდგა,
ხის ჩრდილში, განმარტოებით.

საათს გახედა კოშკურზე
(კარგად რომ ჩანდა გზიდანაც),
მერე წავიდა იქითკენ,
მოვიდა რომელ მხრიდანაც.

კარმენი

მაია წყნეთელი
(ამავე სახელწოდების
ფილმში.
მსახიობი ლ. აბაშიძე)

მეულლეს

ყვავილთაგან ყველა როდი მოგწონდა,
უფრო მეტად გიზიდავდა შროშანი,
შენ იყავი მაშინ ჩემთვის ჯოკონდა...
სამწუხაროდ, ახლა ის დრო შორს არის.

ყინვამ ბევრჯერ შეაყინა ხეს ტანი,
ძველებურად აღარ ჰყვავის მოცხარიც,
შენ იყავი მაშინ ჩემთვის ნესტანი,
სამწუხაროდ, ის დრო კვლავაც შორს არის.

გავიარეთ ცხრაკლიტული, ცხრაკარი,
ვერ გვჯობნიდა ცაში ვერა ფრთოსანი,
თვალწინ მიდგა ყველა ტკბილი ზღაპარი
და ბინდამდე არცთუ ისე შორს არის.

(2008)

ბიჭავ

წყაროს ბილიკზე ვდგებოდი,
საღამო ხანი ხდებოდა,
გზად რომ არ შემფეთებოდი,
კოკაც არ გამიტყდებოდა.

* * *

მგონი ვიყავი წლისა თექვსმეტის,
გოგო მომწონდა შველისთვალება,
მოხუცებულს კი მხოლოდ ის მეთქმის:
ხშირად უყვარდა ჩემი წვალება.

მემალებოდა ხან იქ და ხან აქ,
ოქროსფერ თმებში იწნავდა სიოს,
მკერდით არხევდა ჩითის თხელ ხალათს,
ტუჩნი უგავდა გაპენტილ პიონს.

ვეძებდით ერთურთს, ვხარობდით ერთად,
შევციცინებდით ცისფერ განთიადს,
მოვიტაცე და დავისვი ღმერთად,
ტრფობის სანთელი კვლავაც ანთია.

თუმცა, მარადჟამს ვეღარ ვივალებთ,
მომავალს ვუცქერთ იმედის ხათრით,
ახლა ერთ-ერთი თუ „დავიმალეთ“
ძებნასაც აღარ ექნება აზრი.

* * *

ტანწერწეტა, ქორფა ლიზას,
კვლავ აძლევენ ორმაგ ვიზას.

* * *

გაემგზავრა მაროკოში,
თან წაიღო მარომ კოში.

შარლოტა ბრონტე

ესმერალდა
(მსახიობი ჯინა
ლოლობრიჯიდა)

კურტიზანი

კურტიზანული, შფოთით სავსე ყოფისა სწამდა,
კურტიზანულით, არსაშურით, იცხოვრა წესით,
მაღალ წრეებში შამპანიურს ფაქიზად სვამდა...
ასეთი ჰქონდა თანყოლილი გენი და ფესვი.

მიესვლებოდა სუყველასთან — ვისთანაც სურდა,
კაბინეტებში დროს უომობდნენ, პატივსა სცემდნენ,
უამრავ რამეს ავალებდნენ — ურთულესს თუნდაც,
ზოგჯერ ანდობდნენ ქვეყნისა და საკუთარ სვე–ბედს.

მამაკაცების შინაგანი სამყაროს მცოდნე,
ალერსით, ძღვენით, ცრუ შექებით ყელამდე სავსე,
დაატარებდა საიდუმლო ამბებს და ცნობებს,
მძლე ჩინოსნების სარეცლიდან სარეცელამდე.

გეშავდნენ, წვრთნიდნენ, ასწავლიდნენ ხრიკებს ათასგვარს,
უხვად უხდიდნენ გასამრჯელოდ ოქრო–ვერცხლს, ფულსაც,
ეფერებოდნენ – საიდუმლო ვინძლო არსად სთქვას,
ის კი უძღები ჟინ–სიხარბით ავსებდა ფუთას.

მრავალ შევერცხლილს, ყოვლისშემძლეს გაუობო ძვლები,
ბევრს შეახსენა სიჭაბუკის ჟინი და ვნება,
თამამდებოდა, ნებივრობდა, ტკბებოდა ქებით,
ნაძრახ ცხოვრებით გატანჯული ეძებდა შვებას.

და როცა სცადა გასცდენოდა „აკრძალულ ხაზებს“,
მავანთა რისხვა თავს დაატყდა, როგორც ლეშს სვავი...
უმტყუნა ალღომ, ბედისწერამ... და ბოლო გზაზე,
ყალბი ტრაურით აცილებდა ორი, თუ სამი.

ამა ქვეყნისა ძლიერნი და საჭეთმმართველნი,
სხვათა თვალთაგან დაფარულად, თუმცა კი ნებით,
სიბნელის ფარქვეშ მიდიოდნენ უცხო სახელით
და იზრდებოდა იმ საფლავზე ყვავილთა მთები.

მამაკაცებს

ხუროს, ხარატს, მიწის მომვლელს,
პედაგოგებს, ოერძებს, დენდებს,
მსახიობებს, პოეტ–მგოსნებს,
ცოლშვილიანთ, ყოფით კენტებს, —
ნუ მოაკლებთ მანდილოსნებს
ყვავილებს და კომპლიმენტებს.

* * *

იები,
კვირტები,
სიო და სურნელი,
გაზაფხულია,
სიყვარულს ვუმღერი.
ია ხარ,
კვირტი ხარ,
სიო ხარ ს

სანატრელი გაგვხდომია
კაბიანი ქალი

ისტორიულს შევაქციეთ ზურგი,
უკუვაგდეთ ადათი და ჩვევა,
„უცხო ხილი“ მოგვაჩეჩეს თუკი,
წარსულისგან არაფერი რჩება.

მოდამ ბევრი თავსატეხი, წყენა
მოგვიტანა — დავივიწყეთ ძველი,
ქალწულებმა წაიბილწეს ენა,
კდემას ურცხვად აუქნიეს ხელი.

მოიშიშვლეს ბარძაყებიც, ჭიპიც,
შიში არ აქვთ მოყინავს თუ მოთოვს,
უცხოელი მოდელების ჯიბრით,
მალე ალბათ მიიდებენ ფოთოლს.

სანატრელი გაგვხდომია ქალი,
ნიავი რომ აუფოფრავს კაბას,
მზეჭაბუკებს თვალს შეავლებს მალვით,
„გასაცნობად“ არ დატოვებს საბაბს.

კნეინა

ქურქი მოირგო — მოეძალა მელანქოლია
როცა გაიგო — უკეთესი მელას ჰქონია.

ანა ლუიზ ჟერმენ დე
სტალ-ჰოლშტაინი

კლეოპატრა

გზაზე

ჩუმათელეთს გავცდი მზიანს,
გზაზე მდგარებს ვკიდე თვალი,
ნაცნობების უგრძეს სიას,
შეემატა ერთი ქალიც.

არ დამტოვა თავთან მარტოდ,
გზაც დამოკლდა ასე გრძელი,
მასთან ყოფნას დღესაც ვნატრობ,
მის დანახვას კვლავაც ველი.

ვნება სიჭაბუკისა

ვივიწყებ, მაგრამ ვით დავივიწყო,
ვნება ყრმობისა — მომდები ალის,
მკერდი გულისთვის მიჩანდა ვიწროდ,
თეძოს რხევით რომ მხიბლავდა ქალი.

იდინა უკვე წყალმა რამდენმა,
ახლა ის ქალი სად არის ნეტავ?
დრომ მოგონება როდი განდევნა,
მეც ოცნებასთან ჭიდილსა ვბედავ.

აკვიატება სჩვევია ყველას,
მეც, ჭაღაროსანს ეს სენი მძალავს
და ბავშვობის იმ ცეცხლოვან ვნებას,
სულის სიღრმეში ფაქიზად ვმალავ.

* * *

ვიწრო ქუჩით მინარნარებს
ტანწერწეტა ქალი,
ეშმაკის გზას მიგაბარებს,
თუ მოგტაცა თვალი.

არ დამიმალო...

ვარდსაც მოგიკრეფ, იასაც,
არას შევიმჩნევ წყენას,
სავალ ბილიკზე ფიანდაზს,
გაგიფენ ფენა-ფენად.

სხვას არ გავხედავ, არა მსურს...
შენსკენ მომირბის თვალი
და აფეთქებულ გაზაფხულს,
კვლავ ვხვდები შენით მთვრალი.

ჟამი გავლიე მოზარდის,
გამიჭაღარდა დედა,
ჭერი მიხარე, მობრძანდი,
თილისმადა და ბედად.

მომაკვლევინე წყურვილი,
ვარსკვლავნი ერთად ვთვალოთ
და შენი ჩუმი სურვილიც,
იქნებ გამანდო, ქალო.

ხმა იმქვეყნიდან

არ მომყოლია ჯავრი მსტოვრების,
შეუპოვარი ვიყავ ვაცივით,
ერთხელ ვიცოცხლე კაცურ ცხოვრებით
და ართხელ მოვკვდი კაცურ კაცივით.

დაბადების დღე მქონდა მაისში,
სიკვდილის დღესაც არ ვთვლიდი ბოლოდ,
ერთხელ მოვწყვიტე ედელვაისი,
რადგანაც ერთხელ მიყვარდა მხოლოდ.

გაღვიძებული იმედი

გათეთრდა წლები
ქუჩაში შევხვდით,
განვაგდე (შენ თქვი) –
წყენა და დარდი,
ვინა თქვას ფარდი
ამჯერად შენთვის?!
მე ნდომა შერთვის
მდევს, როგორც ლანდი!!
მერე კი წელზე
მომხვიე ხელი,
საპოსი თხელი
სრუტავდა სითბოს,
მიყუჩდა თითქოს
ტკივილი ძველი,
გული კვლავ გელის,
სიყვარულს ითხოვს.

სამაია

წმინდა ნინო

ნათელს უკრთობს, ბრწყინვალებით,
ზეცის მნათებს,
ივერო გვმართებს უკვდავყოფა
ვაზის ჯვარის,
ნატვრის დარით უკვდავების
იმედს ბადებს,
ოხვრის ბადე შეგვიცვალა
ტაძრის კარით.

თამარ მეფე

თამარს ვაღმერთებთ, გონებით ფრთამალს,
აშორა მთა-ბარს მოწამვლა გესლით,
მონაგარს გვესმის შორეთის გამა,
არჩინა რამაც ქართველთა ფესვი,
როდისღა ვკვნესით – დიდება გვნამავს,
იმედის გზამალს მივყვებით ზესვლით.

ქეთევან დედოფალი (წამებული)

ქრისტეს ჯვარისთვის აწამეს, მოკლეს,
ერის გულს, ბოდბეს,
გადასწვდნენ კვალით,
თავ-მკერდი ქალის მიუგდეს ორბებს,
ეტკინათ ობლებს, ატირდნენ თვალნი.
ვაგლახ, აკუწეს ერთგული რწმენის,
ასეულ წლების ვერ ჩაკლეს ფიცი,
ნატანჯი მიწის ბედკრული მცველი,
ივერთა გენი სანთლებად იწვის.

დალალები

სიყვარულმა ამიტაცა, ცას მაწვია გამალებით;
განა ნებით?! – გაზაფხულის გულმხურვალე „დავალებით“,
დავალ ბედით ბედნიერი, გავიშალე დალალები,
გალაღებით შუქს მაფრქვევენ მზის რითმები და ლალები.

რას იტყვის მეზობლის გოგო

მეზობლის გოგო გიჟმაჟი,
წყაროა კლდიდან ნადენი,
რის ბიჭი ვარ, ან რის ვაჟი,
თუ არ ვთქვი გულში ნადები?!

დამიპყრო, დამიმორჩილა...
(ჭკუას როდისღა ვისწავლი),
როგორც უცოდველ ქორჭილას,
პირი სავსე მაქვს ზღვის წყალით.

სანატრელს ელის სიტყვას თქმულს
(რა მორცხვი ვარ და რა ზრდილი!),
რა ვქნა, ვერ ვუმხელ სიყვარულს,
რა ვქნა, ერთად ვართ გაზრდილნი.

წითელლოყება ვითარცა
მწიფე ნაყოფი ეზოს ბლის,
სხვა გოგომ თუ მომიტაცა,
რას იტყვის გოგო მეზობლის?!



ფრანცუაზა საგანი

ქეთრინ ვივიანი

ცეცხლივით მწველი იყავი მაშინ

თუ გახსოვს ის დღე
საოცრად თბილი,
ბუჩქების ჩრდილი
გვფარავდა მაშინ,
მერე, მზის თავშლით
ჩავყევით ბილიკს,
ნაბიჯით ფრთხილით
ჩავსხედით ნავში.

ვისხედით წყვილად,
მდუმარედ, დიდხანს
(მე ახლაც მხიბლავს
არენა რთული),
არ მახსოვს, თუ ვინ
ეძებდა სიტყვას,
და კოცნით ითქვა
სათქმელი გულის.

მას შემდეგ ბევრი
გავიდა წელი,
გახუნდა ველი,
ბზარი მაქვს ხმაში,
ტკბილ ხსოვნას არ ვშლი –
ახლა ვარ მოქმელი...
ცეცხლივით მწველი
იყავი მაშინ.

პოლარიზაცია

გადავიწერე პირჯვარი,
სული გამითბეს ლოცვებმა,
გამისამოთხეს სიზმარი,
ყინწვისის ანგელოზებმა...

შევუჩნდი მეზობელის ქალს,
სული წარმტაცა ცდუნებამ,
გამაკრეს ჯოჯოხეთის გზას,
ეშმაკის მოციქულებმა.

ნატვრის მორევში

იქნება ჯობდა დაგეთმო ცოტა,
შვებას მომგვრიდა ალერსი შენი,
ყველა ჩვენგანი რაღაცას ცოდავს —
უმადურობა არავის შვენის.

სარმა გამომდე, მე, ეროგულ მონას,
მკერდი გამიპე ისრებით მაშინ,
როცა შენ გულში ვცდილობდი ყოფნას,
როცა მზე მედგა სიკეთის კვალში.

იქნება ჯობდა დაგეთმო ცოტა,
მაღლამდგომარედ არ გეგრძნო თავი,
მაინც მოგელი, არ მიმძიმს მოცდა,
ნატვრის მორევში დავცურავ ნავით.

წითელლოყება კახელო გოგოვ!

კვლავ მებუტები ბავშვივით,
მექეც უძლეველ გოდოლად,
თურაშაული ვაშლივით,
წითელლოყება გოგონავ!

სანამ ლომგულობს ეს გული
და სხვას არ ვეძებ თვალებით,
გიყვარდე შენი ერთგული,
ნუ მომკლავ ჩუმი წვალებით.

უსიყვარულოდ სიცოცხლე არ ღირს

ზღვაში თევზების სიმრავლე მომწონს,
გულდაგულ ვითვლი ვარსკვლავებს ცაში,
ბებიას ვეტრფი, ბუხართან რომ ქსოვს,
ნაბახუსევზე მიზიდავს ხაში.

არ მოვკლავ ირემს, დატოტვილრქიანს,
კაცს არ დავწიხლავ მიწაზე გართხმულს,
არ მივაყენებ სხვის რწმენას ზიანს,
მძულს, ჟარგონებით ვინცა სვრის ქართულს.

უპირველესი მუსიკა ჩემთვის,
მუდამ იქნება ჭრიალი აკვნის,
ვამაყობ, რადგან ხმამაღა მეთქმის:
„უსიყვარულოდ სიცოცხლე არ ღირს“.

ჟორჟ სანდი

მარგარიტ ტეტჩერი

ნუ დამივიწყებ

შენს დანახვას ისე ველი,
როგორც ცისფერ განთიადს
(უკვდავების ძალას მმატებს
მარადიულ ფენიქსის),
გული შენთვის ძველებურად
სიყვარულით ანთია,
არ მჩვევია ღალატი
ძველი თქმის და ძველი გზის.

ახლა, როცა თმებს ჭაღარა
მოეფინა თოვლივით,
როცა სულით და სხეულით
ვეკუთვნი შენს მეტოქეს
(ვეღარა ვფრენ არწივივით,
შენც აღარ ხარ გნოლივით),
ერთსა გთხოვ: ნუ დამივიწყებ
შენი სულის მეხოტბეს.

დაგეძებდი სიბნელეში

ხის კენწეროზე შემოჯდა მთვარე,
შემიმსუბუქდა ფიქრი ტიალი,
იმედით ველი — თუ რომელ მხარეს,
მისწვდება მისი მკრთალი ციალი.

გამახვილებით ვაცეცებ თვალებს,
ბედის ბორბალის მტანჯავს ტრიალი,
იქნება გამცეს პასუხი მთვარემ:
სად არის ჩემი გულის ტრფიალი.

უშენობა მაწუხებს

შემეფეთე შველივით
ორღობეში მიმავალს,
ჩემ თვალთაგან მიმალვას
მუდამ რატომ ცდილობდი?!
დავალ გულში ჭრილობით,
მემდურები მითხარ რას,
სავალ გზებს რად მითარსავ
ეკლიანი ჭილობით?!

უშენობა მიჭირს და
უშენობა მაწუხებს,
სევდის მძიმე მარწუხებს
თავს ვერ ვაღწევ ადვილად,
არა ვნატრობ (ნამდვილად)
შენს გარეშე სხვა წუთებს,
გულს ნუ დამინაჭუჭებ,
დარს ნუ მიქცევ ავ დილად.

იქნებ სძლიო ავსულებს
(უდროოდ ნუ ბინდდები),
თუ კი დამეწინდები,
სხვა არარა მჭირდება,
ბედი შვებას მპირდება,
მეც მალე დავღვინდები,
ჩემს ბაღნარში შინდების
კვირტი აყვავილდება.

იავარღა შემორჩები...

მოვიარე ეზოები, უბნები,
უძღები მკლავს შენთან ყოფნის წადილი,
ამ დილით კვლავ უარს რად მეუბნები –
უვნები ვარ, ვით ფარფატი მანდილის.

განა გშვენის – გამუდმებით ავდრობდე?!
ამდრომდე გთხოვ – შეირგე, რაც შენია,
გშველის რა, თუ შემომისევ ავ ორბებს –
შარს მოგდებ, სხვა მეტი რა დამრჩენია?!

იცი, მეც მაქვს მოთმინების ფიალა –
იარას ნუ გადაქექავ ასმაგად...
ასაკმა თუ უქმად ჩაიგრიალა,
იავარღა შემორჩები ცას ლამაზს.

ბიჭავ, მალხაზო

მზემ ჩაიმუხლა მთის იქით –
მშვიდი დღე იდგა ბედობის,
წყაროს ბილიკზე ვდგებოდი,
შენც მოდიოდი ქვემოდან,

კოკა არ გამიტყდებოდა,
წინ რომ არ შემფეთებოდი,
ღმერთმა გაკურთხოს ნეფობით,
მეც ნატვრა ამიხდებოდა!



ლესია უკრაინკა

ინდირა განდი

ბიჭო, სად დამეკარგე

თუ შარშანდელ თოვლივით,
ისევ გაუჩინარდი,
რაღად ძინდა მოვლილი
ბაღი — ვარდით, ჩინარით?

ნუ გექნება იმედი,
ჩუმი, ნაზი, ტრფობისა,
კოცნის, თუნდაც „იმ ერთის“,
და ბავშვური ნდობისა.

დავიღალე, აღარ მსურს,
მოუთმენლად გელოდე,
მოვითოკავ ამაყ სულს,
გამარჯვების ლელოდე.

აღარ ჩავქრები

დამათრობელი ღიმილი შენი,
მიზიდავს, როგორც ტკბილი „ხვანჭკარა“,
ტანის ნარნარი – ო, როგორ გშვენის,
დრო კი ულმობლად მიჰქრის ჩქარჩქარა.

ვაი, თუ ვეღარ მოვასწრო ნების,
ტრფობის გამხელა, აელვარება,
დავბორიალებ უაფრო გემით,
ცრემლები მახრჩობს უწყვეტ ღვარებად.

ვნატრობ, ღიმილი შემომანათო,
ქარმაც მოჭიმოს, იქნებ — აფრები,
და გეფიცები, რომ მე არასდროს,
რომ აღარასდროს აღარ ჩავქრები.

დაგვიანებული სინანული

არ გიჯერებდი,
არ მიჯერებდი
და ვერც ფერებით
გავათბეთ კერა,
ფერად სიზმრებში, –
ლაღი ჭენებით
აკი ვნებებიც
ცხრებოდა ვერა.

ახლა ჭაღარა
შემომერია –
შენც ხომ, ფერიავ,
დაღმართი გითრევს,
მითხრეს – სიმები
ვეღარ მღერიან
და ნაღველიანს
მიჰყვები ფიქრებს.

ვნანობ, შეგეძლო
გულთა ფაბულა,
თუნდაც ფარულად
გექცია ვარდად,
დავძლევდით მარდად
წრიულ მარულას,
ტრიუმფალურად
დავწევდით ფარდას.

მედიცინის და

დუღს ცა და მიწა, გათიშულა კაცის გონება,
ფეთქდება ჭურვი, წივის ტყვია, იღვრება სისხლი,
თვალსაწიერი სასაკლაო თუ გეგონება,
შუადღეა და ჩამობნელდა კაცთაკვლის ნისლით.

კვნესის მებრძოლი, შველას ითხოვს დაჭრილი ფეხში,
არ გაუმართლა წინგაჭრილს და მარჯვენააწვდილს,
პატარა გოგო, საიდანღაც, აღმოჩნდა გვერდში,
ჭრილობას უხვევს, ეფერება, მათარას აწვდის.

წვალებწვალებით, ფოფხვით, გორვით, ერთურთის გვერდზე,
მედპუნქტისაკენ მიიწევენ ტყვიების ხმაში,
საშვიდობოზე გასულები წამოდგნენ ფეხზე,
გოგო ქალწულის სუსტი ტანით შეუდგა მხარში.

(მიზანთან ახლოს) შეაღწიეს ფოთლოვან ტყეში,
ხმა აფეთქების, ხმა სიკვდილის მიყუჩდა ბედად,
ალბათ, სხვაც იყო ბრძოლის ველზე უმძიმეს დღეში,
ტყვიის წვიმაში დაბრუნებას ჩქარობდა მედდა.

და საიდანღაც, ავბედითად, კენტად, ერთ ცალად,
მათკენ მოჰქროდა სასივდილო ტყვია ეული,
შეცხა ვაჟკაცი, როცა მხრიდან გამოეცალა,
ყაყაჩოსავით მოცელილი მედდის სხეული.

გადაავიწყდა ტკივილიც და ჭრილობაც მწარე,
აიტაცა და მკერდს მიიკრა ჯერ კიდევ თბილი,

შეზიზღდა ის ტყე, ის ადგილიც, ის არემარეც,
გაგიჟებული მიარღვევდა მედპუნქტის ბილიკს.

შემოეხვივნენ თეთრხალათა გადამრჩენლები
(გარეთ გაზაფხულს გაებერა კვირტები ნუშის),
კაცის ჭრილობას მოჰგლეჯოდა ბანდ–საფენები,
ღონემიხდილი ჩაიკეცა დაჭრილი... გულშიც.

* * *

მხიბლავს შენი მიხვრა–მოხვრა,
მკერდი შენი პატარა,
ასე მძიმედ რატომ ოხრავ,
დაგიშავე განა რა?

მიყვარს შენთან ახლოს ყოფნა,
შენთან ტკბილი ბაასი,
არ იფიქრო ველტვი კოცნას,
მტანჯავს გრძობა ხალასი.

ვიცი მალე გაიდარებ,
მომხსნი გულის ბორკილებს
და ჩემს სულსაც ჩაიბარებ,
არ მიმანდობ ორპირებს.

მერე ვნახოთ, ვინ ვინ არის,
ვინ ცოცხლობს, ვინ ხუნდება,
ოღონდ გნახო პირმცინარი,
ნატვრაც ამისრულდება.

ვანგა

ეკატერინე მეორე

ერთი კოცნა

მარტის მზესავით მაცდურობ,
ფიქრობ, რომ ხიბლი მედება,
და გაკვირდები რაც უფრო,
ეჭვები მიძლიერდება:

სხვაზე აჩერებ არჩევანს,
ათბობ აგვისტოს მზესავით,
თუ ვერ გიგულე კვლავ ჩემად,
გზა გამოვნახო მე საით.

ვეღარ ვენდობი იმედებს
(თავთ მიდევს ყინვის ბალიში),
არ იშლი?! — გამოიმეტე
ერთი კოცნა და გამიშვი.

რჩევა ქმარმიტოვებულს

კი, ქალბატონო, მე მჯერა თქვენი,
როგორც საკუთარ თავის,
ქმარი თუ გტოვებთ — ცუდია ძღვენი,
როგორც ჩხავილი ყვავის.

მაგრამ არავის ტოვებთ უვნებელს,
სწყევლით, წუწუნებთ, ჩივით,
ვინ დაგიბრუნებთ დასაბრუნებელს,
ან ვინ მოგართმევთ ტივით?

როდი ვაფასებთ — რაც გაგვაჩნია?
მერეღა ვხლართავთ ფიქრებს,
თუ გაგეცალათ და სხვა არჩია,
თქვენც გაეცალოთ იქნებ?!

გულნატკენის გულისტკივილი

დაგვიანება სჩვეოდა
პაემანზეც და საქმეშიც,
იერით ჰგავდა ფეოდალს,
ურცხვად მიცქერდა სახეში.

ვნანობდი — „ჩემი არ ესმის“,
გული გაწვრილდა ეჭვებით,
ბოლოს კი თითზე ალერსით
სულ სხვამ მომარგო ბეჭედი.

სირცხვილი მას, ვინც სიყვარულს მალავს

ბაღის ბოლოს ყვავის ტურფა ნუში,
ბეღურები ჩალიჩობენ ხნულში,
მე კი სევდა გამჩენია გულში...
პაემანზე არ მოხვედი გუშინ.

მეგობრებმა — გულმძიმედ რომ მნახეს,
შემეკითხნენ, თუ ვინ „მიგებს მახეს“.
ვერ ვუჩვენებ მათ მოღრუბლულ სახეს,
ვერ ვახსენებ შენ სანუკვარ სახელს.

აზრი არ აქვს უქმად ავლა–ჩავლას,
(უფრო ძვირად აფასებენ ჩალას),
თუ არ გინდა — ვინ დაგატანს ძალას,
სირცხვილი მას, ვინც სიყვარულს მალავს.

საიდუმლო

ასწავლიდნენ ყველგან, მუდამ:
„არ ენახო ავსა თვალსა,
სიყვარულსა მალვა უნდა,
ვითა ცხენსა ნაპარავსა“.

სიტყვა არსად დასცდენია
(თავს ავთანდილს ადარებდა),
ძე სულიერს არ სმენია,
ტანჯვით რა ტვიროს ატარებდა,

წლებმა სწრაფად გაირბინეს
(ახლა რაღა დარჩენია),
არც მეგობარს, არც სხვა ვინმეს
ეჭვიც კი არ გასჩენია.

იმასაც კი დაუმალა,
ვინც ეხატა გულზე ვარდად,
„ის სხვას“ გაჰყვა და უმალვე
საიდუმლო ექცა დარდად.

ჩემო

ვეძებდით ერთურთს, ვხარობდით ერთად,
შევციცინებდით ცისფერ განთიადს,
მოგიტაცე და დაგისვი ღმერთად,
ტრფობის სახთელი კვლავაც ანთია.

ჯერ კიდევ...

თუ ქალაქის ტრანსპორტში,
სკამს მავანი არ მითმობს,
ესე იგი, ჯერ კიდევ
არ დამდგარა ამის დრო.

ერთხელ ბიძა მიწოდეს —
არ მწყენია სრულიად...
რადგან ვთვლი, რომ ჯერ კიდევ
ახალგაზრდის სულის ვარ.

ლამაზ ქალს დასტრიალებს
ჩუმი ტრფობის ფიქრები,
ესე იგი, ჯერ კიდევ
ახალგაზრდად ვითვლები.

ყანწს არ ვტოვებ დაუცლელს,
ლხინს ვერ ვრიცხავ ყოფიდან,
ესე იგი, ჯერ კიდევ
ახალგაზრდა ვყოფილვარ.

* * *

წყალი მიართვა მამამთილს,
უყვარს, საკუთარ მამად თვლის.

* * *

დღეს უნაკლოა ფაცია,
მოდური კაბა აცვია.

ზოია რუხაძე

აგათა კრისტი

* * *

რომ წახვედი — წვიმა ცრიდა,
ეშხით აღარ მათბობ,
რას მოველი მაღალ ციდან?
შენთან ყოფნას ვნატრობ.

მივჯდომივარ ახლა ბუხარს,
ხელში ღვინის დოქით,
გულმოწყალე, სათნო თუ ხარ,
არ მატარებ ჩოქვით.

ნუ იდარდებ, არ დავბერდი,
კვლავ ანგელოზს გადრი,
შენთანა ვარ ალავერდი,
გამოცალე ხათრით.

ქალი

ზოგს თეძო მოსწონს ქალის,
ზოგს მისი ქერა თმები,
მავანს ლოყაზე ხალი,
ზოგსაც ოვალი მხრების.

ტუჩ-კბილი ხიბლავს ბევრსაც,
ზოგს კი ღიმილის სითბო,
რომ ვერ გაექცა ვერსად,
ეშხი ატყვევებს თითქოს.

მოსწონთ სიმწვანე თვალის,
ხანაც ფეხების სიგრძე,

თუმც ფენომენი ქალის
სხვაგვარს მოითხოვს სიბრძნეს.

ზოგი მკერდს უცქერს მალვით,
გულში რომ უნთებს კოცონს...
მე კი ყოველი ქალი,
მთლიანობაში მომწონს.

გული არ ბერდება

როგორ ადრე ღამდება და
ო, რა გვიან თენდება,
დღის სინათლე მალე ქრება,
ღამე დიდხანს გრძელდება.

ბუხრის პირად გაშლილ სუფრას
ქალის ეშხი მშვენდება,
თმა თუ თეთრით შეივერცხლა,
გული ხომ არ ბერდება!

ჩაეფლობი ალერსში და
კარგავ დროის შეგრძნებას,
თავაწყვეტით ემონები
ქალისა და შენს ნებას,

მუხლში ძალა მოგაკლდება
შეგშურდება მეგუთნის;
ეჰ, რას ვიზამთ — ყველაფერი
თავის დროზე გვეკუთვნის.

* * *

გზას დავადექი ყოფის კარნახით,
წელი ოთხმოცი წელში გავმართე,
ვხედავ — გოგონა მოდის ნარნარით,
მკერდით მოაპობს აღმართ–დაღმართებს.

ტანად ალვისხე, მზის ელვარება,
სახთლით ნაძერწი გრძელი ფეხებით,
ოქროსთმიანი, ცისფერთვალება...
სურვილმა მომკლა ხელით შეხების.

ფიქრმა ჩაიცვა ქარის სამოსი,
ფრანტი მერცხლების მესმის ჭიკჭიკი,
თითქოს გაიღო კარი სამოთხის,
კვირტები დასკდა თეთრი თივთიკით.

ისრად მესროლა მზერა ირიბი,
მიძინებულმა განძმა იფეთქა,
მონუსხულივით ვუცქერ იმ ფიქრით,
რომ ყოფნა მსურდა მხოლოდ იმ ერთთან.

გული როდი მაქვს ერთობ აყალო,
სიტყვა მჭირდება, სიტყვა ნუგეშის —
გთხოვ, დამაბრუნო, ღმერთო, მაღალო,
თუნდაც ერთი დღით სიჭაბუკეში.

გაგონილ–გამოგონილი

მდინარის ნაპირს აღმასვლით
მიუყვებოდა ქმარი,
სახეზე დარდი ეხატა,
თვალზე ეფინა ცვარი,

ჭმუნვის მიზეზი იკითხა
ხალხმა, შემხვედრმა გზაზე.
„რა დაგმართნია, ბედშავო,
დავრდომილი ხარ რაზე“?

მეუღლემ თავი დაიხრჩო,
მოვედი საძებნელად,
მაგრამ ვერაფერს ვერ გავხდი,
ეს საქმე მიჩანს ძნელად.

გაოცდა ხალხი, გაკვირდა:
„ქმარს დაჰკარგვია გონი,
წყალს ხომ თან მიაქვს დამხრჩვალი,
ასეა დღესაც, მგონი“.

ძმობილო, თუ გსურს იპოვნო,
ცოლი დამხრჩვალი წყალში,
ქვემო ჩავუყვეთ მდინარეს
და იქ ვეძებოთ, ბარში.

ეჰ, მეგობრებო — ისეთი
ღრძო–უკუღმართი გახლდათ,
რომ წყალი მას წაიღებდა
საწინააღმდეგოდ, ნაღდად.

ოთარაანთ ქვრივი
(მხ. ფილმი
„ოთარაანთ ქვრივი“
როლშია ვ. ანჯაფარიძე)

დედა ტერეზა

* * *

მივდიოდი ტურბაზაში,
გოგო შემხვდა ტურფა, გზაში.

გრაცია

გამოსტყუა წვალებით,
მოსკოვს ემიგრაცია —
საფრანგეთის ქალების
მოსწონს ემილს გრაცია.

სინათლე და ჩრდილი

თბილის–ქალაქი ადიდეს
სიონის ანგელოზებმა,
ხოლო წაბილწეს, აგინეს
ცირკის მიდამოს ბოზებმა.

მჭედელი

სულ გაყიდა, რაც რამ ჭედა მან დილით:
ნალი, წალდი, თოხი, დანა, ბარები,
ცოლს უყიდა აბრეშუმის მანდილი,
ბევრიც სხვა რამ მისი დანაბარები.

მეორე კლასი

პატარა ლელა დაჰყავდათ სბავშვო ბაღში და იმის გამო, რომ მისი მშობლები მუშაობას ამთავრებდნენ საღამოს ექვს საათზე — ლელა ოთხი საათის შემდეგ გადაჰყავდათ ე.წ. გახანგრძლივებული რეჟიმის ჯგუფში.

ლელას შეკითხვაზე, თუ სად მიგყევართო, აღმზრდელები პასუხობდნენ „მეორე კლასშიო“.

„მეორე კლასში“ ძალიან მოსწონდა ლელას. იქ უფრო მეტი და საინტერესო სათამაშო იყო და სიმშვიდეც სუფევდა.

ერთ დილით, როდესაც ლელა დედამისთან ერთად მიდიოდა სბავშვო ბაღში, ხვეწნით მიმართა დედას: „ძალიან გთხოვ, დედიკო, მიმიყვანე პირდაპირ „მეორე კლასშიო“.

თელავის მატარებელში

— უი, ქა, რომ იცოდე, რანაირი ბალღია, სკამს სკამზე ადგამს და „ბუფეტზე“ ადის.

მაშა, ქა, ეგეთი მიწადასაყრელია...

— ვა, ვა, რა ბალღი ყოფილა, ეე... როგორც ვატყობ მაგასა, ტარზანს არ ჩამოუვარდება...

— თუ კი ეგრეა, რამ დაამუნჯა და დაადამბლა ეგ ბალღი, დედაკაცო, ხალხისა სცხვენია, ალბათ?!

— უი, ქა, რას ამბობ, მაგისთვის „ვსერავნაა“.

ავიასალაროსთან

თვითმფრინავის ბილეთების შესაძენად წასულმა დედამ პატარა ნათიაც თან წაიყვანა. წინასწარი გაყიდვის სალაროს რომ მიუახლოვდნენ, ნათია ეკითხება დედას:

— რა აწერია კარების თავზე?

— „ავიასალარო“, წაუკითხა დამარცვლით დედამ.

— აუ, აქ ნუ ვიყიდით, დედიკო, ბილეთებს! ავია ეს სალარო; სხვაგან წავიდეთ, კეთილი სალარო მოვძებნოთ.

ბოლოკისფერი

დათო პაპამ ოთახში ახალი შპალერი გააკრა, რომელშიც მუქი წითელი ფერი ჭარბობდა.

ე.წ. „შტეფსელები“ თეთრი ფერის იყო და ძალიან ცუდად გამოიყურებოდა ახალი შპალერის ფონზე. დათო პაპამ „შტეფსელები“ შეღება მოწითალო საღებავით და ფერები ჰარმონიაში მოიყვანა.

მეზობლის ბავშვი თათია ეზოში ბავშვებს უყვებოდა — დათო პაპას სახლში ბოლოკისფერი „შტეფცელები“ აყენიაო.

რატომ არ კვდება?

თინიკო და დედამისი ფანჯრიდან იცქირებოდნენ. ქუჩაში პროცესია მიემართებოდა, მიცვალებულს მიასვენებდნენ.

— დედიკო, რა ხდება?

— მკვდარს მიასვენებენ, უპასუხა დედამ.

— რატომ მოკვდა?

— მოხუცი იყო შვილო და მოკვდა.

— მაშო ბაბო მოხუცია?

— კი?!

— მერე, რატომ არ კვდება?

ხურდა

ახალგაზრდა გამყიდველ გოგოს მოკრძალებული ნაბიჯებით მიუახლოვდა შუახნის მამაკაცი და რაღაცნაირი დარცხვენით მიმართა:

— გოგონა, გენაცვალე, ხურდა შეცდომით მომეცით და მინდა, რომ...



— ოჰ, შენღა გაკლდა... იცი, დღეს უკვე მერამდენე ხარ?! გამო-ნახეს რა, ფულის შოვნის იოლი გზა; თქვე უნამუსოებო, თქვე გარე-წრეებო, აღარა გრცხვენიათ, სხვის ხარჯზე გინდათ ცხოვრება, თქვე უვარგისებო?! ახლავე „აახვიე“ აედან, თორემ...

— გოგონა, თქვენ ზედმეტი მომეცით ხურდა, მიმართა გაოცებულმა მამაკაცმა და გაუწოდა ლარიანი.

სიყვარულის დამტკიცება

მეხუთეკლასელ ყველა ბიჭს ერთი გოგო „უყვარდა“ — თამილა. ყველანაირი ხერხებით ცდილობდნენ მისთვის „სიყვარულის“ დამტ-კიცებას და თამილას დასანახად მუდმივ შეჯიბრში იყვნენ („ლახტი“, სირბილი, „გრძელი ვირი“, ჭიდაობა და რაღა თქმა უნდა — სწავლა).

ერთ-ერთ შესვენებაზე ბიჭებმა გადაწყვიტეს შეჯიბრებოდნენ კიბის საფეხურებიდან გადმოხტომაში. გადმოხტა ჯერ ბენო, მერე ოთარი, გივი, ნოდარი და ა.შ. თამაზიმ ბოლოსთვის შემოიტოვა თავი; უნდოდა ერთი საფეხური წაემატებინა და ყველასთვის ეჯობნა. მოვიდა მისი რიგიც. ერთი საფეხურით აიწია ზევით და მოემზადა გადმოსახტომად, მაგრამ შეჩერდა — გულშემატკივარ მაყურებლებში თამილა აღარ ჩანდა, სადღაც გამქრალიყო. თამაზისთვის აზრი დაკარგა შეჯიბრებამ, ერთიანად მოდუნდა და კიბიდან ჩამოსვლა გადაწყვიტა.

გადმოხტი, რაღას უყურებ, საცაა ზარი დაირეკება — უკიჟინებდ-ნენ გულშემატკივრები. ამ დროს თამილამაც მოირბინა და თავისი მაყვლისფერი თვალებით ლამის ცეცხლი წაუკიდა იქაურობას. თამაზი სიხარულისაგან გაიბადრა, ჩაიბუქნა და ხელები ფრთებივით დაიქნია... სარეკორდო ნახტომი შედგა, მაგრამ ქუსლებით დაეცა მოზაიკის ია-ტაკზე და კეფის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო.

ბავშვებმა ძლივს მიიყვანეს თამაზი თავის მერხამდე. ათას რამეს ეკითხებოდნენ ჟივილ-ხივილით, მაგრამ თამაზი ხმას ვერ იღებდა.



ტუჩებს ამოძრავებდა და ხმა კი არ ამოსდიოდა ხორხიდან, ხმა წართ-მეოდა.

თამილა მიუჯდა გვერდით, თავზე ხელი გადაუსვა და ყურში ჩას-ჩურჩულა „არ შეშინდე, ყველაფერი კარგად იქნება“ — უთხრა ეს და მხარზე მიადო თავი. თამაზის აღმოხდა ხმა — მადლობთო და თავადვე გაუკვირდა. მერე წამოხტა და კიდევ რამდენჯერმე ხმამაღლა შესძახა — მადლობთ, მადლობთ...

მასწავლებელმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ამიერიდან თამილა და თამაზი მჯდარიყვნენ ერთ მერხზე.

და ისხდნენ ერთ მერხზე წლების განმავლობაში. მერე კი მერხი აიწია მაღლა, გაანგრია კლასის კარები, სკოლის ეზოს ჭიშკარი და გაიჭრა უსაზღვრო სივრცეში, სადაც მათ ერთადყოფნის დიდი ცხოვრე-ბისეული მერხი ელოდათ. და იყვნენ ერთად, მხრებზეთავმიდებულები მანამდე, სანამ ჰქონდათ ხმის ამოღების უნარი.

რატომ დააგვიანა

ტაქსის მძღოლს ვაჩქარებ, სადგურისკენ მივქრი. ლოყებწითელა გოგოც სადგურისკენ მიდის. შევუჩერე მანქანა, ვთხოვე ჩამჯდარიყო — უარი მტკიცა, არადა ვატყობ, რომ მას დააგვიანდება. მატარებლის გასვლამდე სულ სამიოდ წუთი რჩება. მე მივასწრებ, წითელლოყება ვერ მიასწრებს. ერთხელაც შევთავაზე ჩამჯდარიყო, მაგრამ კვლავ ცივი უარი მივიღე. ნაბიჯს მოუმატა, ლოყები კიდევ უფრო აუწითლდა. ვერ მიასწრებს, დააგვიანდება, ვფიქრობ მე. ვინ იცის — ვინ ელის, ან რა საქმის გამო მიიჩქარის...

ჩავჯექი მატარებელში, ღია ფანჯრიდან ბაქანს ვათვალიერებ; წითელლოყება არ ჩანს. მატარებელი დაიძრა; იგი კვლავ არ ჩანს. მატარებელმა სიჩქარეს უმატა. თვალს არ ვაშორებ დაცარიელებულ ბაქანს.

აი ისიც. გამოჩნდა წითელლოყება, მაგრამ... გული მეტკინა — იქნებ ვინ ელოდა, ვინ იცის საით მიიჩქაროდა... რატომ არ ჩამიჯდა მანქანაში?!

მეორე ოპერაცია

ურთულესმა ოპერაციამ ბრწყინვალედ ჩაიარა. ცოლის სანახავად მისულ ქმარს გულწრფელად შეეცოდა ოჯახის დიასახლისი გადატანილი ტკივილებისა და თანმხლები ნერვიულობისა თუ წვალების გამო. თვალწინ წარმოუდგა შემთხვევები, როცა ნებსით თუ უნებლიეთ, ატკინა გული, აწყენინა და ბევრი თხოვნა არ შეუსრულა. გული უკვდებოდა მეუღლის ტანჯვით და იმასღა ფიქრობდა, რომ რაიმე განსაკუთრებულით გაეხარებინა და სასიამოვნო სიურპრიზები დაეხვედრებინა.

ცოლი სახლში დაბრუნდა თუ არა, უმალვე შეამჩნია ბევრი სიახლე და მართლაც სიურპრიზი. რაც ქმარს არ გაუკეთებია ერთობლივი ცხოვრების განმავლობაში — მოუსწრია ორ კვირაში: მეტალო-პლასტმასის ფანჯრები, ნომრის ამომცნობი ტელეფონი, ორმაგფსკერიანი სხვადასხვა მოცულობის ქვაბები, ტეფალის ტაფები, სამზარეულოს ატრიბუტიკის ჩასალაგებელი უჯრებიანი პატარა კარადა, იაპონური უთო და მრავალი სხვა; ცოლმა უზომოდ გაიხარა.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სთხოვა ქმარს წასულიყო ექიმებთან და მოლაპარაკებოდა მათ, რათა სასწრაფოდ გაეკეთებინათ ოპერაცია მეორე ფეხზეც.

— რა მოხდა, ჯერ ხომ არ გამოჯანმრთელებულხარ სრულად, რატომ ჩქარობ ასე?!

ცოლმა არ უპასუხა და ფიქრმა გაიტაცა, მკაფიოდ წარმოიდგინა, რომ ქმარი, ამჯერად დანარჩენ აუსრულებელ თხოვნასაც მოაბამდა თავს და სახლში დაბრუნებულს დაახვედრებდა: იაპონურ მაცივარს, გერმანულ მტვერსასრუტს, ხორცის ფრანგულ ელექტროსაკეპს და სხვა.

ამ ტკბილი ოცნებებით ჩაეძინა ბედნიერ დიასახლისს.

ჯიუტი ნინო

ნინოს თამაში უნდოდა. დედა სამზარეულოში ტრიალებდა. მამა გაზეთებს კითხულობდა. ნინომ მაგიდა და სკამები მისწი–მოსწია, ვითომ საკლასო ოთახი გააწყო და დედას მიმართა:

— მოდი, დედიკო ათის ფარგლებში დათვლა უნდა გასწავლო.

— მე არ მცალია.

— არა, უნდა მოხვიდე. მასწავლებელი რომ გეუბნება უნდა დაუ–ჯერო!

— არ მინდა, შვილო, ათის ფარგლებში დათვლა და ანგარიში კარგად ვიცი.

ნინო ახლა მამას მიუბრუნდა: — შენ ხომ დედიკოზე უფროსი ხარ?

— კი.

— მაშ, რაკი შენ დიდი ხნით ადრე დაიბადე, უკვე დავიწყებული გექნება ათის ფარგლებში ანგარიში და უარი არ გამიბედო — უნდა გასწავლო.

მოდური ვარცხნილობა და ჩვევა

ერთი ტელეწამყვანი ქალბატონი გაუთავებლად იქნევს თავს და ცდილობს თვალებზე ჯიუტად ჩამოფარებული თმის ბღუჯა (კულული) როგორმე მოიშოროს. ხანაც ხელით ცდილობს ამას, მაგრამ აბეზარი ბღუჯა მაინც თავისას არ იშლის. ტელეწამყვანიც განაგრძობს თავის პროგრამას და თავის ქნევას (შე დალოცვილო, განა შენი სურვილით და დაკვეთით არ გაგიკეთეს ეს ვარცხნილობა?!). ასე გაგრძელდა თითქმის ერთ წელიწადს და უკვე შეეჩვია ტელემაყურებელი იმ ტელეწამყვანის თავის ქნევას.

ერთ მშვენიერ დღეს ხსენებული ტელეწამყვანი მაყურებლის წი–ნაშე წარდგა ახალი, ე.წ. ბიჭური ვარცხნილობით (მოკლედშეჭრილი

თმით, ისეთით, რომ სავარცხლის კბილები ნახევრადაც ვერ დაიმალე-ბოდა).

მადლობა ღმერთს, გავიფიქრე მე. ძალიან უხდებოდა ახალი ვარცხ-ნილობა — უფრო მიმზიდველი და მომხიბვლელი გახლდათ, მაგრამ რა გინდა რომ ქნა?.. თავს ისევ ძველებურად იქნევდა...

ასეთია ჩვევა!

ბუნების დიალექტიკა

პირველ კურსზე იყო მაშინ ოთარი. რაიონიდან ჩამოსულს ყვე-ლაფერი აკვირვებდა დედაქალაქში: ტრანსპორტის სიმრავლე, მაღ-ლივი კორპუსები, მოასფალტებულ-მოკრიალებული პროსპექტები, მიმზიდველ-მაცდუნებელი მაღაზიები, მრავალგვარი გამოფენა-მუზე-უმები და ათასი სხვა.

განსაკუთრებით იყო მოხიბლული თბილისელი სტუდენტი გოგონებით, რომლებიც ლექციებს შორის შესვენებაზე გამოეფინებოდნენ ხოლმე დერეფნებში და უკანასკნელ მოდაზე ჩაცმულები, დახვეწილი მიხ-ვრა-მოხვრითა და მომხიბვლელი კეკლუცობით საყოველთაო ყურა-დღებას იპყრობდნენ.

ერთ-ერთი მათგანი ყველაზე მეტად მოეწონა ოთარის. ის გოგო, საიდანღაც, კორპუსის ბოლოდან გამოუყვებოდა ხოლმე დერეფანს და მარტოდმარტო დასეირნობდა ყოველთვის.

ჩაივლიდა შველივით ყელმოღერებული, ტანწერწეტა, საოცნებო ვარცხნილობით და კანის თვალისმომჭრელი სითეთრით. მას მაი-სის თაფლისფერი თმები ჰქონდა და მოცისფრო-ძოლურჯო, გრძნობით სავსე თვალები. ტანად ყოველთვის კარგად მორგებული მოდური ტანისამოსი ეცვა, რომელიც დამატებით უსვამდა ხაზს მის ღვთაებრივ აღნაგობას.

ოთარიმ შეამჩნია, რომ გოგო ფარულად გააპარებდა ხოლმე თვალს ჯგუფ-ჯგუფად მდგარი ბიჭებისკენ და ცდილობდა გაეგო თუ რა შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე. როგორც შემდეგში გაირკვა — ოთარი არ იყო ერთადერთი, რომელიც მოჯადოებული იყო იმ გოგონათი. არცერთი ბიჭი გულგრილი არ დარჩენილა მის მიმართ და ყველა მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას. ის კი იყო, რომ თუ ჯგუფში გოგონებიც იდგნენ, მაშინ ბიჭები ისე თავისუფლად და ხელაღებით ვეღარ ახერხებდნენ თვალის დევნებას მშვენიერების მოვლინებაზე.

გოგონა არც არავის ესალმებოდა და არც ესაუბრებოდა. ასე, მარტოდმარტო აივლ-ჩაივლიდა და მორჩა. ყოველდღე მეორდებოდა ერთიდაიგივე.

ოთარი, რაღაცნაირად, მოაჯადოვა ამ უცნაურმა „სპექტაკლმა“ და თავისი თავი იმაშიც გამოიჭირა, რომ აღარ შეეძლო უიმისობა. მოუთ-მენლად ელოდა შესვენებას და მერე სასწრაფოდ იკავებდა „სათ-ვალთვალო პუნქტს“.

ასე გაგრძელდა რამდენიმე თვეს. ბოლოს ოთარიმ გადაწყვიტა როგორმე ახლოს გაეცნო გოგონა და თან პაპის დამოძღვრა გაიხსენა თბილისში გამოცილების დროს: „ქალაქელმა გოგოებმა თვალები არ აგიჭრელონ, კარგად აწონ-დაწონე ყოველივე, მოუფიქრებელი და აჩქარებული ნაბიჯი არ გადადგაო“.

მომდევნო დღეს, როცა იმ გოგომ ჩამოიარა, ოთარი შორიახლოდან აედევნა და მის „მარშრუტს“ გაჰყვა-გამოჰყვა. შემდეგ შესვენებაზეც იგივე გაიმეორა და ასე ყოველდღე.

დაახლოებით ერთი თვე გაგრძელდა ეს „კატა-თაგვობანა“. ოთარი ვერ ბედავდა გამოლაპარაკებას: რაღაც აჩერებდა, რაღაც ვერ გადაე-ლახა, რაღაცნაირ მოკრძალებას თუ სიმხდალეს შეეპყრო მისი არსება და მონუსხულივით დასდევდა უკან.

გოგონამ დიდი ხანია შეამჩნია ლანდივით ადევნებული ბიჭი და უფრო გამოძწვევად ეჭირა თავი, ხანდახან კი ოდნავი ღიმილით გადმოხედავდა მას და აუჩქარებდა ნაბიჯს. ოთარი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გადალახა სამ–ოთხ ნაბიჯიანი ბარიერი.

ბოლოს, ოთარიმ შეამჩნია, რომ გოგონამ რამდენჯერმე გაღიზ–იანებული და თითქოს გაბრაზებული იერით გადახედა, ჩვეულებრივზე სწრაფად შეუხვია დერეფენში და გაუჩინარდა.

გავიდა რამდენიმე დღე. გოგონა არ ჩანდა. ოთარი ადგილს ვერ პოულობდა: „ავად ხომ არ გახდა, სხვა ინსტიტუტში ხომ არ გადა–ვიდა, ან, იქნებ, გათხოვდა კიდეც“ — ეს კითხვები აწუხებდა მას, გული დამძიმებული ჰქონდა და გამოსავალს ეძებდა. ახლა თვითონ აივლ–ჩაივლიდა ხოლმე არამარტო „გაკვალულ“, არამედ მომიჯნავე დერეფნებსაც — იქნებ სადმე გადავეყაროო, მაგრამ ამაოდ. გოგო არ ჩანდა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ოთარისთვის დადგა ძნელადგადასატანი დღეები.

გავიდა ორი კვირა. იგი თავის მორიგ ავლა–ჩავლას ამთავრებდა, როცა თვალი მოჰკრა საოცნებოს. ოთარის გული სიხარულით აევსო და სხეულში ძალების მოზღვავება იგრძნო. ჩვეულებრივ აედევ–ნა ოდნავ იერშეცვლილ გოგონას, რომელმაც სწრაფად შეუხვია მარცხნივ და ჩასაფრდა. ლამის სირბილზე გადასულმა ოთარიმ ის იყო შემოუხვია, რომ გოგომ ხელი სტაცა ხელში, თავისკენ მიქაჩა, თვალებში ჩახედა და მეორე ხელის საჩვენებელი თითი ცხვირწინ აუთამაშა:

— რას დამდევ, რომ დამდევ; ვერ ხვდები, რომ თავი მომაბეზრე? იცოდე, თუ თვალთვალს თავს არ დაანებებ, ჩემს მოკრივე ძმებს ვე–ტყვი და კვერცხივით აგოქვეფავენ.

ოთარის ენა ჩაუვარდა, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა; მონუს–

ხულივით შეჰყურებდა და პატარა ბავშვივით აწითლებულიყო. საკუთარი გულის ბაგა-ბუგი მკაფიოდ ესმოდა.

გოგომ მკვეთრი მოძრაობით მოიშორა მისი ხელი, ერთხელ კიდევ დაუქნია თითი და გააფრთხილა:

— კარგად დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები, თორემ რაც დაგემართოს, მერე სხვას ნუ დააბრალებო. — მიახალა გაოგნებულ ოთარის ეს სიტყვები, შემოტრიალდა და სწრაფი ნაბიჯებით წავიდა თავისი აუდიტორიისკენ.

ოთარი უცბად გამოერკვა, თითქოს რაღაც შვებაც იგრძნო, რამდენიმე ნახტომით წამოეწია, სტაცა ხელი ხელში და დინჯი, მაგრამ დამაჯერებელი ტონით მიმართა:

— ახლა მე მომისმინე და ჩემი საქციელის გამართლებასაც ირწმუნებ. შენა ხარ ყველაზე ლამაზი და მშვენიერი გოგონა, ვინც მე მინახავს. შენითაა მოჯადოებული ყველა ბიჭი. შენი გავლა-გამოვლა, მიხვრა-მოხვრა და გარეგნობა ენით აუწერელია; შენა ხარ თვით სილამაზის ქალღმერთი; ბევრი დაამწუხრე შენი ორკვირიანი გაუჩინარებით და შენი კვლავ გამოჩენა გაზაფხულის მოსვლას ჰგავს; ახლა შენი ხმა, ეს ხომ ნამდვილად ზღაპარია „ათასერთი ღამიდან“.

გოგონას გადაუარა სიბრაზემ, ნელ-ნელა მოთბა და მოლბა, ღიმილი შეეპარა მის ატამივით გაპობილ ტუჩებს; აღარც ხელის განთავისუფლებას ცდილობდა და ცნობისმოყვარეობით და რაღაც სასიამოვნოს მოლოდინით შესცქეროდა რაღაცით აღფრთოვანებულ ბიჭს.

— ერთსაც გეტყვი, — განაგრძობდა ოთარი, მაგრამ რასაც ვიტყვი, ცოტა ძნელად წარმოსადგენია და...

— რა უნდა მითხრა ისეთი, რომ ვერ წარმოვიდგინო?

— ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მაინც ვცდი.

— სცადე, ვნახოთ, — უთხრა გოგომ და მოცისფრო-მოლურჯო თვალებით მიაშტერდა აღელვებულ ჭაბუკს.

— კარგი, გეტყვი, ოღონდ სანამ პასუხს გამცემდე, დაფიქრდი.

— სთქვი, გისმენ.

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შენ იცი შენი სილამაზის და მშვენიერების შესახებ და იცი ყველა სხვაზე უფრო მეტად. ახლა კი წარმოიდგინე, რომ დასეირნობ დერეფნებში, პარკებში და სკვერებში, ქუჩაში, თეატრის ფოიეში და სხვა თავშეყრის ადგილებში და ამ დროს აბსოლუტურად არცერთი ახალგაზრდა ბიჭი არავითარ ყურადღებას არ გაქცევს. ერთი მითხარი, რა ხასიათზე დადგები?

გოგონამ ჯერ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, მერე, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო, სახე მოეღრუბლა, ორივე ხელი თავში იტაცა და სასოწარკვეთილი ხმით აღშფოთებულმა წარმოთქვა:

— ეს რა თქვი?! ეგ როგორ შეიძლება?! ღმერთმა დამიფაროს. მაშინ რა უნდა მოხდეს?! ხომ აზრი ეკარგება ცხოვრებას, რა სასტიკი ყოფილხარ შე...

ვეღარ დაამთავრა სათქმელი, თითქოს ყელში ლუკმა გაეჩხირაო, მოწყვეტით გაშორდა ოთარის და თვალდახამული გაუყვა დერეფანს.

ზარის ხმა გაისმა. იწყებოდა ლექცია თემაზე: „ბუნების დიალექტიკა“.

უცნობი ნაცნობი

ქალაქის პოლიკლინიკაში, გივის დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით მოეკიდა ახალგაზრდა, სიმპათიური გარეგნობის ექიმი. გივი არ მოელოდა იმდენ სითბოს, ალერსიან მიმართვას და ტკბილ რჩევა-დარიგებებს, ერთი შეხედვით ცხოვრებაში ახლადფეხადგმული პატარა გოგო-ექიმისგან, მითუმეტეს პოლიკლინიკებში ტრადიციადქცეული მომსახურების დაბალი დონისა და საყოველთაოდ გამეფებული უყურადღებობის ფონზე.

ვერ მოახერხა გივიმ, უფრო სწორად ვერ გაბედა, ასევე სავალალო ტრადიციისამებრ, ფული შეეჩეჩებინა თითქოსდა სანთლისგან ჩამოსხმულ თითებში, ან ჩაეჩურთა თეთრი, ქათქათა ხალათის ჯიბეში. ისღა მოიფიქრა, რომ სირბილით წასულიყო ახლომდებარე საკოლმეურნეო ბაზარში და ლამაზი ყვავილების თაიგულით დაემშვენებინა იმ პატარა გოგო-ექიმისავით პატარა, კოპწია და მყუდრო ოთახი.

ყვავილების მირთმევის ფაქტმა გაოცება გამოიწვია პოლიკლინიკაში; ერთხმად აღნიშნავდნენ — ასეთი რამ ჩვენთან პირველად ხდებაო. ზოგნი იმასაც ამბობდნენ: „სჯობდა ისევ ფული მიეცა, ახალგაზრდა გოგოა, ვინ იცის რაში გამოიყენებდაო“.

სამი დღეც არ იყო გასული, როცა ქუჩაში შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს გივი და ის კოპწია გოგო-ექიმი. ორივე გახარებული და კმაყოფილი იყო ამ შეხვედრით. სიკეთითა და სინაზით მოიკითხეს ერთურთი. ერთმა ყურადღებით აღსავსე მომსახურებისათვის გადაიხადა მადლობა, მეორემ კი ყვავილების თაიგულისათვის.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ შეეფეთნენ ერთმანეთს უნივერმაღის შესასვლელში. ისევ თბილი და ღიმილიანი სალამი, ისევ მოკითხვა და კეთილი სურვილები. მოკლედ, უკვე კარგ ნაცნობებად თვლიდნენ ერთმანეთს და ჩანდა, რომ ხშირად შეხვედრის სურვილიც ჰქონდათ.

რამდენიმე დღის შემდეგ კი მოხდა მოულოდნელი რამ. გივიმ შორიდანვე შეამჩნია სწრაფი ნაბიჯით მისკენ მომავალი „ის“ გოგო-ექიმი და მოემზადა თბილი შეხვედრისათვის, მაგრამ მან ზედაც არ შეხედა, სალამზე დაბღვერით უპასუხა და უფრო უმატა ნაბიჯს.

გივი გააკვირვა გოგო-ექიმის უცნაურმა ქცევამ, მაგრამ გუნებაში „აპატია“, თვლიდა, რომ ადამიანს ათასი საფიქრალი აქვს და ყოველთვის არ არის კარგ გუნება-განწყობილებაზე, თუმცა ზომიერება და

თავშეკავებულობაც მართებს ყველას, მითუმეტეს, რომ დასამდურად არავითარი საბაბი არ არსებობდა. ასე ფიქრობდა გივი.

ნეტავ რა მოხდა? არ ასვენებდა აკვიატებული ფიქრი, თუმცა იქვე იმშვიდებდა თავს: „ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი საქმეა, ჩემი მეგობარია თუ ახლობელი, სულაც არ მაინტერესებს რა სწყინს და რა უხარია; რაც იყო, იყოო, გაიფიქრა და გააგრძელა გზა.

პატარა ქალაქში ადამიანები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, სახით თითქმის ყველას იცნობენ და ეს ეამაყებათ კიდეც. გივიც ხშირად ხვდებოდა „იმ“ გოგო-ექიმს, ხან ქუჩაში, ხან კინოთეატრში, ხანაც ბაზარში, ისიც ხან გაუღიმებდა და ხან ჩუმად ჩაუვლიდა გვერდზე, ხან

მიესალმებოდა და მოიკითხავდა, ხან გაოცებული პასუხობდა მისალბე-მაზე, ხან ხელსაც კი დაუქნევდა ხოლმე ოდნავშესამჩნევი მოძრაობით და მოკითხვის სურვილით, ხანაც დაბღვერილი გამომეტყველებით ესროდა რამდენიმე ქალურ სალანძღავ სიტყვას და აჩქარებით გაე-ცლებოდა ხოლმე.

გივი თავისდაუნებურად შეეჩვია გოგო-ექიმის უცნაურ ქცევას და პირველხანად თუ უკვირდა, მერე ასეთ შეხვედრებს ოდნავადაც აღარ განიცდიდა, უფრო მეტიც, რაღაც გასართობ ელემენტებსაც კი ეძებდა ამ, მეტად უცნაურ, ნაცნობობაში. ფიქრობდა: „ყველას თავისი ხასიათი აქვს და გოგო-ექიმიც არ არის გამონაკლისიო“. თუმცა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ოდესმე, მოხერხებულ დროს და ადგილზე „ის“ კეკლუცი და კოპწია გოგო-ექიმი შეეჩერებინა და გარკვეულიყო, თუ რა იყო ასეთი უცნაური, არაბუნებრივი ქცევის მიზეზი.

ასეთი შესაძლებლობა სულ მალე მიეცა გივის.

ავტობუსი გადაჭედილი იყო ხალხით. ფეხზემდგომნი უცნაურად იყვნენ აკონწიალებულ-ჩამოკონწიალებულები სახელურებზე. უკვე ზაფხული იყო და საკმაოდ ცხელოდა. გივიც ფეხზე იდგა, უფრო სწორად, ჩაჭედილი იყო მგზავრებს შორის და განძრევის საშუალება არ ჰქონდა.

მძღოლმა დააშუხრუჭა მანქანა და ფეხზემდგომნი ერთმანეთს მიასკდ-მოასკდნენ, შეიწნეხნენ და შეიკუმშნენ. უცბად გივიმ შეამჩნია, რომ მისგან მარჯვინ იჯდა გოგო-ექიმი, შეხედა, მიესალმა. მანაც გაუღიმა, სალამზე სალმით უპასუხა, თეთრი ბროლივით კბილები შე-მოანათა და დიდი სითბოთი მოიკითხა. მერე ამინდზე დაიწყეს საუ-ბარი. გივის გადაავიწყდა ადრინდელი „წყენანი“.

მძღოლმა ისევ დააშუხრუჭა ავტობუსი და გაჩერებამდე მისვლამდე „ზედმეტი“ თავისუფალი სადგომი ადგილებიც გამოჩნდა. გივის ვიღაც

მიაწვა და მარცხნივ შემოატრიალა. გაოცებისაგან პირი დააღო და თვალგაშტერებული უცქეროდა მისგან მარცხნივ განაპირა სკამზე-მჯდომ გოგო-ექიმს, რომელიც ოდნავ იბღვირებოდა. გაჩერებაზე მგზავრები ჩავიდნენ და ავტობუსში სიხალვათე იგრძნობოდა. გივიმ მარჯნივ მიიხედა და დაინახა მომღიმარი გოგო-ექიმი, რომელიც თითქოს რაღაცას მიანიშნებდა თუ ეკითხებოდა. შემოტრიალდა მარცხნივ, „ის“ იქ ზის და იბღვირება; შემოტრიალდა მარჯვნივ, იქ ზის და იღიმება. გივის თავგზა აებნა მოულოდნელობისაგან, თავი სიზმარში ეგონა. გოგო-ექიმმა კი, შეამჩნია რა გივის უაღრესი გაკვირვება და რაღაცნაირი დაბნეულობა, ღიმილით მიმართა: „გაიცანი, ჩემი დაა, ტყუპისცალი“ — და მარცხნივ მიანიშნა. დაბღვერილმა ტყუპისცალმა ხელი გამოუწოდა და თან მრავლისმეტყველი ღიმილიც მიაყოლა.

გრძელი ფეხები

ნიკოს მეზობელ ქალს ჩვევად ჰქონდა ქცეული, რომ თავისი გრძელი და ჩამოსანთლული ფეხებისთვის რამენაირად გაესვა ხაზი. ფეხები კი მართლაც გრძელი ჰქონდა, რაც განსაკუთრებით მაშინ იყო თვალშისაცემი, როცა შარვალს იცვამდა. სწორედ მაშინ ყოველი ნაკვთი აშკარად ეკვეთებოდა და არამხოლოდ წვივ-ბარძაყები. შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ საუბარში „გრძელი ფეხები“ როგორმე ეხსენებინა, თითქოს გარშემომყოფთ იწვევდაო რაღაც საინტერესო სანახაობის საცქერლად: „აბა, შემომხედეთ, რა ლამაზი და მოხდენილი ფეხები მაქვსო“.

ნიკოს, ისიც ჰქონდა შემჩნეული, რომ ამ გერძელფეხება ქალბატონს, რომ იტყვიან, მკერდი ფიცარივით ჰქონდა და ძუძუები ოდნავ ემჩნეოდა.

გვარიანად მობეზრდა ნიკოს ქალბატონის მხრიდან სისტემატური ხსენება და ხაზგასმული მინიშნებები „გრძელ ფეხებთან“ დაკავშირებით და ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რომ რაღაცნაირად დაეგესლა თავის თავზე უზომოდ შეყვარებული მეზობელი. ასეთი შესაძლებლობა მალე მიეცა.

ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სპორტის სახეობაში, ე.წ. „კონკურში“. მეზობლები, მთელი ერთი კვირის განმავლობაში ერთად უცქერდნენ ტელეგადაცემებს და ტკბებოდნენ, მართლაც რომ მშვენიერი სანახაობით. მეზობლის ქალი კი არ ისვენებდა, როგორც ყოველთვის, ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი ფეხებისათვის და წამდაუწუმ ხმამაღლა მიმართავდა გვერდითმჯდომ პატარა შვილს: „ნახე, შვილო, რა გრძელი ფეხები აქვს იმ ლურჯა ცხენს“, „კარგად დააკვირდით, ხალხნო, რა გრძელი ფეხ...“ და ასე გაუთავებლად.

ნიკომ ვეღარ შეიკავა თავი და გაღიზიანებული ხმით მიმართა ტელეეკრანის წინ მჯდომთ: „ნახეთ, მეზობლებო, რა ძლიერი მკერდი აქვს მეთვრამეტე ნომერს“.

მეზობლებმა ირონიანარევი ღიმილით გადახედეს ნიკოს. იმის შემდეგ თავმომწონე ქალბატონს ერთხელაც აღარ უსსენებია „გრძელი ფეხები“.

გამოგლეჯილი წინდიდან ბრილიანტამდე

ადრიანი გაზაფხულის საღამო იდგა.

ეზოში გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ მეზობლის ქალები და ათასნაირ საქვეყნო თუ საოჯახო საკითხებზე მსჯელობდნენ. ქალებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ახალი მეზობლის, საკმაოდ სიმპათიური (გარეგნულად) ქალბატონის ასავალ-დასავალი. მრავალ შეკითხვას აძლევდნენ და ისიც მარჯვენა მუხლისთავზე გამოგლეჯილ წინდაზე ხელდაფარებული ყვებოდა თავისი ოჯახის გასაჭირზე: „ქმარი უმუშევარია, ბავშვებს არა აქვთ ჩასაცმელი, ვერ მიყიდია წინდა (მარჯვენა ხელს აცილებს მუხლის თავს), გუშინ ფული ვისესხეთ, რათა ბავშვებს საჭმელი არ მოაკლდეთ, წელიწადზე მეტია, რაც ქალთა სალონში არ ვყოფილვარ, თეორეულიც შემობდღვნილი მაქვს და ქმარს პირის გასაპარსი ფულიც არ გააჩნია“ და ა.შ.

„ახალი“ ქალბატონის გულწრფელობაში ეჭვს ვერ შეიტანდით და ეზოს „ძველებიც“ (ანალოგიური საუბრების ხშირი მოწმენი) თანაგრძნობით და დიდი გაგებით იზიარებდნენ მის გაჭირვებას.

გავიდა აპრილი. მაისის დასაწყისში ეზოში ხმა გავრცელდა, რომ ახალი მეზობლის ქმარი სამუშაოდ მოწყობილა საგადასახადო ინ-

სპექციაში. გაეხარდა ყველას — ხელფასი ექნება და გაჭირვებულ მდგომარეობას ცოტათი მაინც შეიმსუბუქებენო.

გავიდა მაისიც, ცხელი ზაფხულიც და შემოდგომის ერთი თვეც.

საკმაოდ თბილი და წყნარი ოქტომბერი იდგა. ისევ იმ გრძელ სკამზე, ქალბატონების თითქმის იგივე შემადგენლობა გაცხარებით საუბრობდა და კამათობდა. განსაკუთრებით აქტიურობდა „ახალი“ მეზობელი, სიმპათიური (ახლა უფრო, რადგანაც მოდურად ეცვა) ქალბატონი: „დღეს შემოვიარე ყველა საიუველირო მაღაზია, მაგრამ ბრილიანტიანი ბრასლეტი არსად არ არის, ალბათ თბილისში წავალ, ჩვენი მანქანით, არა, რას ამბობთ, „ლუდოვიკოს“ არაფერი ჯობია, ჩემმა ნათესავმა მითხრა, გაშოვნინებო. ორკარატიან ბეჭედს დავეძებ და კიდევ ესპანურ „ტროიკას“, მაგრამ ხომ იცით, რა ძნელია შოვნა. ჩემმა ქმარმა მითხრა, ლენინგრადში წაგიყვან და იქ იყიდეო. მე მგონი ერთ კვირაში წავალთ. მანამდე კი ჩემი გოგოს დაბადების დღეა და კულონი მინდა ვაჩუქო ლალის თვალით, ხვალ მომიტანენ“ და ა.შ.

ყურებს არ დაუჯერებდა კაცი, „ახალი“ მეზობელი ქალბატონი მუხლზე აღარ იფარებდა ხელს.

ალერგიული დიაცი

აგვისტოს ცხელი დღე იდგა. ასფალტი ლამის დნებოდა. იქნებოდა დაახლოებით დღის ორი საათი, როცა ოთარი მორჩა თავის საქმეს თბილისში და სამსახურის „ფურგონ–მოსკვიჩით“ დასავლეთისკენ გაემართა.

„ნეტავ, ვინმე ნაცნობი მგზავრი შემხვდეს, ვესაუბრები მაინც, თორემ ამ სიცხეში შეიძლება საჭესთან ჩამეძინოს“, — ფიქრობდა საქმეებით გადაღლილი და აუტანელი სიცხისგან მოთენთილი.

დაკვირვებით შეათვალიერა „დიღომის ბირჟაზე“ მდგომნი. ის იყო უნდა გასცდენოდა დიდჯგუფად შეკრებილთ, რომ სულ განა–პირას მორიდებულად მდგომი გოგონა იცნო და მანქანაც ცხვირწინ გაუჩერა.

შორიდან იცნობდნენ ერთმანეთს. გოგონა ორი რამით იყო პოპ–ულარული თავის ქალაქში: განუმეორებელი, მშვენიერი გარეგნობით და კიდევ იმით, რომ იგი ახლო ურთიერთობაში იყო ქალაქის ერთ–ერთ კოლორიტად აღიარებულ ახალგაზრდა, ცოლშვილიან კაცთან. ეს კაცი თითით საჩვენებელი იყო. მას პატივს სცემდნენ და იცნობდნენ როგორც ობიექტურს, ტყუილ–მართლის გამრჩევს, გაჭირვებულთა დამხმარეს, ვაჟკაცობაში თავგამოდებულს და საკმაოდ ჯიბესქელს.

გოგონამ გაუღიმა და მოხერხებულად მოკალათდა ოთარის გვერ–დით, მერე კარები მძლავრად მოიჯახუნა (როგორც ეს სჩვევია თითქმის ყველა ქალს) და მომნუსხველი ღიმილით მიმართა ოთარის: „ღმერთიც გიშველის, სადაცაა დავიწვებოდი“.

დაიძრა თუ არა მანქანა, ორივე ჩამოწეული მინიდან შემოვარდა ოდნავშემთბარი, მაგრამ მაინც მქროლავი და მაგრილებელი ჰაერის ნაკადი.

სოფელ იგოეთამდე გზა შეუმჩნევლად გაიარეს, რაც გოგონას დამ–სახურებად შეიძლება ჩაითვალოს. ის გაუჩერებლად ყვებოდა ათასნაირ ამბავს და თან გულიანად იცინოდა. მართლაც რომ მშვენიერი იყო მგზავრი, ცისფერი შუშხუნა თვალებით, თეთრადმოელვარე კბილებით, მრგვალი პირისახით, ძლიერამოზიდული მკერდითა და გრძელი ფეხ–ებით.

ის,ის იყო იგოეთის დაღმართში ჩასრიალდა „ძოსკვიჩი“, რომ მგ–ზავრი ეძგერა „თავისი“ კარების მინის სახელურს და უმალ ამოსწია. ერთდროულად ოთარის შეუკიჟინა: „ჩქარა, ჩქარა, ამოწიე მინა; ჩქარა, რაღას უყურებ“.

ოთარის ვერ გაეგო რა ხდებოდა, მაგრამ მაინც დაემორჩილა. სალონში სუნთქვა შეუძლებელი გახდა. გოგონას ცხვირსახოცი აეფარებინა სახეზე და თითქმის ბრძანების კილოთი მოითხოვდა: „მოუმატე სიჩქარეს, ჩქარა გასცდი აქაურობას“.

იგოეთს რომ გასცდნენ, გოგონამ ცხვირიდან ხელი მოიშორა, მინა ჩამოსწია და ღრმად ჩაისუნთქა.

ოთარიმ რაღაც ცვლილებები შეამჩნია გამოხედვაში, მაგრამ მაშინ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია.

„ყვითელ ყვავილებს ვერ ვიტან, მათი სუნი და ფერი მაღიზიანებს, საშწუხაროდ, გვიან შევამჩნიე, ახლა რაღა ეშველება“, — წუხილით წარმოთქვა გოგონამ და პატარა სარკე ამოაჩოჩა ხელჩანთიდან.

ახლა კი ყურადღებით დააკვირდა ოთარი მის სახეს. გოგონას თვალები და ცხვირი გასწითლებოდა და გასიებოდა, ლოყებზე და შუბლზე ბრტყელი მოწითალო ლაქები გასჩენოდა, ხელებიც ექავებოდა.

ოთარის გულწრფელად შეეცოდა თანამგზავრი.

„იქნებ სახლამდე მიმიყვანო, სირცხვილია ასეთ მდგომარეობაში ქუჩაში გამოვჩნდე“, — ითხოვდა გოგონა.

დაამახსოვრდა ოთარის ის გოგო და აღარ ავიწყდებოდა. არც გვარი და არც სახელი არ იცოდა და არც აინტერესებდა. უბრალოდ, თავის გულში „ალერგიული დიაცი“ შეარქვა და მორჩა.

წლები გადიოდა და როგორც იტყვიან ხოლმე, მრავალმა წყალმა ჩაიარა.

ხშირად ხვდებოდა ოთარის „ალერგიული დიაცი“ ქუჩაში და ყოველთვის ღიმილით იხსენებდა იმ უცნაურ შემთხვევას. ყოველი შეხვედრისას ოთარი ცდილობდა მისალმებოდა, მაგრამ ის თითქოს ვერც კი ამჩნევდა მას.

შეამჩნია ოთარიმ, რომ გოგონა ისე მომხიბვლელად ვეღარ გამოიყურებოდა; რაღაცნაირად მოდუნებულიყო, ტანსაცმელიც აღარ ჰქონდა ისე კოხტად მორგებული, ხორციც ბლომად მოესხა მის სხეულს და ერთიანად მოღავებულიყო. მზერაც რაღაცნაირი უინტერესო გახდომოდა, არაფრისგამომხატველი. აზიდული მკერდიც სადღაც ქვემოთ ჩაცურებულიყო და გათქვეფილიყო.

ოთარის სახლთან ცხოვრობდა „ალერგიული დიაცი“, პატარა შესახვევში. ხშირად უნახავს მამაკაცის სპორტულ პიჟამოში გამოწყობილი, ჩამომჯდარი სახლის წინ. გარშემო ყოველთვის ხალხი ჰყავდა შემოკრეფილი და ისიც გაუჩერებლად ლაპარაკობდა. სასაუბრო ლექსიკონი ისეთი სიტყვებით გაემდიდრებინა, რომ მათი მოსმენისას ოთარის ალმური ეცემოდა ხოლმე სახეზე.

„ეჰ“, — ფიქრობდა ოთარი, — „წლებმა თავისი გაიტანა“. მაგრამ ქვეშეცნეულად გრძნობდა იგი, რომ მხოლოდ გახვლილი წლების ბრალი არ უნდა ყოფილიყო ასეთი მეტამორფოზა.

„ალბათ, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა მის პირად ცხოვრებაში“, — ფიქრობდა ოთარი.

იგოეთის შემთხვევიდან ოცი, ოცდახუთი წელი იქნებოდა გასული, როცა ზაფხულის ერთ გრილ საღამოს კიდევ ნახა „ალერგიული დიაცი“, ამჯერად სახლიდან ცოტა მოშორებით, ქალაქის ცენტრში, ფოსტა-ტელეგრაფის დიდებულ შენობასთან. სიგარეტებისა და საღეჭი რეზინების გამყიდველის მაგიდის გვერდით, ტროტუარზე დაედგა პატარა სკამი. სპორტული პიჟამო ეცვა, შიშველი ფეხები სახელდახელოდ ჩაეყო საზაფხულო ფლოსტებში და გაშმაგებით აკნაწუნებდა მზესუმზირას. გაუჩერებლივ ლაპარაკობდა. ჩენჩოს უტიფრად ყრიდა მოასფალტებულ ტროტუარზე, ჩენჩოს გორა იდგა მის გარშემო. ეტყობოდა, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში მჯდარა აქ.

ოთარიმ შეხედა და რაღაც ტკივილი იგრძნო გულის კუნჭულ-ში. გაიფიქრა: „განა რა მოხდა ისეთი, რომ მშვენიერი გოგონა ასე დაეცა და დამდაბლდა“. ჩაუარა გვერდით ფეხებგაშოტილ და ტუჩე-ბზე ჩენჩომიწებებულ მოლაქლაქე „ალერგიულ დიაცს“, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ის კი იცქირებოდა არაფრისმთქმელი თვალებით ოთარის მიღმა, განაგრძობდა ჩენჩოს ფურთხებას, შიგადაშიგ კი ერთი ფეხის თითებით მეორე ფეხს იფ-ხანდა.

ოთარიმ ვეღარ გაუძლო ნანახს და გულნატკენი გაეცალა იქაუ-რობას.

სულ ორი ან სამი დღე იყო გასული ამ შემთხვევიდან, როცა ბაზარში მიმავალი ოთარი კვლავ გადაეყარა „ალერგიულ დიაცს“. იგი გაკაპასებული გაჰკიოდა და მეზობლის ქალს შესჩიოდა: „ნახე, ქალო, რა უქნია იმ მიწადასაყრელს“ და ხელით მიანიშნებდა თა-ვისი ბინის ფანჯრების წინ ტროტუარზე მიმობნეულ სიბინძურეზე და ნაგავზე.

„...რაც კი ჩაუცეცხლია — ნარჩენები იქ დაუყრია; მაგისი კუბო ვნახე მალე; ეგ გასახმობი და სასიკვდილო, რამ შეაჭამა ამდენი თხილი და კაკალი მაგ მუცელჩასახეთქს; ეგ უვარგისი და კახპა; როგორ გამიბედა მაგ დამპალმა; ეგ დორბლიანი და უნამუსო, რო-გორღა უნდა დაქენახოს ეგ ბოზანდარა ეგა. ქალი არ ვიყო, თუ არ ვანანო მაგ გათახსირებულს; ერთი გაბედოს აქ გამოვლა და განახებთ მის სეირს, პირში უნდა ჩავტენო ეს ჩენჩოების გროვა იმ უჯიშოს!..“

ბოლო სიტყვებმა ძლივს მიაღწიეს ოთარის ყურთასმენამდე, იგი აჩქარებული ნაბიჯებით ტოვებდა ვიწრო შესახვევს.

თამაშობანა

12–13 წლის ვიქნებოდი, როცა ერთხელ ჩემ თანატოლ გოგონასთან ეზოში ვთამაშობდი. როშელიღაც მომენტში სხეულებით ოდნავ შევეხეთ ერთმანეთს. უცბად მოხდა ის, რაც ბოლომდე დღესაც ვერ ამიხსნია. გოგო გაიქცა ხეხილის ბაღისკენ და მეც, ინსტიქტურად, თავაწყვეტილი დავედევნე. კარგა ხანს ირბინა კისკის–კისკისით და მეც კარგა ხანს ვდიე, თუმცა ვერ დავეწიე. რომ დავწეოდი, მერე რა?.. ჩვენ ხომ სულ 12–13 წლისანი ვიყავით! მაშინ ვფიქრობდი — ნეტავ, რას დარბის ან მე რად დავდევ–მეთქი, მაგრამ ახლა კი ვიცი, რომ იმ სირბილ–დევნაში (კ/ფ „სიყვარული ყველას უნდა“) იყო რაღაც ბუნებრივი, ღრმად შეფარული და შესაფერისი მომენტის მოლოდინში ჩასაფრებული მდედრისა და მამრის ურთიერთლტოლვის საწყისი სიმპტომები. ეგ იყო და ეგ. ვირბინეთ და მოვრჩით. მოგვიანებით მივხვდი, რომ ბუნებამ სწორედ მაშინ აახმიანა ჩვენში ის ზარი, რომლის ჰარმონიულ ჟღერადობაშიც უნდა გაღვივდეს მდედრისა და მამრის ერთობლივი ცხოვრების ბუხარი, რომელშიც საბოლოოდ ცხვება გემრიელი კვერი.

იმ გოგომ თავისი გზით ირბინა, მე ჩემი გზით. აღარ გვინახავს ერთმანეთი.

„...ვივიწყებ, მაგრამ ვით დავივიწყო,
ვნება ყრმობისა — მომდები ალის,
მკერდი გულისთვის მიმაჩნდა ვიწროდ,
როცა შემეხო პატარა ქალი.
                  იდინა უკვე წყალმა რამდენმა,
                  ახლა ის ქალი სად არის ნეტავ?..
                  დრომ მოგონება როდი განდევნა
                  და ოცნებასთან ჭიდილსა ვბედავ.

აკვიატება სჩვევია ყველას,
მეც, ასაკოვანს ეს სენი მძალავს
და ბავშვობის იმ ცეცხლოვან ვნებას,
სულის სიღრმეში ფაქიზად ვმალავ“.

ვიტრინის იქით

უკვე 18 წლის ვარ და ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პირველ კურსზე. კახელი გლეხის ბიჭს თბილისმა თავბრუ დამახვია. პირველად ვნახე მაღალი შენობები, ტრამვაი, ტროლეიბუსი, განიერი პროსპექტები და ა.შ. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც თვალს და გულს ახარებდა თბილისელი ლამაზი გოგოების სიმრავლე. კისერი მტკიოდა აქეთ-იქით ყურებით. ერთიმეორეზე ლამაზი და მომხიბლავი გოგონები საოცარ ატმოსფერის ქმნიდნენ. თვალები გამიფართოვდა და გულიც ლამის ამოვარდნილიყო საგულედან.

სტუდქალაქიდან უნივერსიტეტამდე ფეხით მივდიოდი ხოლმე. ერთხელ ტროტუარზე ბევრი ადამიანი დავინახე შეკრებილი. ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. მიპასუხეს, ტანსაცმლის ახალი მაღაზია გახსნეს და მთელი თბილისი აქ მოდისო. გავიფიქრე, უკან დაბრუნებისას შევივლი და დავათვალიერებ. როგორც შემდეგ გავიგე, თურმე, ხალხს მაღაზიის დიზაინი უფრო იზიდავდა, ვიდრე სხვა რამ. მაღაზია, როგორც იტყვიან, უმაღლეს ევროპულ სტილში იყო შესრულებული და მანამდე უცნობი მასალებით და აქსესუარებით იყო აღჭურვილი. დაბინდებისას დავბრუნდი სახლში. მივედი იმ მაღაზიასთან. დაკეტილი დამხვდა. თუმცა ვიტრინები იყო გაჩახჩახებული, საიდანაც მანეკენების ჯგუფი იცქირებოდა. ერთ-ერთმა მანეკენმა-ქალმა გამაოცა თავისი გარეგნული სილამაზით და ჩაცმულობით. ასეთი მშვენიერება არასდროს მი-

ნახავს: აშოლტილი ტანი, ნახევრადმოშიშვლებული მკერდი, გრძელი ფეხები, ცისფერი თვალები, ოქროსფერი თმები, პეპლებივით წამწამები და ბროწეულისფერი ტუჩები...

ჰოი, საოცრებავ, რას არ შექმნის კაცის ხელი?!.

ყოველ ავლა–ჩავლაზე ვჩერდებოდი ვიტრინასთან და ვტკბებოდი იმ საოცრებით. მოსვენება დავკარგე. ბოლოს ისიც კი მოეჩვენა, რომ მიღიმოდა და თვალს მიკრავდა.

სამთვიანი არდადეგების შემდეგ დავბრუნდი თუ არა თბილისში, იმ მაღაზიას მივაკითხე, მაგრამ მანეკენები აღარ დამხვდნენ. ვიტრინების იერსახე ახლა სულ სხვანაირად გამოიყურებოდა. გული დამწყდა, მაგრამ რას გავაწყობდი. კარგა ხანს ვერ დავივიწყე ის მანეკენი.

„ძმვენიერებით, სინატიფით, ცისფერ თავშალით
დგახარ ჩემს ზემოთ საროს ტანით, სანთლის თითებით,
არ ლაპარაკობ, არ კამათობ, არ ხარ აშარი
და არც თავს ირთობ ზღაპრებით და რაღაც მითებით.

ვიტრინის იქით ოდნავ ბნელა, ოდნავ ანათებს,
როგორც ოცნებას, მანდ დაგეძებ, მანდ მეგულები,
საშწუხაროა, დასანანი — ველი არაფერს...
ვერ გადეჭდობა, ვერ შეხვდება ჩვენი გულები...“

ცოცხალ მანეკენებს მიაქციე ყურადღებაო, მირჩიეს ძმაკაცებმა და ასეც მოვიქეცი, თუმცა „ის“ მაინც არ მავიწყდებოდა.

მოკრივის და

ლექციებს შორის შესვენებებზე უნივერსიტეტის დერეფნები ივსებოდა სტუდენტებით. იყო ერთი ჟივილ-კისკისი. ზოგი ბუფეტისკენ მიიჩქაროდა, ზოგი სიგარეტის გასაბოლებლად ტუალეტში შერგავდა თავს, ზოგი სხვა ჯგუფებში მოსწავლე ნაცნობს დაეძებდა და ა.შ. მოკლედ, 10-15 წუთიანი შესვენება იყო ერთგვარი მხიარული და ხმაურიანი ასპარეზი.

ფანჯრიდან გავყურებდი უნივერსიტეტის შიდა ეზოს. შესვენება დუღდა და თუხთუხებდა. უცბად სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. შემოვტრიალდი და რას ვხედავ — კედლებს აკრული სტუდენტები სულგანაბულები იცქირებოდნენ ერთი მიმართულებით. ვიფიქრე, ალბათ, რექტორი მოდის-მეთქი თავის „ნაზირ-ვეზირებით“.

ოი, საოცრებავ! რას ხედავს ჩემი თვალები. დერეფნის შუა ზოლზე გედივით მონარნარებდა „ის“, „ჩემი მანეკენი“. ელდა მეცა, თავი სიზმარში მეგონა. ვაი, შენს თავს უბედურს — გავიფიქრე და თვალები დავხუჭე. გავახილე თვალი და „ის“ არის, ნამდვილად „ის“ არის. უკვე ცხადად მივხვდი, რომ არც სიზმარი იყო და არც მოჩვენება. მოაბიჯებდა აშხვართული ფეხებით და თან მოჰქონდა ამაქვეყნის ყოველი სილამაზე და შშვენიერება. ისევ ის ცისფერი თვალები, ისევ იმ პე-

პლებივით ძოფარფატე წამწამებს ძიღმა; ისევ ის ოქროსფერი თმები და ისევ ის ბროწეულისფერი ტუჩები...

მოარხევდა მოხდენილ ტანს და შეფარულ ძზერას ტყორცნიდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, თითქოს სურდა გაეგო — უცქერენ თუ არა, ტკბებიან თუ არა მისი სილამაზით. დერეფნის ბოლოში შემოტრიალდა და ისევ გამომწვევად ჩაიარა „პოდიუმზე" ჩაწყობილი სტუდენტების წინ...

ლექციის მოსმენის და ჩაწერის თავი აღარ მქონდა. ვგრძნობდი, რომ ჩემამდე არ აღწევდა პროფესორის სიტყვები. სული ამიფორიაქდა, მოსვენება დავკარგე. შესვენების ზარის ხმას ველი მოუთმენლად. იქნებ ისევ ჩამოინარნაროს...

ეზოში აღარ ვიყურები; დერეფნის იმ მხარეს მიშტერებია ჩემი თვალები, საიდანაც „ის" გამოჩნდა და მერე გაუჩინარდა. როგორც იქნა გამოჩნდა, აიარ–ჩაიარა, შეგვათვალიერ–შემოგვათვალიერა და ისევ გაუჩინარდა. ყველაფრით ეტყობოდა, რომ იცოდა, კარგად იცოდა თავისი სილამაზისა და მომხიბვლელობის შესახებ და დემონსტრაციულად, ოდნავშესამჩნევი ხაზგასმით აფრქვევდა ბუნების მიერ ნაბოძებ მშვენიერების თაიგულის სურნელებას.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ბიჭები, ერთმანეთისგან ფარულად, ყოველდღე ველოდით მის გამოჩენას. მან აგვირია შესვენებების რეჟიმი, დაგვიკარგა მოსვენება.

გადავწყვიტე ავდევნებოდი და გამეგო — ვინ არის, რომელ ფაკულტეტზე სწავლობს, რა ჰქვია და ა.შ. და დაიწყო ჩემი სიჭაბუკის დროინდელი „დევნის" მომდევნო ეტაპი.

შორიახლოს ვცდილობდი ყოფნას და ვტკებოდი მისი სილამაზის ცქერით. ერთ თვეზე მეტხანს ვდიე. მისი მშვენიერებით იმდენად ვიყავი მონუსხული, რომ მიუწვდომლად მიმაჩნდა... ვერ ვბედავდი უფრო „აქტიურ" მოქმედებას. რაღა თქმა უნდა, შემამჩნია და დამიმახსოვრა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ვიგრძენი მისი მხრიდანაც რაღაცნაირი აზარტის გამოვლინება — უკვე ცდილობდა ეშმაკური ილეთების ჩატარებას; ხან ფეხს აუჩქარებდა, ხან შეანელებდა და აკვირდებოდა ჩემს რეაქციას.. ეს უკვე საინტერესოდ მოქეჩვენა და ცოტა გავთამამდი. ერთხელაც მყისიერად აუჩქარა ნაბიჯს და მოსახვევს იქით გაუჩინარდა. მეც „ავკრიფე“ სიჩქარე და შევუხვიე თუ არა, მაჯაში მტაცა ხელი და ისე მომიჭირა, ტკივილი ვიგრძენი. დავიბენი, აღარ ვიცოდი რა მექნა.

— რას დამდევ, რატომ მოსვენებას არ მაძლევ — მომახალა გააფთრებულმა და ჯიქურ ჩამხედა თვალებში.

— მე... მე.... ისე.

— რა ისე და ასე აგიტყდა... გინდა, ჩემს ძმას ვუთხრა, რომ ერთი მაგრად გაგბერტყოს?! აღარ დაგინახო ადევნებული, თორემ, რაც მოგივა შენს თავს დააბრალე. მითხარი რა გინდა, რა ჩრდილივით დამდევ?

— ხელი გამიშვი და გეტყვი, რაც მინდა, ამოვღერღე როგორც იქნა და ახლა მე ჩავხედე ცისფერ თვალებში და მუხლებში სისუსტე ვიგრძენი.

— რა მინდა და შენი მშვენიერებით ვტკბები.

— ოხ, ოხ... დამიწყო ამანაც ქათინაურები — გამოსცრა ბროლის კბილებს შორის.

— ხომ იცი, რომ ძალიან ლამაზი ხარ; ბუნებამ დაგაჯილდოვა ჯადოსნური მშვენიერებით და რა მოხდება, რომ მეც დავტკბე შენი შორიახლოდან ცქერით, ამით ხომ არაფერი დაგაკლდება, მე კი გავიხარებ...

— ოხ, მომინდომა ტკბილი ჩაი; მე ჩამომშორდი და სხვასთან გაიხარე; გახსოვდეს, რომ ჩემი ძმა მოკრივეა.

მოკრივე კი არა, ტანკი რომ წამოსულიყო ჩემს გასანადგურებ-

ლად, ზედ შევახტებოდი და მუშტებს დავცხებდი — ისეთ ხასიათზე ვიყავი.

— მომისმინე ერთ წუთს (ახლა მე ვტაცე მაჯაში ხელი და ოდნავ მოვუჭირე მარჯვენა), რაღაცას გეტყვი და მიპასუხე ისე, როგორც გული გიკარნახებს. მერე შეგეშვები და ჩემი გზით წავალ „ტკბილი ჩაის დასალევად“.

— მითხარი, აბა რა გინდა (დაინტერესება აშკარად გამოსჭვიოდა მისი თვალებიდან).

— ახლა მოიკრიფე გონება და ძალა... წარმოიდგინე, კარგად წარ-მოიდგინე, რომ დანარნარებ ამ გრძელ დერეფნებში და არცერთი ბიჭი ზედაც არ გიყურებს და საერთოდ ვერავინ გამჩნევს, რა ხასიათზე დადგები?!

პაუზა დიდხანს გაუგრძელდა... ვერ წარმოედგინა ის, რაც მე ვუთხ-არი... უცბათ ორივე ხელი კისერზე მომხვია, ცისფერი თვალებიდან მუდარა გადმოაფრქვია და ოდნავგასაგონი ნაზი ხმით მითხრა:

— ოღონდ ეგ არა, ოღონდ ეგ არა... გამომგლიჯა ხელი და სირ-ბილით გაქშორდა.

ერთი კვირა აღარ გამოჩენილი „ჩვენს“ დერეფანში.

ვნანობდი — იქნებ გული ვატკინე და ჩავიფიქრე — თუ კიდევ ვნახავ, ბოდიშს მოვუხდი და პატიებას ვთხოვ-მეთქი.

ერთ-ერთ შესვენებაზე, როგორც იქნა, გამოჩნდა. ჯგუფელმა გო-გოებმა ჩამჩურჩულეს — მოეშვი ფანჯარაში ცქერას, გაიხედე, ნახე ვინ მოდისო.

სიხარულისგან ლამის ჭერს მივარტყი მათემატიკოსობისთვის გა-დადებული თავი. აიარა ჩვეულებისამებრ გედისებრი ნარნარით ისე, რომ არც შემოუხედავს. მალევე ჩამოიარა და მანიშნა გამოქეცეო. სიხარულის ჟრჟოლამ ჩაირბინა ტანში და შორიახლოს ავედევნე სტუ-დენტებით გადატენილ დერეფანში. სადღაც მიაგნო მყუდრო ადგილს,

შემომიტრიალდა და წინასწარმოფიქრებული სიტყვებით მომმართა: „... თუ გინდა ჩემთან იარო ყოველდღე, ლექციების მერე სახლამდე უნდა მიმაცილო. მეც ეს მინდოდა. მაშინ ქუჩაში და თავშეყრის ადგილებში გოგოსთან ერთად სიარული უკვე რაღაცას ნიშნავდა.

ამჯერად უკვე გვერდიგვერდ ვედექით ერთმანეთს და საუბარიც კარგად გამოგვდიოდა. ვამჩნევდი, რომ მოსწონდა ჩემი ყურადღება და გულწრფელობა. თუმცა, მრავალჯერადი გაცილება–მიცილების შემდეგ ისიც შევამჩნიე, რომ ეამაყებოდა ბიჭის გვერდით ყოფნა და გამომწვევად გადახედავდა ხოლმე შემხვედრ გოგონებს. ერთი კვირის შემდეგ მის უბანში დამეძახა სიტუაცია. უკან გამობრუნებულს წინ ამედობა ოთხი–ხუთი ბიჭი და კატეგორიულად მომთხოვეს თავი დამენებებინა იმ გოგოსთვის. შევატყვე, რომ საცემრად იყვნენ გამზადებულები (გამახსენდა მამაჩემის სიტყვები — ქალს უნდა პატივი სცე; უნდა დაიცვა მისი და შენი ღირსებაც; ცივი ნიავი არ მიაკარო; ხელის გულზე უნდა ატარო და ა.შ.). არაფერი ვუპასუხე და წავედი სტუდქალაქისკენ.

მეორე დღეს ჩვეულებრივ მივაცილე, შევუღე სადარბაზოს კარი და გამოვბრუნდი. შევამჩნიე, თუ როგორ მითვალთვალებდნენ მისი უბნელი ბიჭები (მაშინ ერთი დაუწერელი წესი არსებობდა — გოგოს თვალწინ და მასთან მყოფს არაფერს გეტყოდნენ და არც ფიზიკურად გაგისწორდებოდნენ, არ დაგამცირებდნენ; ცალკე გაგიყვანდნენ და ისე იყრიდნენ ჯავრს). მისი სახლიდან ოდნავ მოშორებით დამხვდნენ და დამეხვივნენ — არც მუშტები და არც წიხლები დაიშურეს. თუმცა, ჩემიც მოხვდა ზოგიერთს.

მომდევნო დღეს კვლავ გავაცილე ცისფერთვალება. გზაში მეკითხება — რა გაქვს თვალისძირში, რატომ გაქვს დალურჯებული. არაფერია, გუშინ საღამოს კალათბურთი ვითამაშე და ხელი მომხვდა–მეთქი.

ეშმაკურად ჩაიღიმა და სხვა თემაზე გავაგრძელეთ საუბარი.

მისი კორპუსის წინ შორიდანვე შევნიშნე ის ოთხი თუ ხუთი ბიჭი. ჩემი „დაცვისქვეშ მყოფი“ შევაცილე სადარბაზოში და მოვემზადე თავის დასაცავად. იმ დღეს უფრო ბევრი მომხვდა და თან მუქარაც გამომაყოლეს — იცოდე, მისმა ძმამ თუ გაიგო, მოგკლავსო.

სამი თუ ოთხი დღე დამჭირდა ცხვირ-პირის წესრიგში მოსაყვანად და ისევ გავაცილე. ამჯერად უკან ჩემი ძმაკაცები მომყვებოდნენ. შევედით ეზოში. მივაცილე სადარბაზომდე და გამოვბრუნდი. უბნელმა ბიჭებმა შეამჩნიეს ჩემი ძმაკაცები და ადგილიდან არ დაძრულან. ვიფიქრე — მომეშვნენ-მეთქი და გათამამებულმა თავი ლაღად ვიგრძენი. თითქოს რაღაც ძალა მომემატა და რაღაცნაირი, უცნაური შვებაც ვიგრძენი.

პირობის თანახმად, ყოველდღე ვაცილებდი სახლამდე. უბნელი ბიჭები ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. გაბედულად მივდიოდ-მოვდიოდი მათ ეზოში. ჩემში დუღდა და თუხთუხებდა იქამდე უცნობი რაღაც გრძნობა, თავი მეშვიდე ცაზე მეგონა. მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი სიხარული და საამო განწყობა.

ერთ-ერთი გაცილებისას, მისი სახლის სიახლოვეს წინ ამეღობა ახმახი აგებულების, ერთთავად დაკუნთული ახალგაზრდა. ჩემზე მთელი თავით მაღალი იყო და ასაკითაც 4-5 წლით უფროსი იქნებოდა.

— შენ ადი სახლში, ამას მე დაველაპარაკები და მერე შენც მოგივლი — მიმართა ცისფერთვალებას.

— რა ვქნა, არ მეშვება, მოსვენებას არ მაძლევს. რამდენჯერ ვაცემინე უბნელ ბიჭებს და თავს არ მანებებს. ერთი შენებურად გაუსწორდი ამ გოიმს და მეც მოვისვენებო — შესჩივლა ძმას ცისფერთვალებამ და სირბილით წავიდა სახლისკენ.

ამ სიტყვების გაგონებას ის მერჩივნა, მიწა გამსკდარიყო და თან ჩავეყოლე. თვალთ დამიბნელდა. გონება დამებინდა, ნისლი გადაეფარა ყველაფერს. გულში საშინელი ტკივილი ვიგრძენი. ვიფიქრე, ჯობია, აქვე მომკლას-მეთქი მისმა ძმამ.

— ახლა რასაც გეტყვი, კარგად დაიმახსოვრე და შეასრულე. კარგი ბიჭი ჩანხარ, ერთგული და ღირსების მატარებელი. ჩემს დას საქმრო ჰყავს, ჯვარი აქვთ დაწერილი; მალე ჩამოვა ჯარიდან და ქორწილიც შედგება. ისე, რომ ეს გაცილება–მიცილება არ გამოვა. შეეშვი, გოგოების მეტი რა არის თბილისში. თუ რაშეში დაგჭირდე, არ მოგერიდოს, იცი, სადაც უნდა მომნახო, მხარში ამოგიდგები. აბა, შენ იცი, იმედია ყველაფერი კარგად გაიგე. მხარზე ხელი მომითათუ–ნა, გატრიალდა და ორმეტრიანი ნაბიჯებით წავიდა სახლისკენ.

მას შემდეგ აღარც ცისფერთვალება მინახავს და აღარც მისი გო–ლიათი ძმა. ასე დამთავრდა მამრისა და მდედრის დევნა–დადევნების მეორე ეპიზოდი. ისე რომ, უსულო მანეკენიც დავკარგე და ცოცხალი მანეკენიც გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. მაშინ 18 წლის ვიყავი.

თავაწევით დადიხარ,
დანარნარებ გედივით.
ჩემი ყრმობის დარდი ხარ,
უცნობი ხარ ბედივით.
ჩემკენ არ იხედები,
სად გაგირბის თვალები?!
მითხარ დაიმედებით,
რომ არ მომკლავ წვალებით.
მინდა ვიყო მეგზური,
რომ გაგითბო საგულე,
ნეტავი რას მემდური,
ნეტავი რას მაგულებ.
ნუ გამწირავ ბოლომდე,
მკერდს ნუ მინგრევ ურნალით,
გახსოვდეს, რომ მხოლოდ მე,
მე ვარ შენი მკურნალი.

ჩინურ რესტორანში

უფროსმა გამომიძახა და მითხრა — ზეგ მოსკოვში მივდივარ მივლინებით, შენც უნდა გამომყვე. ეს შენი პირველი მივლინება იქნება და გაგაცნობ იქაურობას და მუშაობის პირობებს. ხშირად მოგიწევს სხვადასხვა ქალაქში სამივლინებო პირობებში ყოფნა და მინდა, რომ შეეჩვიოო.

გამეხარდა და დავიწყე სამზადისი.

მოსკოვში ჩავფრინდით 4 აპრილს, საღამოხანს. მოვეწყეთ სასტუმროში. ოციოდე წუთის შემდეგ უფროსი მეუბნება — წამოდი, გამომყევი მეგობრობის ინსტიტუტში, ჩემ საცოლეს გაგაცნობო (ეს ის ინსტიტუტი იყო, სადაც უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობდნენ). მივედით ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში. სტუმართა მისაღები ოთახიდან დარეკა ჩემმა უფროსმა და ხუთიოდე წუთში გამოგვეცხადა საოცრად პატარა ტანის ვიწროთვალებიანი გოგონა (მერე გავიგე, რომ კორეელი იყო).

გადაეხვივნენ ერთმანეთს კოცნა-კოცნით. უფროსმა ჩემი თავი წარუდგინა. სავარძელში მოკალათებულებმა კარგა ხანს ვისაუბრეთ. მერე უფროსმა უთხრა საცოლეს — წადი, მოემზადე, რესტორანში ვივახშმოთო. კორეელი ხტუნვა-ხტუნვით წავიდა. ერთ საათზე მეტი გვალოდინა — ასე იციან ქალებმა. ისე შეეცვალა გარეგნობა, რომ ძლივსღა ვიცანი.

ტაქსი დავიქირავეთ. მე პირველად ვიყავი მოსკოვში და სად რა იყო, არ ვიცოდი. ჩემი უფროსი კარგად იცნობდა იქაურობას.

მოსკოვში ჯერ კიდევ საკმაოდ ციოდა. ხალხი თბილი ტანსაცმლით დადიოდა. უკვე დაღამებული იყო, როცა რომელიღაც რესტორანთან შეჩერდა ტაქსი. მგზავრობის ფული გადავიხადე და კარი გამოვუღე კორეელ სარძლოს. ხელკავით შეწყვილებულებს უკან გავყევი.

ჩინური რესტორანი უყვარსო ჩემ საცოლეს, ხაზგასმით მითხრა უფროსმა. გაგებული მქონდა რესტორან „პეკინის“ შესახებ, რომ საკმაოდ ეგზოტიკური კერძები ჰქონდათ.

რესტორანში შესვლის წინ ჩემს უფროსს მივმართე ოდნავ მუდარაშერეული თხოვნით — დღეს ჩემი დაბადების დღეა და დამდეთ პატივი, რომ მე ვიყო თქვენი მასპინძელი-მეთქი. კარგიო, მიპასუხა, მომილოცა და თავის საცოლესაც ამცნო სასიხარულო ამბავი.

ყვავილის გვირგვინივით ჩამომეკიდა ბეღურასტოლა კორეელი კისერზე და პომადით ამიჭრელა ლოყები.

წავედით შესასვლელისკენ. უფროსი და მისი საცოლე წინ გავატარე. შვეიცარმა ჩვეული მოძრაობებით შეაღო კარები და თავის ქნევით შეაცილა ისინი. მე კი წინ ამედობა და არ შემიშვა. მითხრა, მარტოს ვერ შეგიშვებო. ასეთ რამეს აშკარად არ ველოდი. ვეუბნები, მარტო არა ვარ, მათთან ერთად ვარ-მეთქი.

არაო, შენ ვერ გაგვიგე, უქალოდ ვერ შეგიშვებთ, ასეთია წესი. ვერც ჩემი უფროსის ახსნა-განმარტებებმა გასჭრა. ვატყობ, ცუდად არის საქმე. დაბადების დღეს მიმწარებენ. დავიბოღმე.

უფროსმა მითხრა, მიდექ-მოდექი, რა, ქალი ვერ უნდა მონახო ამხელა ქალაქში.

ვაი, შენს პატრონს, ჩემო თავი, ეს რა დღეში ვარ...

უფროსს ვეუბნები — კარგი, თქვენ შედით, რაც გინდათ და გაგეხარდებათ შეუკვეთეთ, არ მოიწყინოთ, რაღაცას მოვახერხებ.

ვდგავარ სასტუმროს წინ. თან მოსკოვური სიცივე მაწუხებს, თან შექმნილი სიტუაცია. შვეიცარმა ულვაშებზე ხელი აისვ-ჩაისვა და რჩევას მაძლევს — გაიარ-გამოიარე, ვიღაცას ნახავ, გენაცვალე.

კარგა ხანს ვიარე აქეთ-იქით. არ გინდა ასეთ დროს შენი შესაფერი ქალი ჯერ მოძებნო და მერე დაითანხმო, რომ რესტორანში გამოგყვეს?!

რუსული ენა რუსებზე კარგად ვიცი, მაგრამ მარტო ეს საკმარისი რომ არ იყო, დიდიხანია ვიცოდი.

ბევრი გოგო გავაჩერე — ვუხსნი, ჩემი დაბადების დღეა, ახალი ჩამოსული ვარ, არავის ვიცნობ, გამიწიეთ პარტნიორობა და ა.შ., მაგრამ ზოგმა რა მოიმიზეზა და ზოგმა რა. დრო მიდის, ცხვირპირი მეყინება. რესტორნიდან კი საცეკვაო მუსიკის ხმები ისმის.

დავინახე სანდომიანი ქალბატონი ახალგაზრდა გოგონასთან ერთად. ნელი ნაბიჯებით და საუბრით მოდიოდნენ ჩემსკენ (დედა და შვილი აღმოჩნდნენ).

მივმართე საკმაოდ სიმპათიურ ქალბატონს და ავუხსენი ვითარება. გაოცებული მისმენდა. მერე მიპასუხა, რომ მე ვერ წამოვალ, არ შეიძლია და თუ ეს (შვილზე მიმითითა) წამოგყვება, მე წინააღმდეგი არ ვიქნებიო. გოგომ სიხარულით განაცხადა თანხმობა. მეც ეს მინდოდა, ხელი გავუწოდე და ვთხოვე, გამომყოლოდა.

არა, არა... ასე როგორ შეიძლება. ჩემი ქალიშვილი სარესტორნოდ არ არის ჩაცმული — მკაცრი ტონით განაცხადა დედამ.

წამოგვყევი სახლში, აი, იქ ვცხოვრობთ და თითი გაიშვირა მაღლივი შენობისკენ. გადაიცვამს ტანსაცმელს, თავს წესრიგში მოიყვანს და მერე წადით.

მეტი რა გზა მქონდა, გავყევი. სანამ გოგო ემზადებოდა, სიმპათიური ქალბატონი რუსული ჩაით და „ფოჩიანი“ კანფეტით გამიმასპინძლდა. საათზე დავიხედე. ღამის ათ საათს აღარაფერი უკლდა. შევწუხდი, ვიფიქრე, როგორ ნერვიულობს-მეთქი ჩემი უფროსი.

ამ დროს შემოვიდა სარესტორნედ გამოწყობილი გოგონა. 20-21 წლის იქნებოდა. მე ასეთი სილამაზე იშვიათად მინახავს. გუნებაში „ჩრდილოეთის დედოფალი ვუწოდე. მოხიბლული ვიყავი მისი ღიმილით, საუბრის ტონით, მიხვრა-მოხვრით და უაღრესად დახვეწილი სამოსით.

გამოსვლისას დედამისმა მთხოვა — მარტო არ გამოუშვა, აუცილებლად გამოაცილეო.

ულვაშებიანმა შვეიცარმა ღიმილით გამიღო კარები და ყურში ჩამჩურჩულა — „ძალადეც, გენაცვალე“.

გაიხარეს ჩემმა უფროსმა და მისმა საცოლემ. წარვუდგინე „ჩრდილოეთის დედოფალი“ და სწრაფად შევაფასე სიტუაცია.

რესტორანში მყოფნი უკვე საკმაოდ იყვნენ შეზარხოშებულები. იყო ხმაური და სიცილ-კისკისი. ოფიციანტი ბიჭები საოცარი მანევრირებით დაქროდნენ მაგიდებს შორის და იყო ერთი ჩხაკუნ-კაკუნი და აღტაცების შეძახილები.

ჩემმა უფროსმა მოიხმო ოფიციანტი და სთხოვა მოგვმსახურებოდა მე და ჩემ პარტნიორ გოგონას.

„ჩრდილოეთის დედოფალმა“ ყურში ჩამჩურჩულა, პირველად ვარ რესტორანში და დამეხმარე, რომ არაფერი შემეშალოსო.

ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი, ვუპასუხე და ისევ ცხონებული მამაჩემის სიტყვები ამოტივტივდა გონებაში: „გახსოვდეს, რომ კაცი დაბადებულია ქალის სათაყვანებლად, მისი სურვილების აღსასრულებლად და ხელის გულზე სატარებლად“.

რესტორნის დიდ დარბაზში მხიარულებამ პიკს მიაღწია. ესტრადის მუსიკოსები ერთიმეორეზე უკეთეს და პოპულარულ საცეკვაო მუსიკას ჩუქნიდნენ გალაღებულ სტუმრებს და არც ეს უკანასკნელნი რჩებოდნენ ვალში — დაუფარავად უტენიდნენ ჯიბეებში ტკიცინა ათ და ოცდახუთმანეთიან კუპიურებს.

სუფრაზე ყველანაირი სასმელი გვქონდა და არც უცნაური, მაგრამ გემრიელი, ჩინური კერძები გვაკლდა. ოღონდ „ჩრდილოეთის დედოფალი“ გამეხარებინა და სიამოვნება მიმენიჭებინა — არაფერს ვიშურებდი. ოფიციანტი დავღალე აქეთ-იქით სირბილით, გასამრჯელოსაც საკმაოდ ვაძლევდი (აქვე ვიტყვი, რომ ფული ბევრი

მქონდა ჩემიც და სხვისი გამოტანებულიც. სია საყიდლებისა ცალკე მედო ჯიბეში. რის ჩატანა აღარ მთხოვეს ჩემმა თანამშრომლებ–მა: ელექტროსაპარსი, მოდური პერანგები, სუნამოები, კოლგოტკები, ფეხსაცმელები, სანადირო ოოფის გილზები, მაგნიტოფონი და ათასი სხვა რამ).

„ჩრდილოეთის დედოფალი“ მხოლოდ შამპანურს მიირთმევდა. გამ–ხიარულდა და საოცარი ჭიკჭიკით გაგვაოცა. მალე გაუშინაურდა ჩემი უფროსის საცოლეს და არც კომპლიმენტები მოაკლო. მოკლედ, ქეიფი გახურდა.

გინდა, გიმღერო–მეთქი, ჩავჩურჩულე „ჩრდილოეთის დედოფალს“. მართლა... ძალიან გამახარებო, ასევე ჩურჩულით მიპასუხა.

მივედი მუსიკოსებთან და ვთხოვე მათი აკომპანიმენტის ქვეშ მემ–ღერა. კი ბატონო, მითხრეს, მაგრამ მაგას ხომ იცი, რა სჭირდებაო. ორმოცდაათმანეთიანი ჩავუდე ჯიბეში, მიკროფონი გამოვართვი და ლეონიდ უტიოსოვის ცნობილი რომანსი „სერდცე“ შევუკვეთე.

დარბაზი ტაშის კვრამ შეაზანზარა. მუსიკოსების ხელმძღვანელმა დარბაზს ამცნო, რომ ჩემი დაბადების დღე იყო. მეორედ იქუხა ტაშ–მა. „ჩრდილოეთის დედოფალმა“ გადამკოცნა და მითხრა — ძალიან გამახარეო.

სხვადასხვა სუფრიდან მოლოცვას მითვლიდნენ, ფეხზე ადგომით მადღეგრძელებდნენ და საჰაერო კოცნას მიგზავნიდნენ. იმ წუთებში ძალიან ბედნიერი ვიყავი ყველაფრით, განსაკუთრებით კი იმით, რომ დიდი სიხარული მივანიჭე „ჩრდილოეთის დედოფალს“.

ჩვენს სუფრაზე შეისვა მორიგი სადღეგრძელო. ერთხელ კიდევ და–ვიმსახურე მისი კოცნა, როდესაც ქალების სადღეგრძელო შევთავაზე და განსაკუთრებული თბილი სიტყვებით მოვიხსენიე მისი დედა, რო–მელიც დიდი ხანია, რაც ქმართან გაშორებულია და მარტოდ ზრდის თავის პირმშოს.

ლუკმა დავაყოლე შესმულ ღვინოს და გაისმა რაღაც პომპეზური მუსიკის ხმა, არა ესტრადიდან, არამედ სადღაც მოფარებული გამა-ძლიერებლიდან. დამთავრდა ჩემთვის უცნობი ჰანგების ჟღერადობა, წამოიშალა ხალხი და ნელი ნაბიჯებით წავიდნენ გარდერობისკენ. ვერ მივხვდი, თუ რა ხდებოდა.

ჩემმა უფროსმა ამიხსნა — ეს ჩინეთის ჰიმნი იყოო. ახლა ყველამ უნდა დავტოვოთ აქაურობა, წესია ასეთიო. ოფიციანტიც გვეახლა და ანგარიში წარმოგვიდგინა (საოცარი თანხა იყო შეჯამებული, თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე სხვა რესტორნებში).

შექმნილი სიტუაციით გაოცებულმა და აღშფოთებულმა გადავხედე „ჩრდილოეთის დედოფალს“ — ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან, მისი სახე სასოწარკვეთას გამოხატავდა.

რა მოხდა, რატომ ტირი-მეთქი. ძალიან მინდოდა მეცეკვა შენთან ერთადო. გულში რაღაც ჩამწყდა უეცარი ტკივილისგან. გავიხედე ესტრადისკენ. მუსიკოსები ალაგებდნენ ინსტრუმენტებს და წასასვ-ლელად ემზადებოდნენ.

ერიჰაა, გავიფიქრე და ნაბიჯი გადავდგი ესტრადისკენ, თან ჩამესმის მამაჩემის სიტყვები — „მოეფერე და აუსრულე ყველა სურვილიო“. ჩემმა უფროსმა შემაჩერა, ტყუილად გაირჯები, არაფერი გამოგივა, უფრო მეტიც, შეიძლება დაგსაჯონ კიდეც, რადგან ეს შინაგანაწესის დარღვევა იქნებაო.

არაფრად ჩავაგდე უფროსის გაფრთხილება. ოდნავშემთვრალმა ეს-ტრადისკენ გავიქაჩე და მუსიკოსები შევაჩერე — ერთადერთი ცეკვა მაჩუქეთ-მეთქი — შევევედრე.

რომ იტყვიან „ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს“. რა გინდა, სამ-სახურიდან გინდა რომ გაგვყარონო. ავტეხე ერთი ამბავი. ვეუბნები ჟურნალისტი ვარ და ხვალვე დავწერ წერილს, თუ როგორ ექსახ-ურებით-მეთქი ხალხს. გასჭრა დაშინებამ. მოიყვანეს ვიღაც აწოწილი,

სათვალიანი კაცი. ეს თუ გადაწყვეტს, თორემ ჩვენ მზად ვართო. იმანაც დამიწყო მორალის კითხვა, ასეო და ისეო... უკმეხად მივახალე — უნდა წამოხვიდეთ დათმობაზე, სულ ერთი ცეკვა მინდა „ჩრდილოეთის დედოფალთან“ და დანარჩენი ჩემზე იყოს–მეთქი. დანარჩენში რას გულისხმობო — დაინტერესდა სათვალიანი.

ჩავიყავი ხელი მარცხენა შიდა ჯიბეში და ცხვირწინ დავუყარე ოხცდახუთმანეთიანების ბღუჯა. გაოცებისგან თვალები შუბლზე მოექცა. სასწრაფოდ დააბრუნა მუსიკოსები თავის ადგილებზე.

— რა გნებავთ, რას იცეკვებთ?

— რაც გინდათ დაუკარით, მე ყველაფერს ვცეკვავ. — მივახალე გახარებულმა და სწრაფი ნაბიჯებით მივაშურე „ჩრდილოეთის დედოფალს“.

დარბაზში ჟღერდა გენიალური შტრაუსის ვალსი. გარდერობში გასული ხალხი უკან შემობრუნდა. მიუსხდნენ თავიანთ მაგიდებს და გაკვირვებულებმა, თუმცა გახარებულებმა გააგრძელეს ლხინი.

ავიტაცე „ჩრდილოეთის დედოფალი“ და გამამხნევებელი შეძახილების ფონზე, დიდხანს ვაბზრიალე მაგიდებს შორის სივრცეებში.

გაიხარა „ჩრდილოეთის დედოფალმა“. მოეჩვენა, რომ ბედნიერებისაგან ცაში დაფარფატებდა. არასდროს დამავიწყდება მისი სიხარულით სავსე თვალები და მადლიერი გამოხედვა. მისმა სიცილ–კისკისმა და ოქროსფერი თმის ფრიალმა ნაადრევად დააყენა გაზაფხული მოსკოვში.

ყინული გალღვა, ახლა უკვე ვერაფერი შეაჩერებდა საზეიმო მხიარულებას. ცეკვას ცეკვა მოჰყვა, შეძახილებს შეძახილები, ტაშს ტაში და შიდა მარჯვენა ჯიბეც თითქმის დაცარიელდა.

დილის ოთხი საათი სრულდებოდა, როცა „ჩრდილოეთის დედოფალი“ სახლში მივაცილე. დედამისს ერთი ბოთლი შამპანური და ტკბილეული მივართვი.

მიმიპატიჟეს სახლში, მაგრამ არ შევედი, მელოდებიან-მეთქი. დავეშვიდობე და შევპირდი, რომ მალე ვინახულებდი. ეს იყო და ეს.

კორეელი საცოლე საერთო საცხოვრებელში მივიყვანეთ და დავბრუნდით სასტუმროში.

ცხრა საათზე სამივლინებო დაწესებულებაში მივედით. ჩემმა უფროსმა წარმადგინა იქაურ მესვეურებთან, გააცნო ჩემი მივლინების მიზანი.

მეორე დღეს დილით აეროპორტში გავაცილე უფროსი. ის საქართველოში დაბრუნდა. მე ხუთი დღე კიდევ დავრჩი მოსკოვში სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად. ცოტა გამიჭირდა, რადგან შემორჩენილი ფინანსები საკმარისი იყო მხოლოდ შავი პურისა და მოთუშული კომბოსტოსათვის. ჭირი მომჭამა კოლგოტკებმა, ელექტროსაპარსმა, წინდებმა და ა.შ.

სამაგიეროდ, ამაყად ვგრძნობდი თავს, რადგან როგორც მამრმა, ღირსეულად მოვიხადე ვალი მდედრის წინაშე. ის მდედრი აღარც მინახავს.

როგორც იტყვიან ხოლმე — „დღევანდელი გადასახედიდან“ ცოტა მიუღებლად მიმაჩნია ასეთი საქციელი. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ახალგაზრდული აღტკინებისა და ზოგჯერ ძნელადპროგნოზირებადი სურვილების შესახებ?!

კიეველი სტუმარი

1952 წლის ზაფხულში, მთაწმინდის პლატოზე (ფუნიკულიორზე) გავიცანი თბილისში სტუმრადმყოფი კიეველი გოგონა. თბილი ნაცნობობა გამოგვივიდა. მე, როგორც ყოველ ქართველს სჩვევია, „თავი მოვიქაჩლე“ და მაქსიმალურად შევეცადე სტუმრისთვის მეცა სათანადო პატივი.

ერთი კვირის განმავლობაში ვიყავით ერთად. ბოლომდე ამოვიფ-ხიკე სტუდენტური ჯიბეები, მაგრამ ოდნავადაც არ ვნახობდი, რადგან ყველა ღირსშესანიშნაობა დავათვალიერებინე — მყავდა მცხეთაში, ჯვარზე, ზედაზენში, ბეთანიაში, ოპერისა და გრიბოედოვის თეატრებში და მუზეუმებში. პარალელურად ვაცნობდი საქართველოს ისტორიას (რამდენიც შემეძლო) და, რაღა თქმა უნდა, ქართულ სამზარეულოს. მოკლედ, პირნათლად ვასრულებდი მასპინძლის მოვალეობას.

თანდათანობით ჩვენი ურთიერთობები უნებლიედ გასცდა სტუ-მარ-მასპინძლობის ტრადიციულ ზღვრებს და ჩვენს შორის გაჩნდა რაღაც აუხსნელი, მაგრამ ფრიად სასიო და კეთილშობილური გრძნობა. სულსწრაფობა გამოვიჩინე და შევთავაზე — კახეთში წავიდეთ, ჩემს ახლობლებს გაგაცნობ-მეთქი, მაგრამ ცივი უარი მივიღე. გული მეტ-კინა, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, რომ ასეც უნდა ყოფილიყო და რომ იმ უარში არაფერი იყო არაბუნებრივი

ასე იყო, თუ ისე — ორი დღე კიდევ ვიყავით ერთად. უფრო დავვახლოვდით და გავუთამამდით ერთმანეთს. მერე კი მოხდა ის, რასაც თითქოს არ ველოდი. სახლში რომ მივაცილე, ხელს არ მიშვებდა. მერე პატარა ჩანთა გახსნა, რაღაც ქაღალდი ამოიღო და მითხრა — ამაღამ მივდივარ მატარებლით ბათუმში, აი ჩემი ბილე-თი, ხომ გამაცილებო. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რა დღეში ჩავვარდი. რატომღაც მეგონა, რომ სამუდამოდ ერთად ვიქნებოდით და ერთი წუთითაც არ დავშორდებოდით ერთმანეთს. გული ჩამეწვა. ახლა მე აღარ ვუშვებდი ხელს. იქნებ კიდევ დარჩე ერთი-ორი დღე. მერე მე თვითონ გაგგზავნი კიევში, თუ გინდა, სახლამდეც ჩამო-გყვები-მეთქი. არა, ჩემო ძვირფასო, ჩემი წასვლა აუცილებელია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს თუ მოინდომებო. გავფუჭდი ბიჭი, ყურები კახური სახედარივით ჩამოვყარე და ხმის ამოღებას ვეღარ ვბედავდი.

კარგი ახლა, მითხრა მუდარით. მოსამზადებელი ვარ. გადამკოცნა, შეტრიალდა და სადარბაზოში შეირბინა. ხელის დაქნევით მომაძახა — არ დაიგვიანო, გამაცილეო.

გავაცილე, მაგრამ ვაი ასეთ გაცილებას. არასდროს ვყოფილვარ ისე დათრგუნული და გაუგებრობაში მყოფი, როგორც იმ წუთებში ვიყავი. ცრემლებით დამისველა მკერდი, იმდენი მკოცნა, რომ მთელ შემდეგ ცხოვრებაში არავის უკოცნია ამდენი ერთად აღებული. ძალა მოვიკრიფე, მასაც ხომ უნდა გაუგო, იმისთვისაც ხომ რაღაც უცნაური ხდება–მეთქი, გამიელვა თავში. მკერდზე მივიკარი, თმებზე ხელი გადავუსვი და ვუთხარი — კარგი, დამშვიდდი, მალე გნახავ–მეთქი, თან ვფიქრობ — როგორ ნახავ, სად და როდის შე ჯიბეებგამოფხეკილო სტუნდენტო–მეთქი.

დაიძრა მატარებელი, ხელი მივაშველე და გამცილებელს მივაძახე — ყურადღება მიმიქციე, სტუმარს არავინ აწყენინოს–მეთქი. ყვითელალმიანი მოკლე ჯოხი ასწია მაღლა თანხმობის ნიშნად ულვაშებიანმა გამცილებელმა.

ვიდექი პერონზე და გავყურებდი მიმავალ მატარებელს. მალე ბოლო ვაგონიც გაქრა მხედველობის არედან და ნელი ნაბიჯებით წავედი სადგურიდან გასასვლელისკენ.

არავის ვუსურვებ ასეთ ვითარებაში ყოფნას.

გამახსენდა ჩემი დაპირება — მალე გნახავ–მეთქი. ვაი, ჩემს თავს, უბედურს... როგორ უნდა ვნახო მალე, რანაირად, როდის... ამეკვიატა ეს სიტყვები და მდგომარეობა უფრო დამიძიმდა. სიტყვის შეუსრულებლობა როგორ უნდა ვიკადრო?.. არადა, რომ დავპირდი... რას იტყვის, რას იფიქრებს?.. მაშ, რა ვქნა, რა ძალა მსჯიდა, ვერ გავაჩერე ენა?.. ამ ფიქრებით დამძიმებულმა გავიარე მოსაცდელი დარბაზი და უცებ გონება გამინათდა. ვიცი, როგორ უნდა ვნახო მალე. გავიფიქრე ეს და შურდულივით მოვწყდი ადგილიდან. მოსაცდელში მთვლემარე

მგზავრები შეშინებულები შემომცქეროდნენ, იფიქრეს ალბათ — მოსაკლავად ხომ არ მისდევენო.

სადგურიდან სულ რაღაც ორ კვარტალში ცხოვრობდა ერთი ჩემი კარგი ძმაკაცი, გოდერძი ჩეკურიშვილი. „ზაპროჟეცის“ მარკის, ერთთავად დაფეხვილი და დაჭეჭყილი მანქანა (კონსერვის ქილა შეარქვეს მაშინ იმ მანქანას) ჰქონდა. შიგ რომ იჯექი, ისეთი შეგრძნება გიჩნდებოდა, თითქოს რაღაც ინგრევა ან იშლება. დასაძინებლად ემზადებოდა, როცა თავს დავატყდი.

— ჩქარა ძმაო, უნდა მიშველო; დაქოქე მანქანა, ბათუმში მივდივართ... ჩქარა, ჩქარა, ყველაფერს გზაში მოგიყვები.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, ჩემი „კონსერვის ქილით“ ბათუმში როგორ ჩავაღწევთ?!

— თუ ძმა ხარ, ჩქარა, მატარებელს უნდა გადავასწროთ. არ მიღალატო, თორემ დაგკარგავ...

— ჰო, კარგი, კარგი; მართლა გაგიჟებულხარ და ეგ არი; გასაღები უჯრაშია, მიდი გამოაგორე და გაამზადე. ახლავე მეც გამოვალ.

მატარებლის გასვლიდან დაახლოებით ნახევარი საათი იქნებოდა გასული, როცა ჩვენმა „ზაპოროჟეცმა“ დასავლეთისკენ აიღო გეზი და სულ თუხთუხ-ხტუნაობით გაგვიყენა გზას. რომ იტყვიან, სული კბილით გვეჭირა და პირჯვრის წერით ღმერთს ვევედრებოდით — არ ეღალატა „კონსერვის ქილას“.

გზადაგზა დაწვრილებით მოვუყევი ძმაკაცს ის, რაც მჭირდა. ხმა აღარ ამოუღია, სიჩქარეს მოუმატა. სადღაც სამტრედიის მიდამოებში გადავასწარით თბილისი-ბათუმის მატარებელს.

წამსვლელებისა და დამხვდურების სიმრავლე იგრძნობოდა ბათუმის რკინიგზის სადგურისწინა მოედანზე და ბაქანზე. ძრავა გამორთული გვქონდა. მანქანა კი ისევ თუხთუხებდა და ორთქლის ჭავლს აფრქვევდა.

მალე მოვალ–მეთქი, მივაძახე გოდერძის და სირბილით შევვარდი სადგურის შენობაში, მოვნახე დალაქი, ჩამოვაპარსინე ბაკები (მაშინ მოდაში იყო) და ულვაშები. თმა გადავავარცხნინე მარჯვნივ და იმდენი „ბრიოლინი“ წავასმევინე, რომ ალბათ ათ კაცს ეყოფოდა. სარკეში ჩავიხედე და კმაყოფილი დავრჩი — ძლივს ვიცანი ჩემი თავი. მერე შევიძინე ყვავილების უზარმაზარი თაიგული და მანქანის სავარძელზე ფრთხილად დავდე. გაოგნებული მიცქერდა ძმაკაცი, პირი ღია დარჩა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა.

— აბა, ახლა ტანისამოსი გავცვალოთ–მეთქი, ღიმილით ვუთხარი ძმაკაცს და უცბად გავიძრე შარვალი და პერანგი.

— რა მოიფიქრე კიდევ — ამოსცრა როგორც იქნა და დაიწყო გახდა. „ზაპოროჟეცი“ აღარ თუხთუხებდა.

ცხვირშიწაჭერილი ქალის ხმამ მოაღწია ბაქნიდან. მგონი მატარებლის შემოსვლა ამცნეს დამხვდურებს. ხელი ვტაცე თაიგულს და ერთ წუთში გავჩნდი ბაქანზე. მატარებელი გამოჩნდა, გაჩერდა, ამოისუნთქა. საკუთარი გულის ბაგა–ბუგი მესმოდა. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რას ვეტყოდი ან როგორ. მივუახლოვდი სასურველი ვაგონის კიბეს. ულვაშიანმა გამცილებელმა გაკვირვებით შემომხედა, კარგა ხანს მიცქირა და მერე რაღაცის ბურტყუნით მიუბრუნდა თავის საქმეს.

აჰა, ისიც. გამოჩნდა. ცალ ხელში ჩემოდანი ეჭირა. ზემოდანვე მოავლო თვალი ბაქანზე მოფუსფუსე ხალხს და დაკვირვებით ათვალიერებდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას ეძებდა. მერე ჩემი ვეებერთელა თაიგული შენიშნა და მეც ყურადღების ცენტრში მოვექეცი. რაღაც დაეძახა, გამცილებელს ხელი რომ არ მიეშველებინა, კიბიდან გადმოვარდებოდა. ახლოს მივედი, თაიგული გავუწოდე და თვალებში ჩავხედე. ერთიანად შემძრა იმან, რაც მე მის თვალებში დავინახე. თავი დამნაშავედ ჩავთვალე, რომ ასეთი რამ ჩავიდინე. არ ვიცი, როგორ აღვწერო ის, რაც მოხდა.

მისი თვალები ერთდროულად გამოხატავდნენ გაკვირვებას, დაუჯერებლობას, შიშსაც კი და კიდევ რაღაცა უცნაურს, რისთვისაც სახელი ვერ შემირჩევია. კარგა ხანს მიცქირა, მერე თვალები რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა, თავიც გააქან-გამოაქანა, მაგრამ ცხადში დაბრუნება კარგა ხანს ვერ შესძლო. როგორც იქნა მოახერხა და მუდარაშერეული ხმით მკითხა:

— ვინა ხარ, რა გნებავს?! — ჩემოდანი მიწაზე დადო და თაიგული ხელიდან ხელში გადაიტანა. ჩაშტერებული მზერის გაძლება გამიჭირდა. ნელ-ნელა იკრებდა ძალებს, მე კი გამბედაობა მღალატობდა. როგორც იქნა ამოვღერღე...

— მე ტყუპის ცალი ვარ. ჩემმა ძმამ დამირეკა — დახვდი და ყურადღება მიაქციეო.

როგორც ჩანს, ჩემი ძმის გაგონებამ გამოაფხიზლა. ჯერ თვალების გამომეტყველება შეეცვალა სასიკეთოდ, მერე ღიმილმაც გადაურებინა სახეზე და მივხვდი, რომ სიცხადეში დაბრუნდა.

სწრაფი მოძრაობით ულვაშებიან გამცილებელს მიაჩეჩა თაიგული, გადაქეხვია და კოცნით რომ იჯერა გული, მერე ყურში ჩაჰჩურჩულა: „შენ და შენს ტყუპის ცალს, როგორ ერთიდაიგივე ადგილებში მოგხვედრიათ ბავშვობაში ნასროლი ქვაო“ (წარბებს შორის შუბლზე შრამი მაქვს დარჩენილი მოხვედრილი ქვით). მიცნო; მიცნო და გაიხარა. მეც ხომ ეს მინდოდა, რომ ჯერ გამეოცებინა და მერე გამეხარებინა.

ახლა ჩემი რიგია, რომ გაგაოცოო — მითხრა ეს, თაიგული გამოართვა გამცილებელს, ხელკავი გამიყარა და ბაქნის შუაგულისკენ წამიყვანა. აი, იმ ორ ადამიანს ხომ ხედავ, ჩვენსკენ რომ იცქირებიან და ინტერესით გვადევნებენ თვალს... ეგენი ჩემი მშობლები არიან, ორ საათში ჩვენი თბომავალი გადის, ადგილები დაჯავშნული გვაქვს... ოდესიდან კი მატარებლით გავემგზავრებით სახლშიო — ჩამოიჭიკჭიკა კიეველმა სტუმარმა.

სიტყვა აღარ დამიძრავს აღაც მის დარჩენაზე და აღარც კახეთ-ში წაყვანაზე. დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მისი ბოლო სიტყვები იყო: „იმედი მაქვს, არ დამივიწყებ და თუ ოდესმე კიევში მოხვდები, აუცილებლად მინახულებ; მისამართი და ტელეფონის ნომერი გაქვს; ახა შენ იცი, მომიკითხე ტყუპისცალი, გადაეცი, რომ ძალიან კარგი ბიჭია“.

ახლა კი მსურს მივმართო ყველა პროფესიის, ეროვნების, სხვა-დასხვა რეგალიების მქონე მამაკაცებს ლექსით:

„ხუროს, ხარატს, მიწის მომვლელს,
პედაგოგებს, თერძებს, დენდებს,
მსახიობებს, პოეტ-მგოსნებს,
ცოლშვილიანთ, ყოფით კენტებს:
ნუ მოაკლებთ მანდილოსნებს
ყვავილებს და კომპლიმენტებს...“

ყიამყრალი ვიგინდარა

გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ვიყავი სტუმრად საკმაოდ ხალხმრავალ სუფრაზე მიპატიჟებული. თავიდან ყველაფერი ზომი-ერად მიმდინარეობდა. საოცრად თბილი ატმოსფერო სუფევდა ოჯახში. კარგად მოვილხინე და საკმარისზე მეტი ღვინო დავლიე. მერე კი დაიწყო „განსხვავებული“ სასმისების ტრიალი და შემთვრალი მოქეი-ფეების გაუთავებელი ხმაური და გნიასი. აღარავინ უსმენდა თამადას. ყველა „თავის სიმართლეს“ ამტკიცებდა და იდგა ერთი კაკაფო-ნია. ისე მოხდა, რომ დავიღალე და გადავწყვიტე დამშვიდობებოდი მასპინძლებს. არ მიშვებდნენ, ცოტა ხნით კიდევ დარჩიო — მთხოვდა დიასახლისი, მაგრამ ჩემი გავიტანე.

მთავარ ტრასაზე, გზაჯვარედინთან მიმიყვანეს მანქანით. დიდი მადლობა მოვახსენე პატივისცემით და იქვე, ჯიხურთან დავდექი და დაველოდე გორისკენ მიმავალ საამრშრუტო ავტობუსს.

სიგარეტი გამითავდა და ჯიხურშიმდგომ ლამაზი გარეგნობის გოგონას ვთხოვე სიგარეტი მოეცა. ვიღაც ახმახი, წვერგაუპარსავი მამაკაცი ლუდს ისე გემრიელად და მადიანად სვამდა, რომ მეც მომინდა. ვიყიდე ლიტრანახევრიანი „ნატახტარი“ და ის იყო განზე უნდა გავსულიყავი, როცა ახმახმა, თავისი ბანჯგვლიანი ხელი ჩამჭიდა და გამომეცნაურა.

— ამა და ამ ქალს ხომ იცნობო — მეკითხება და რაღაც ცუდისმომასწავებელი ჟინიანი თვალებით ლამის შემჭამოს.

— კი, ვიცნობ, ვუპასუხე და დავინტერესდი, შენ საიდან მიცნობ–მეთქი.

— მამაჩემი დამყავდა მასთან სამკურნალოდ. შენც ხომ მკურნალობდი მასთან, ჰოდა იქ გნახე და დაგიმახსოვრე.

— როგორ არის მამაშენი?!

— მამაჩემი აღარ არის, იმ ქალმა მოკლა, მე იმისი .... და მოჰყვა უშვერი სიტყვებით ლანძღვა–გინებას.

არ მესიამოვნა იმ ახმახის საქციელი, რომელიც უცენზურო სიტყვებს აფრქვევდა იმ ექიმი–ქალის მისამართით, რომელსაც კარგად ვიცნობდი, პატივს ვცემდი მის პატიოსნებას და პროფესიას და, რაც მთავარია, მის ადამიანობას და შრომისმოყვარეობას. ხასიათი წამიხდა. ვცადე დამეწყნარებინა. ღვინითგაჟღენთილ გონებაში აზრები აირია, მაგრამ თავი მოვთოკე და მშვიდად ვუთხარი:

— არ გეკადრება მამაკაცს ქალის ასე უდიერად მოხსენიება და მითუმეტეს გინება. ჯიხურშიმდგომი ახალგაზრდა გოგონასაც ესმის ყველაფერი და უხერხულია–მეთქი.

— ერთი იმისიც... და ამისიცო — მოაყოლა ხმამაღალი გინება და ღრენა.

არ ვიცი, რა დამემართა. რაღაცამ შემძრა, რაღაცამ გამთიშა და გონება დამიბნელა. სად ვიყავი და რას ვაკეთებდი, არ ვიცოდი. ის კი ჩამრჩა მეხსიერების სიღრმეში, რომ პოლიეთილენის ლიტრანა-ხევრიანი, გაუხსნელი „ნატახტარის“ ბოთლი მთელი ძალით დავცხე გაჩეჩილ თავში. ჯერ ენა ჩაიგდო, მერე თვალებით სადღაც ზემოთ დაიწყო ცქერა, მერე კი მოცელილივით გაიშხლართა მიწაზე. უცბათ გამოვფხიზლდი. გავიფიქრე — ვაი, შენს თავს უბედურს, ეს რა ჰქენი-მეთქი. ჯიხურის გოგომ მორთო წივილ-კივილი. სად იყო და სად არა — ჩემს წინ შეჩერდა საპატრულო ეკიპაჟი. ხელები გადამიგრიხეს და წამიყვანეს. შეკითხვები დამაყარეს. პასუხებს ვერ ვასწრებდი. რაღაცეები დაწერეს, მერე დახიეს, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეავსეს რაღაც ქალღალდი, ისევ დახიეს. ვიღაცამ მიცნო და დაცვა სცადა —



რა გინდათ ამ კაცისგან, ქალის სახელი და ღირსება დაუცვია, აფერუმ მის ვაჟკაცობასო. გამომიშვეს, მაგრამ ის ახმახი თურმე არ ისვენებდა და ჩიოდა — დაიჭირეთ და დასაჯეთო.

ორი კვირა მაჭანჭყარეს და ბოლოს მითხრეს — წადი, ის კაცი ნახე და გააჩუმე, თორემ მოსვენებას არ გვაძლევსო.

წავედი, სახლში მივადექი იმ ახმახს.

— რა არის, ვეღარ უნდა მორჩე ჩივილს?! აჰა, მოვედი და მიდი ერთი დამარტყი და დაშოშმინდი. ახალგაზრდობაში არ გიჩხუბია, რა მოხდა ისეთი...

ჯიქურ შევუტიე, ხმის ამოღება არ ვაცალე... ხომ ამბობენ — „გაღ-მა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“.

ხმაურზე გოგონა შემოვიდა ოთახში. იქნებოდა ასე 16–17 წლის.

დამინახა თუ არა, მეკითხება:

— თქვენ ხომ ის ხართ, ტელევიზიით, ლიტერატურული გადაცემა რომ მიგყავდათ?!

კი-მეთქი — ვუპასუხე.

— ერთხელ დედაჩემმა მომიყვანა თქვენთან. ცხრა წლის ვიყავი მაშინ. თქვენ ჩემი ლექსები შეასწორეთ და დახვეწეთ. მასწავლე-ბელმა უმაღლესი ნიშანი დამიწერა. ახლა გეუბნებით დიდ მადლობას; დაბრძანდით — მითხრა ეს და სკამი მომიჩოჩა.

ოჯახის დიასახლისიც შემობრძანდა. ღიმილით მომესალმა და მო-მიკითხა. თბილი საუბარი შესდგა. „იმას“ მე მივხედავო, დამამშვიდა. ვეღარ გაბედავს ჩივილსო.

ოთახში მიმოვიხედე. ახმახი არსად ჩანდა.

„...მადლი ქენი, ქვაზე დადე — ჩამოივლი, წინ დაგხვდება“.

კარგად არის ნათქვამი.

ყველის გადამყიდველი

დილით მეუღლემ ბაზარში გამაგზავნა და სხვადასხვა პროდუქტებთან ერთად კარგი ყველის ყიდვაც დამავალა. სახლიდან გასულს კიბეებზე მომაძახა — შეეცადე, კარგი ყველი იყიდო და იაფად, ისწავლე ვაჭრობაო.

კავშირგაბმულობის სახლთან ჩავიარე სიგარეტის ბოლებით. დავინახე, რომ ადამიანთა ჯგუფი თავზე ადგა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარ გლეხს, რომელსაც ყველი ჩამოეტანა გასაყიდად. ორი ვედრა ედგა მარლაგადაფარებული და ერთიანად მყიდველს ელოდა. ყველა ერთი ან ორი კილოს შეძენას ლამობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. არ უსვენებდნენ, ხან ერთი აფრიალებდა მარლას და ხან მეორე, იყო ერთი გაწევ-გამოწევა. როგორც ჩანდა, ყველიც მოსწონდათ და ფასიც. გლეხი მოკლედ და მოწყვეტით აცხადებდა — ვინც სულ წაიღებს, ერთ კილოში ოთხ ლარს ვუანგარიშებო. ტროტუარი ლამის გადაკეტეს, იმდენნი იყვნენ. მე შორიახლოდან ვადევნებდი თვალყურს — დავალება მქონდა შესასრულებელი — იაფად მეყიდა.

სად იყო და სად არა, ქლოშინით მოვარდა ერთი ქალი, თავზე ჩოგბურთის ჩოგნებით მოხატული თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. ხელში დიდი ჩანთები ეჭირა. იქნებოდა, ასე 30-35 წლის.

— აბა, დაიშალენით, ამ კაცის კლიენტი მე ვარ, უკვე შეთანხმებულები ვართ...

— სადა ხარ ამდენხანს, ქალო, რამდენი უნდა მალოდინო... სოფელში უამრავი საქმე მაქვს, ამ მზის გულზე ჯდომა რა ხეირს მომიტანს?! ნაწყენი კილოთი მიმართა ყველის პატრონმა.

— ხომ იცი, პატარა ბავშვები მყავს... იქ საუზმეო, იქ სკოლაო, მერე სახლის დალაგება და ათასი რამ... ჰოდა, ცოტა შემაგვიანდა. ეს სოქვა და ჩანთიდან ხელის სასწორი ამოიღო, 2-3 თავს ერთად წონიდა და იწერდა.

თავშლიანმა საბოლოოდ მოიშორა თავიდან თითოორროლა კილოს ყიდვის მსურველები და ქორივით გადაეფარა იქაურობას. მე განზე ვიდექი და თვალს ვადევნებდი, მათი საუბარიც კარგად მესმოდა.

ბოლოს თავშლიანმა თავის ჩანთებში გადაანაწილა ყველი და განუცხადა გლეხს:

— სულ ოცი კილოა და აჰა შენ სამოცდაათი ლარი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს.

— ქალო... ეხლა წონასწორობიდან არ გამომიყვანო. მაღაზიაში ავწონე და ოცდასამი კილოა, ჰოდა გამოუშვი ოთხმოცდათორმეტი ლარი, თორემ უკან წავიღებ და აღარასოდეს გამეკარო.

— უიმე, რა უცნაური კაცი ხარ... სამხანეგრად ხომ შევთანხმდით... სამი კილო, ჯანდაბას, დაგიმატებ...

ყველის გამყიდველი, რომ იტყვიან, გაცოფდა. ეცა ჩანთებს და გადალაგება დაიწყო ისევ ვედრებში.

— ჰო, კარგი... აჰა შენ ოთხმოცდაათი ლარი და შენც კარგად და მეც კარგად.

ვუსმენდი, ვუცქერდი და „ვაჭრობას ვსწავლობდი“. თავშლიანმა ორი ლარი მაინც „შეიტყაპუნა“ და გზას გაუდგა საკმაოდ ძძიმე ტვირთით.

იმ დღით ბაზარში ვერ წავედი, რაღაც „ვარიანტი ავარდა“ და გვიან საღამოს დავბრუნდი სახლში.

მეორე დღეს დილაადრიან შემოვიარე ბაზარი. ყველაფერი შეკიძინე, რაც სახლში დამავალეს და ყველიღა დამრჩა საყიდელი. ავათვალიერ-ჩავათვალიერე ყველის დახლები და უცბათ თვალში მოხვდა ჩოგბურთის ჩოგნებით მოხატული თავშალი.

მივედი და ვეუბნები:

— ქალბატონო, გამასინჯეთ თქვენი ყველი.

— ამაზე კარგ ყველს მთელს ბაზარში ვერ ნახავთ, განსაკუთრებულია, აი ნახეთ...

მითხრა ეს და სიგარეტის ქაღალდივით მონათალი გამომიწოდა. დავაგემოვნე და მგონი მომეწონა.

— რა ღირს კილო?!

— კარგი კაცი ჩახხარ, თან გეტყობა არჩევა გცოდნია, სახლ–ში აუცილებლად მოგიწონებენ. გაჭირვებას დაუდგეს თვალი, თორემ პედაგოგი ქალი აქ უნდა ვიდგე... საიდანღაც მეცნობი.

— ქალბატონო, რა ღირს?! შევაწყვეტინე ლაქლაქი და თითები შევიწმინდე რაღაც ჩვარზე.

— არც შენი და არც ჩემი... ბოლო ფასი ექვსი ლარი იქნება, ისიც შენისთანა კარგი კაცისთვის...

ხასიათი გამიფუჭდა. გამახსენდა გუშინდელი სცენა კავშირგაბმუ–ლობის სახლთან.

— ძვირია, ცოტა იქნებ დამიკლოთ....

— არა, ვერ დაგიკლებ; გაიარ–გამოიარე და ნახავ, რომ ამისთანა კარგ ყველს ვერ იშოვი.

— ქალბატონო, ორი კილო მინდა და ათ ლარს გადაგიხდით. ვიცი, რომ ოთხ ლარად გაქვთ შეძენილი და კილოზე ერთი ლარი რომ მოიგოთ, ხომ საკმარისი იქნება?!

— უი, უიო... თავში შემოირტყა ორივე ხელი; ჩემს ორივე შვილს გეფიცები, ხუთნახევრად მაქვს აღებული და კილოზე ათი შაური რომ მოვიგო, განა ეს ბევრია?!

ახლა კი ნამდვილად ამემღვრა გონება, ლამის წონასწორობა დავკარგე. რაღაცას ჩამჩიჩინებდა, მაგრამ არ მესმოდა. აღარაფერი მითქვამს, დავღუნე თავი და სახლისკენ ავიღე გეზი. გზაში ვფიქრობ–დი — კი, ბატონო, ვისაც როგორ უნდა, ისე გაყიდის საქონელს. აქ გასაკვირი თითქოს არაფერია. მე ის მაწუხებდა, თუ რა გარე–მოებებმა შეიძლება მიიყვანოს ადამიანი იმ დონემდე, რომ რაღაც ერთი–ორი ლარის გულისთვის იკადროს ამდენი სიცრუე, მკრეხე–

ლობა და უსინდისობა. ვერ ხვდებოდა ის საცოდავი, თუ რა ცოდვას იღებდა თავზე და რა დანაშაულს სჩადიოდა ღმერთისა და ხალხის წინაშე საკუთარი შვილების უადგილო და ყოვლადგაუმართლებელი დაფიცებით.

მარაო

ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ლეგენდასავით ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში. უნდა ვაღიარო, რომ არ ვიცი ჰყავს თუ არა ვინმე კონკრეტული ავტორი, არის თუ არა გამომზეურებული რომელიმე ლიტერატურულ წყაროში, ან საერთოდ — რეალობაა თუ მითი, ნამ-დვილად მოხდა თუ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია?!

ფაქტი ის გახლავთ, რომ ეს ამბავი მოვისმინე ქართულ სუფრაზე, დაახლოებით 70 წლის წინ და მას შემდეგ არ ქრება მეხსიერე-ბიდან; უფრო მეტიც, ხშირად ვიყენებ სადღეგრძელოში. ამბავი კი ასე ჟღერს.

შორეულ წარსულში ერთმა კაცმა, სიკვდილის წინ მოუხმო თა-ვის ულამაზეს მეუღლეს და მიმართა: „მე ძალე მოვკვდები და ერთი უკანასკნელი თხოვნა უნდა შემისრულოო“.

— კერძოდ რაო — დაინტერესდა მეუღლე.

— შენ ძალიან ლამაზი ხარ. ჩემი სიკვდილის შემდეგ მამაკაცები მოსვენებას არ მოგცემენ და ეს არც იქნება გასაკვირი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ და შესაფერისი თანამეცხედრე უნდა შეირჩიო. სანამ ჩემს საფლავზე მიწა ბოლომდე არ გამოშრება, სხვა მამაკაცისკენ თვალი არ გაგექცეს.

— აბა, ეგ რა სათქმელია, ასე მიცნობ მე? ნუ გეშინია, გამოჯან-მრთელდები და ყველაფერი კარგად იქნებაო — სხაპასხუპით მიაყარა ლამაზმა.

ორ დღეში განუტევა სული მძიმე სენით დაავადებულმა კაცმა. დაასაფლავეს ყველა წესისა და რიგის დაცვით.

გათენდა მეორე დღე. ივლისის თაკარა მზემ სიცხის ბუღი დააყენა დილიდანვე. ისე ცხელოდა, რომ სუნთქვა ჭირდა.

გარდაცვლილის მეგობრებმა გადაწყვიტეს საფლავზე გასვლა, თან სანთლები და ორიოდე ლიტრი ღვინო გაიყოლეს.

ადგილზე მისულებს ასეთი სურათი დახვდათ — საფლავთან იჯდა შავებში ჩაცმული ქვრივი და მარაოს ინტენსიურად უქნევდა დაყრილ მიწას.

გაოგნებული მეგობრები პირდაღებულები შესცქეროდნენ ახალგაზრდა ქვრივის საქციელს, რომელიც მზეს ეხმარებოდა მიწის გაშრობაში.

ზედმეტი ხურდა

უამრავი შემთხვევის მომსწრე ვარ, როდესაც გამყიდველს არასწორად დაუბრუნებია ხურდა, რაც, ასევე ხშირად, გამხდარა ცხარე კამათის საგანი. ხმაურიანი გარჩევა კი მაშინ ხდება, როცა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, გამყიდველი აკლებს ხურდას. ხურდის დანაკლისით გაცემას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე მიზეზი: შეგნებული (რომელსაც, მყიდველი თუ შეამჩნევს, მოჰყვება სიტყვები — უი, მაპატიეთ, შემეშალა, ბოდიშს გიხდით), გამყიდველის გადაღლილობა (ისიც ადამიანია, ფეხზე დგომით იღლება მთელი დღის განმავლობაში) და ელემენტარულ არითმეტიკასთან „მწყრალად ყოფნა“.

ბოლო წლებში საკმაოდ მოწესრიგდა ყიდვა-გაყიდვის პროცედურები და იშვიათად იძაბება ურთიერთობები, რადგანაც თითქმის ყველა სავაჭრო ობიექტში აქვთ სალარო აპარატები, კალკულატორები და ღირებულების ქვითრები. ადრეულ წლებში კი სიტუაცია სხვა იყო.

არის კიდევ ერთი (ქართველებისთვის განსაკუთრებულად დამახასიათებელი თვისება) სიტუაცია, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ხურდის არასწორად გაცემის შემთხვევა. კერძოდ, გამყიდველს ერთდროულად ეკონტაქტება რამდენიმე მყიდველი: ზოგი ფასს კითხულობს, ზოგი თვითონ იღებს სასურველ პროდუქტს და პარკს ითხოვს, ზოგი ინტერესდება გამოშშვები ფირმით და გულდასმით ათვალიერებს ეტიკეტს, მავანი ტელეფონში თანხის ჩარიცხვას ითხოვს, ვიღაც თაროდან თვითნებურად გადმოიღებს რაღაცას და უამრავ შეკითხვას იძლევა და ა.შ. (ჩვენ ხომ ყოველთვის „გვეჩქარება“ და არასდროს ვაცლით ერთმანეთს გამყიდველთან საქმის მომთავრებას). გამყიდველმაც, მეტი რა ქნას?! იგი ერთდროულად პასუხებსაც იძლევა, ფულსაც იღებს, ხურდასაც აბრუნებს, პარკსაც აწვდის, საქონელსაც წონის, ტელეფონში თანხასაც რიცხავს, კალკულატორზეც ანგარი-

შობს, ქვითრებსაც იძლევა და ასე განუწყვეტლივ მთელი დღის განმავლობაში (თურქულ სერიალზეც ხომ უნდა გაუზიარონ ერთმანეთს შთაბეჭდილებები).

იღლება ადამიანი, გონება ეძაბება და უშვებს შეცდომას. მაგრამ საინტერესოა ერთი გარემოება. კამათი, ჩხუბი და აყალმაყალი იწყება მაშინ, როცა მყიდველი აღმოაჩენს ხურდის დაკლების ფაქტს.

ახლა კითხვა დავსვათ ასე: გამყიდველი ხურდას მხოლოდ აკლებს? იქნებ მეტსაც იძლევა? ის ხომ გადაღლილია და შეცდომებს უშვებს? საქმე იმაში გახლავთ, რომ გამყიდველები (თუ ამას შეგნებულად არ აკეთებენ) სტატისტიკურად, თითქმის თანაბარი რაოდენობით „აკლებენ“ და ზედმეტს აძლევენ“, ეს ფაქტია. მაგრამ საქმე სულ სხვა რამეშია — მყიდველი, რომელსაც მისცეს ზედმეტი ხურდა, არასდროს კამათობს, არასდროს აცხადებს პრეტენზიას... შეამჩნევს რა ზედმეტად მიღებული ხურდის ფაქტს, უჩუმრად და სწრაფად გაეცლება იქაურობას და სახლამდე ისე მივა, ერთხელაც არ გაიხედავს უკან.

საძწუხაროა, რომ „ზედმეტხურდამიღებულების“ აბსოლუტური უმრავლესობა, ალბათ 99,9 % ასე იქცევა და ჩემი აზრით, ეს გახლავთ უსინდისობა, ძარცვა, ყოველგვარი სისაზიზღრე და მკრეხელობაც კი, რადგან მათ („ზედმეტხურდამიღებულებს“) არ აინტერესებთ გადაღლილი გამყიდველის ყოფა (უმრავლესობა ხომ ქალბატონები არიან, მათ ხელფასს ხომ საფრთხე ემუქრება, სამუშაოდან განთავისუფლების საშიშროებაც ხომ არსებობს და ა.შ.).

განა რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს გადმოყოლილმა 20–30 თეთრმა, თუნდაც ერთმა ლარმა?! ღირს კი ამ ფასის სანაცვლოდ სინდისის წაწყმედა, „შუბლის ძარღვის“ გაწყვეტა, ყოველგვარი რაინდულის (პატიოსნება სწორედ რომ რაინდის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა) უგულვებელყოფა?!

პირადად მეც მქონია შემთხვევები ხურდის როგორც დაკლების, ისე ზედმეტის გადმოყოლების, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი (წყნარად და მშვიდად) ჩემი კუთვნილის მიღებას და „სხვისი“ გადმოყოლებულის დაბრუნებას.

„გადმოყოლებულების“ უამრავი შემთხვევა მახსოვს, მაგრამ არასდროს შემირცხვენია თავი, სინდისი არ გამიყიდია „30 თეთრად“, მადლიერი გამყიდველების (ოდნავ გაოცებულების) მადლობაც ხშირად მიმიღია და ყოველივე ეს სიხარულს მანიჭებდა და სიამაყეს მმატებდა.

„30 თეთრის“ დედაც... გაუმარჯოს სინდისიერებას!

ახლა მინდა მოგახსენოთ „გადმოყოლებული“ ხურდის დაბრუნების პირველ შემთხვევაზე, რომელიც საკმაოდ ხმაურიანი და მართლაც კურიოზული აღმოჩნდა, რის შემდეგაც „ზედმეტი“ („გადმოყოლილი“) ხურდის დაბრუნების „მეთოდი“ შევცვალე.

ეს მოხდა 1965 წლის 15 სექტემბერს.

ქ. გორში, ყოფილი ლენინის სახელობის ქუჩაზე მდებარე ე.წ. გასტრონომში შევიძინე რამდენიმე სახეობის პროდუქტი (მაშინ ყველაფერს ზედ ეწერა ფასი).

გამყიდველმა ხურდა დამიბრუნა თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ზედმეტი მომცა. არ ავჩქარებულვარ. სანამ გამყიდველი სხვა მყიდველებთან აგვარებდა საკითხებს, გონებაში ერთხელ კიდევ შევკრიბე შეძენილის საერთო ღირებულება და დავრწმუნდი, რომ გამყიდველი შეცდა თავის საზიანოდ. დაველოდე ყველა მყიდველის წასვლას (არ მინდოდა სხვისი თანდასწრებით შემერცხვინა გამყიდველი). რამდენჯერმე ეჭვის თვალით შემომხედა, თუმცა არაფერი უთქვამს. ბოლოს დაერჩით პირისპირ და მივმართე (აქ მოვახდენ ერთ ამონარიდის ციტირებას ჩემი წიგნიდან „ძინიატურების აღლუმი“, გვ. 29, თბ. 2009 წ) — გოგონა, გენაცვალე, ხურდა შეცდომით მომეცით და მინდა, რომ...

არ დამაცადა სათქმელის დამთავრება, გაწიწმატდა და ისეთი დღე დამაყარა, რომ მტრისას...

— ოჰ, შენღა გვაკლდი... იცი, დღეს უკვე მერამდენე ხარ?! გამო-ნახეთ რა, ფულის შოვნის იოლი გზა; თქვე უსამუსოებო, თქვე გარე-წრეებო, აღარა გრცხვენიათ, სხვის ხარჯზე გინდათ ცხოვრება, თქვე უვარგისებო?! ახლავე მოუსვი აქედან, თორემ...

მივხვდი ყველაფერს; ვაპატიე ის, რაც მაკადრა. რა ექნა გამ-წარებულ ქალს თუ კი დღეში ათჯერ მაინც უწევდა საეჭვო ხურდის მთხოვნელთა მოგერიება.

მოვიკრიფე ძალღონე და დამშვიდებული ხმით მივმართე:

— არაფერს გედავებით; პირიქით, თქვენ ზედმეტი მომეცით და მსურს დაგიბრუნოთ...

— ხუმრობის ხასიათზე ხარ?! ახლა მე მკითხე...

არა, არ ვხუმრობ, აი აიღეთ. ვუთხარი ეს, ფული დახლზე დავდე და სახლისკენ წავედი.

ისეთი მადლიერი მზერა გამომაყოლა, რომ სითბო ვიგრძენი მთელ სხეულში. როცა კი იმ მაღაზიაში შევდიოდი, აშკარად ვგრძნობდი მის მომეტებულ ყურადღებას. ყოველთვის პირველს მემსახურებოდა, აკურატულად შემიფუთავდა შეძენილს და როცა ხურდას მიბრუნებდა, საოცარი ღიმილი დასთამაშებდა ხოლმე სახეზე.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ასეთი რამ ხშირად შემემთხვა და ყოველ-თვის ვაბრუნებდი ზედმეტს, თუმცა შევცვალე „გაპროტესტების“ ტე-ქსტი და სათქმელს ვიწყებდი სიტყვებით — „ზედმეტი მომეცით“ (ნაცლად „შეცდომით მომეცით“), რაც არ იწვევდა მყისიერ გაწიწ-მატებას და მოსალოდნელ შეკამათებას თუ გაუგებრობას.

გორში ბევრი მადლიერი გამყიდველი მეგულება. ჩემდამი მად-ლიერების და მორიდებულ პატივისცემას მათ თვალთა გამოხედვაში ვგრძნობ და ვხედავ, რაც საოცარ სიხარულსა და სიამოვნებას მანი-ჭებს. მეტი რა უნდა კაცს?!

20–30 არამ თეთრს, ერთი მადლიერებით აღსავსე თვალთამზერა გვერჩივნოს.

* * *

შრიალებენ, ჩურჩულებენ ტირიფები
და მოისმის მოლაღურას გალობა,
დაიღალა მწყემსი ბიჭი სტვირის ქებით,
ხოტბას ასხამს თუში ქალის ქალობას.

ქალო

როცა მიცქერი, მეფერები, გიღიმის სახე,
თვალტანადობით მაჯადოებ, იტაცებ მზერას,
ოჰ, ეგ თვალები მიმზადებენ ვინ იცის მახეს,
გუგის სიღრმიდან რაღაც ავის აჩრდილი მზვერავს.

სად ყური და სად ასო

2009 წელს აუცილებელი გახდა, რომ გამეკეთებინა მარცხენა ყურის ოპერაცია („ბაზალიომა“). ექიმმა პირობა დადო, რომ ყურის პატარა ნაწილს მაინც დამიტოვებდა, სათვალის სახელურის ჩამოსადებად.

ოპერაციის შემდეგ პალატაში ახალგაზრდა გოგონამ რაც მე დღე დამაყარა (საშარდე მილიდან კათეტერის ამოღებისას), არ ვუსურ–ვებდი მტერსაც კი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ახალგაზრდა მედდა გამოუცდელი იყო (შეიძლება პრაქტიკანტიც).

ლექსში შევეცადე ნახევრად იუმორისტულად გადმომეცა ჩემი მდგომარეობა, რომელშიც აღმოვჩნდი გამოუცდელი ახალგაზრდა გო–გონას „წყალობით“. ღმერთმა შეუნდოს.

ყურის მოჭრა მომისაჯეს,
ასეაო საჭირო.
შემიცვლიან მგონი სახეს,
ყური უნდა გავწირო.

ნარკოზის დროს შარდის დენა,
რომ ჩატარდეს წესებით,
კონტროლის ქვეშ ჰქონდათ ვენა
და კუნთების მყესებიც.
ასოს ღარში რაღაც შლანგი
მატაკეს და შემტენეს,
აღარ მშველის მგონი ბანგი
და რაც მოხდა — ჩემ მტერს ეს.
ძილში ვხედავ ლალის ყანებს,
გვირაბს ბოლო არ უჩანს,
სააკაძე — შახს მრისხანეს
ესვრის მკვახე ალუჩას.
„ამოვძვერი“ ალბათ მალე,
საშყაროდან, უცხოდან,
პალატისკენ გამაქანეს,
წინ უფროსი უძღოდათ.
გზად წნევა და მაჯა ნახეს,
მიმაქროლებს საში და.
სხვა ურიკას დამაჯახეს,
ლაშის თავი გაშისკდა.
ხელში პროტეზი მიმარჯვეს,
შენიაო კბილები,
მერე საწოლზე მიმაგდეს,
დამიჟეჟეს რბილები.
კოხტა მედდამ მხნედ მახარა,
„გამოგაცლი კათეტერს“,
რაც მე იმან დღე მაყარა,
არ ვუსურვებ არცერთ მტერს.
ძალზე სწრაფად, განა დინჯად
ქაჩავს, როგორც ქამანდას,

შლანგთან ერთად გამომგლიჯა
თუ შიგ რაძე გამაჩნდა.
გოგო, ვიყრი განა მე ჯავრს?!
ეს რა მიქენ გოლიათს,
რომ მაგლიჯავ, რას მაგლიჯავ,
შენი ხომ არ გგონია.
აღარ ვეძებ ლორდის ჩინებს,
როგორ შევხვდე მზიან დღეს.
ყური თითქმის მომირჩინეს,
ასო დამიზიანეს.

თბილისის ცირკთან

ჭადრების ჩრდილში, სენს ამაზრზენს,
შეურაცხმყოფელს,
საუბედუროდ, გაუდგია სიღრმის
ფესვები,
ბარძაყშიშველ და მკერდმოღეღილ
დიაცთ აქ მყოფებს,
მოლოდინი აქვთ „მონადირე“
„მერსედესების“.

თვალს არ ვუჯერებ, ეს რა ხდება,
გვიდგას რა ჭირი?!
სააშკარაოდ მოფენილან
მეძავები,
ასე დაცემა, გარყვნილება,
ითქვას რა პირით,
სიცხვილით რატომ არ იწვიან,
ნეტავ, ხეები?!

* * *

არა მსურს მათი გაგება —
ოტელოა თუ იაგო,
ქართველი ქალის სახება,
ცის კაბადონზე კიაფობს.

გუშინ, დღეს, ხვალ

გუშინ მოვწონდი, დღეს არა,
ხვალ რა იქნება ვერ ვხვდები,
დღეს ბილიკს ნარი ეყარა,
მდუმარედ იდგნენ ვერხვებიც.

ხვალ ერთად დავდგეთ მხარდამხარ,
შევწყვილდეთ უფლის წყალობით...
არ მხიბლავს ტრფობა ხანდახან
და არცა დღეისხვალობით.

* * *

ჩავარდნილი ვარ ცხელ დღეში,
გთხოვთ ნუ გამიგებთ სხვაგვარად,
ქართველი ქალი ჩემს „მე“–ში
ყველაზე მაღლა დამდგარა.

მიძღვნილი ლექსები

ირინე ვარძიგულოვას

(მეუღლეს, ორი ვაჟიშვილის დედას)

თუ რამ მეთქმის, შენზე მეთქმის,
გიცნობ ხუთი თითივით,
პურმარილის ხსენებაზე,
გული გიხტის ჩიტივით.

იყავ მუდამ ახალგაზრდა,
წლები თუნდაც გარბოდნენ,
რა იქნება გოგონები
ჩვენს ოჯახშიც დარბოდნენ.

1969 წ.

* * *

(მეორე ვაჟიშვილის ქორწილში)

გიხაროდეს ჩემო ირა,
ორმაგი ხარ დედამთილი,
ალბათ, ჩუმად ანგარიშობ,
რომ უკვე გყავს ოთხი შვილი.

* * *

ანას უყვარს გაკვეთილის
თავის დროზე სწავლა,
ძილის წინ კი ბებიასთან
ღია ცის ქვეშ გავლა.

ანას

(შვილიშვილს)

კვლავ მერცხალივით ჭიკჭიკა
და მერცხალივით სწრაფია,
ვის ყანწები და ვის ჭიქა,
მის სადღეგრძებლად სწადია.

კითხვას ბოლომდე ვერ ასწრებ,
პასუხი მზად აქვს უმალვე,
ვერ მოატყუებ ვერაფერს,
რამდენიც გინდა უმალე.

პროგრამით ძნელი გამოცდა,
მისთვის დღეისთვის არ არის,
თუ ვინმეს ცუდი წამოსცდა,
არ აპატიებს არავის.

ხანდაზმულ მანდილოსანს
ხანდაზმული მამაკაცისგან

მე ვერ ვიკადრებ დამბაჩის დახლას,
ვიმ–ვიმ წუწუნიც ჩალად არა ღირს,
ოცდაათი წლის რომ ვიყო ახლა,
არ დავუთმობდი შენს თავს არავის.

მარიამ ტლაშაძე–ლომინაშვილს

(დაბადების დღეს)

მარიამს როდი გიწოდებ,
ხარ და დარჩები მარიკად,
დობას დამპირდი, იცოდე,
ძმობას ვერ გავწევ სხვარიგად.

ლექსებს აშენებ ვით ხურო,
არ შეგიძლია სხვარიგად,
როცა შენს ნაღვაწს ვკითხულობ
თავს აღარა ვთვლი ღარიბად.

შენთვის მილოცვა რომ მსურდა,
ხან აქ გეძებე, ხან იქა,
მიშველეთ ლექსი მომწყურდა,
თასი შემივსეთ, არიქა!

სოფიკო მექვაბიშვილს

(60 წლის იუბილესთან დაკავშირებით)

ზეწოლა

ჩიოდი — არ გვაქვს გაზეთი,
ჩვენი ნაღვაწის პირმშოდ,
სწუხდი, რომ ყოფა ასეთი,
შემოქმედებას გვიხშობს.

სად ვწეროთ, ან სად დავბეჭდოთ —
არ გასვენებდა ფიქრი,

საქმე გიჩანდა საეჭვოდ,
ორი წელია — თითქმის.

ცდილობდი, ცრემლის დადენით,
ჩვენო პატარა სოფო!
ბევრჯერ შეგვკრიბე — ამდენი,
ტყეში არ არის სოკო.

ვერ დაიკვეხნის ვერავინ,
ლტოლვას და სწრაფვას ასეთს,
მგონი სიზმარშიც ხედავდი
ლიტერატურულ გაზეთს.

გვიჩიჩინებდი დაწოლით,
საქმეს გვიქებდი ერთობ,
„გამოვჩნდებითო სხვა წონით,
ვიამაყებთო ერთდროს“.

ირინეს

(შვილიშვილს)

მოუთმენლად გელოდნენ,
დედიკო და მამიკო,
რატომ დაიგვიანე,
თქვი, მიზეზი რა იყო?!

ალბათ, უკვე იცოდი,
რომ ზამთარი დგებოდა,
დედის სითბოს ვერ თმობდი,
ტკბილად ჩაგძინებოდა.

გაუხარე გული ლელას,
დაუმშვიდე სული რეზოს,
სიხარული ამცნე ყველას,
შენს სახლსა და მწვანე ეზოს.

ორი „საქმის“ გაქვს იმედი,
ფაფა ჭამო, დაიძინო,
ცოტათი რომ გაიზრდები —
იკუნტრუშო და იცინო.

ნანიკოს

(ნანა კვარიანთაშვილს)

მადლს არ მაკლებს ჩემი და
და დობილი,
მისი გარჯით ტკბილადა მაქვს
კერია,
სულ ახლახანს გახდა ჩემთვის
ცნობილი,
რომ ბერძნულად — ნანა
ნიშნავს ფერიას.

ნანა კვარიანთაშვილს

(დაბადების დღისათვის)

თავს ვიკავებთ, არა გკითხავთ,
თუ რამდენი წლისა ხარ,
თეორიას თუმც ემდური,
პრაქტიკული ჭკვისა ხარ.

ახალგაზრდა კერის დედამ,
უმასპინძლე ვის აღარ,
იმედია დაგვიჯერებ,
ყველას ძლიერ გვიყვარხარ.

გაგეზარდოს თათიკუნა,
ლამაზი და ჭკვიანი,
დროა ბიჭიც „შეიძინო“,
რომ არ იყოს გვიანი.

დაბადების დღეს გილოცავთ,
ღვინით სავსე თასებით,
მთელი უბნის ქალები და
ჩვენი ეზოს კაცები.

თათია ნადირაშვილს

სკოლაში მიჰქრის თათია,
თან ფიქრი მისდევს ნინოზე*
დრო აღარ რჩება იფიქროს,
კასეტებსა და კინოზე.

---

* ნინო — უმცროსი და.

გვანცა გვერდწითელს

პაპისა და მამის ნიჭს,
თუ გაჰყვები — გვანცაო,
კოსმოაპარატს შექმნი —
გაგვახარებს რაცაო.

მერი ჭიღლაძეს

წახველ იმქვეყნად სასახელო
ქართველის სწორი,
გვეამაყები — არ გივიწყებს
მშობელი გორი.

ეკა ფილაურს

თქვენს თავს ვავედრებ მირონ ცას
(ქალთა კოჰორტის დედოფალს),
დღეს გაჩენისას გილოცავ,
როგორც დასა და მეგობარს.

თეკლას და მარიამს

(გ. ასპანაძის შვილიშვილებს)

დებო — თეკლა, მარიამ,
ცუგრუმელ-კუდრაჭებო,
თქვენი მაქებარია,
ვინც კი არის გარშემო.

ნანა სულეიმანიშვილს

უფრთხიულდები ქალის სახელს,
მერცხალივით ჭიკჭიკებ,
სილამაზით თავბრუს ახვევ,
პატარა თუ „დიდ ბიჭებს“.
დაბადების დღეს გილოცავ,
აგიყვავდეს ბიზნესი,
არ მოეშვა გულწრფელ ლოცვას,
არავითარ მიზეზით.

ოლღა ბიჩინაშვილს

ღიმილი და სათნოება,
არ გკლებია, არა...
რას მიქვია წლების კლება —
გვეხსომები მარად.

ნინო ამბროლაძეს

ქალწულს გვაგონებ წლისას
თვრამეტის,
ხარ როგორც გედი
აფრებგაშლილი,
ტკბილის და ობილის მეტი
რა გვეთქმის...
დიდხანს გიცოცხლოს ღმერთმა
ქმარ–შვილი.
(2019)

ნინო ამბროლაძეს



ყველას უყვარს, უკლებლად,
ტოლში არ ჰყავს ბადალი,
ოჯახს ისე უძღვება,
ვით ჯარს კარგი სარდალი.

გულით უძღვნის მაღალ ღმერთს,
სუფრას, გაშლილს ტყისპირზე...
თამადობას წაგართმევს,
თუ დაკარგე სიფხიზლე.

(2018)

ნონა პაიჭაძეს

გიზგიზებს, როგორც კოცონი,
ღმერთმა უბოძა დიდება.
დიდს და პატარას მოსწონს ის,
არ უნდა ამას მტკიცება.

ბევრს გაუნათა გზა-კვალი,
დიდი მისია მონახა,
აქვს ცხრა ყური და ცხრა თვალი,
ზრუნვას არ აკლებს მონაგარს.

შემართება აქვს ვაჟკაცის,
კიდევ გაიტანს ბევრ ლელოს,
ცხოვრების ტვირთს სწევს „ატაცით“...
ყანწით ვსვამთ მის სადღეგრძელოს.

ოლიკოს

აფრქვევს ცეცხლის ნაპერწკალს,
არ გეგონოთ „გოიმი“...
იცავს ბიზნესს, იცავს ქალს,
სჯერა ქებას მოიმკის.

(2018)

ოლიკოს

(დაბადების დღისთვის)

ქალბატონი ხარ მებრძოლი სულის,
სიცოცხლეს აფრქვევ ნაპერწკლად ლალის
და შენი ხელით გაკვალულ ხნულით,
იმედსა ჭედავ უკეთეს ხვალის.

შენ კარგად იცი სიცოცხლის ხიბლი,
მოძრაობაში რომ არის მუდამ,
აშენებ, იღწვი, წლები კი მირბის,
ცდილობ შეავსო ყოფითი გუდა.

გეტყვი — აფერუმ საოცარ გარჯას,
დაბადებულხარ ვაჟკაცურ ქალად,
არ დაგეღალოს უდრეკი მაჯა,
ღმერთმა გიბოძოს ულევი ძალა.

26.04.2019 წ.

ნანა ბოტკოველს

(მეგობრულ ნოტაზე)

მომხიბვლელო — ნდომის მადით,
გნოლს რომ ჰგავხარ იერით,
საპატარძლოდ მოგისვამდი,
რომ არ ვიყო ხნიერი.

საიუბილეოდ. 2018.15.XII

მერი მარწყვიშვილს

დიდოსტატი ხარ ზეპირი სიტყვის,
განიცდი, როცა გეშლება რამე,
არავინ იცის, ვერავინ იტყვის,
ჯაფით რამდენი ათიე ღამე.

მოგწონს მოყვასი საგმირ-სალომე,
სიტყვა გიზიდავს მხნე და ფრთამალი,
ხვალ თუ თელავში ფიცს სდებს სალომე,
აქ შენ ჩვენთვის ხარ მეფეც, თამარიც.

ნინა გაბუნიას

(ხსოვნის წიგნიდან №7)

შენ გული გქონდა დიდი და თბილი,
სახეზე ღიმი დაგთამაშებდა,
უხვად გაიღე შენ შენი წვლილი...
ყველას უყვარდი, ყველა გაქებდა.

რამდენიმე ლექსი ხალხური მედიცინის მეთოდებით მკურნალ ქალ–ბატონ ხათუნა ავაზნელს, იგივე ხათოს, იგივე კუსკუსას (დაბადების და ქალთა დღეებისა თუ საახალწლო საზეიმო დღეების აღსანიშნავად).

ხათუნას

დედაცა ხარ, სიდედრიც ხარ,
მეუღლეც და ბებიაც,
სნეულების გადარჩენა
ვფიქრობ — შენი ბედია?!

კარგად ვიცი ყოფამ თარსმა
რთული გზებით გატარა,
უფრთხილდები სხვასაც, თავსაც,
ჰგავხარ გოგოს პატარას.

ხმები მომდის — არჩენ ზღვა ხალხს
ყვავილ–ფოთლის ნაწურით,
ვერ გავიგე: ვინ ხარ, რა ხარ,
ქალი ხარ, თუ ქალწული.

ხათ–ხათუნას

(კუსკუსას)

გავლილი აქვს გაჭირვების გზა და ველი,
ბრწყინავს, დახტის, ცქმუტავს, როგორც სინდიყი,
ცხოვრებისგან ის შეღავათს არსით ელის,
თავს იმკვიდრებს შრომითა და სინდისით.

უფრთხილდება ქალურ ეშხს და ქალურ კდემას,
„ფორმაშია“ მუდამ, რგორც სპორტსმენი,
მის შეხედვას სიძვის თვალით ვერვინ ბედავს...
გულით ხარობს კარგი ამბის მოსმენით.

მასთან ყოფნა გახალისებს, გმატებს იმედს,
გიმსუბუქებს დარდით ნაკვებ წამებას,
ის საკუთარ ჭირ–ვარამზე ხმას არ იღებს
და რუდუნით ცდილობს შენის გაგებას.

კრუხის დარად დასტრიალებს თავის ოჯახს,
ვინ გაბედავს — მას ბებია უწოდოს,
წიწკვ გოგოებს ის აჯობებს, სამსაც, ოთხსაც,
თავის შარმსაც საკმარისად უთმობს დროს.

მის საუბარს სამეგობრო ფერი ახლავს,
არ კადრულობს ცუდი რამ თქვას ზურგსუკან,
დაეკითხეთ მის ნაცნობებს ძველს და ახალს,
მოფერებით რომ შეარქვეს კუსკუსა.

ხათოს

ყოფამ გატარა ხევ–ხევ, რიყეთი,
მაგრამ ყოველთვის იდექი ფეხზე,
მწველი სითბოთი, უშრეტ სიკეთით
ვერ შეგედრება ვერცრა და ვერც მზე.

უღალავ შრომით ნდომას იპკურებ,
მჯერა არა ხარ ნაკლები სხვაზე,
შენ რომ შეგხვდები, შენ რომ გიყურებ,
თავი მგონია მეშვიდე ცაზე.

არ მოგკლებოდეს თითების სითბო
და მალამომაც ქუხოს სახელი...
ყოველ ნახვისას ვჭოჭმანებ — თითქოს
ბოლომდე ვერ ვთქვი ჩუმად სათქმელი.

დაე, გფარავდეს ღმერთი მაღალი,
გზას გინათებდეს უქრობი შუქი,
მწამს, რომ ჩამიდგი სული ახალი...
გვერდში მიგულე — დაგჭირდე თუ კი.

ქალბატონ ხათუნას

ხალასია, როგორც წყარო ანკარა,
პირდაპირი, როგორც მშვილდის ისარი,
მის საქებად ერთი ლექსი არ კმარა,
წიწკვ გოგოს ჰგავს, ნეტავი რა ხნის არის?!

განუკურნავს ბევრი გაჭირვებული,
შვება მისცა მრავალს, დიდს თუ პატარას,
მადლის თესვით სახელი აქვს ქებული,
ბედმა მაინც რთული გზებით ატარა.

მტლად ედება უბირსა და ობლადმყოფს,
გასამრჯელო არარა სურს იმათი,
მეც მომხედა, მალამო არ მომაკლო,
შემიცვალა სახის იერ-სიფათი.

ამიყოლა და მის ნათქვამს მივყვები,
შემაჯავრა ყველა ფერის ჰალსტუხი,
იღიმის და ამბობს ჩუმი სიტყვებით:
„ძოიშორე დაგრეხილი მარწუხი“!

შემაჩვია ყავის უხვად მიღებას,
თვეში შევსვი, რაც წლობით არ მისვია,
ღმერთმა მოგცეს დოვლათი და დიდება,
მსურს გახსოვდეს, რომ გაქვს დიდი მისია.

ხათო მაგარია

ლხინია თუ გაჭირვება,
დარია თუ ავდარია,
ის არასდროს არ ნებდება — ხათო მაგარია!

თუ მეგობარს რამე უჭირს,
მიხმარების ლამპარია,
არასდროს ცნობს ცრუს და უღირსს — ხათო მაგარია!

ვაჟკაცურად გიდგას გვერდით
და ოჯახიც აბარია,
ცხოვრების ტვირთს ზიდავს მხრებით — ხათო მაგარია!

წიწკვია თუ ქალბატონი,
მისი მსგავსნი სად არიან?!
და შევძახოთ მაღალ ტონით — ხათო მაგარია!!!



ლეგენდები

გრემის ციხესთან

ღამდება... გრემის ციხე-ქალაქთან
(სადაც ინწოპა აბღავლებს ტალღებს),
ქართველთ ლაშქარი დადგა ბანაკად,
ვახშამი მოაქვთ ქალებს და ბალღებს.

სისხლისღვრით მოდის მტერი მზაკვარი,
ბრძოლა მოელით დაუნდობელი, —
ხვალ დაობლდება ბევრი სახლ-კარი
და ატირდება ბევრი მშობელი.

წინამძღოლები დასხდნენ თათბირად,
მიიღეს ფიცი, დასახეს გეგმა,
(მტერი ვერ დასძლევს დამხვდურთ ადვილად,
თუ არ უმტყუნა ქართველებს ხედმა).

აქა-იქ ცეცხლი შეუნთეს ქვაბებს,
სადღაც ფანდურიც აჟღერდა ტკბილად,
მერე დაღამდა, გამოჩნდა მთვარეც
და მებრძოლები განეწყვნენ ძილად.

მიყუჩდა ირგვლივ ყველა ხმამოქმელი,
სოფლიდან ძაღლის არ ისმის ყეფაც,
ჩამოიღვენთა თაფლის სანთელი,
გარინდებულა მებრძოლთა წყებაც.

თუმცა იქ, ბნელში, ყვავილთა ზღვაში,
თურმე არ სძინავთ, ფხიზლობენ წყვილად,
აბჯარასხმული მებრძოლი ვაჟი
გოგოს თითებზე შეეხო ფრთხილად:



„ჩემო ხატებავ — ჟამი მოვიდა
(პასუხს მოველი რამდენი ხანი)
ახლავე გახდე ჩემი ცოლი და
მერე ყველაფერს გავარდეს ჯანი.

ნუ მიმატოვებ ხვალისთვის ცალად,
ხოცვა იქნება, კვლა საშინელი,
შენი თანხმობით შემმატე ძალა,
იქნებ არ გავხდე დასატირელი“.

გოგომ პასუხი დააგვიანა,
თავის სათქმელი არა თქვა უცბად,
მერე კი ნაზად გაეხმიანა
და გამომწვევი ღიმილით უთხრა:

„აი, იმ კლდეზე (თუკი მას დაძლევ),
ცას რომ აწვება ისე, ვით სოლი,
ამიყვანე და პირობას გაძლევ,
იქვე გავხდები მე შენი ცოლი“.

ვაჟიც ვეღარა მალავდა ღიმილს,
ზურგზე შეისვა ძვირფასი განძი,
ძნელსაცალფეხოს აუყვა ბილიკს,
არაფრად თვლიდა ასასვლელ მანძილს.

გადაეყვლიფა მუხლისთავები,
ხელისგულებზეც დაასკდა ტყავი,
გოგოს გაეხსნა გულის კარები
(შორს, მთის გადაღმა ჩხაოდა ყვავი).

შემოხვეოდა განძი კისერზე,
გოგოს ძუძუებს გრძნობდა სიამით,
და აი, შედგა ფეხი კლდის წვერზე,
შემოეგება გრილი ნიავი.

შედგა ფეხი და ოდნავ შეყოვნდა
(თითქოს მოცელეს გალესილ ცულით),
მეხნაცემივით მძლავრად შეტოკდა
და მუხლჩაკეცილს გაუსკდა გული.

გოგოს კივილმა შედრიკა მთები,
ექომ ხეობა გააპო ზარით,
ჩამოსწეწოდა გიშერი თმები,
ცრემლები წასკდა ნიაღვრის დარი.

მისთვის საწუთრო უმალ დაიქცა
(ჩალად უღირდა სიცოცხლე განა?)
მძლავრი დაქნევით გულში ჩაიცა
ვაჟის ნაქონი ორპირი დანა.

ცა გაფერმკრთალდა. ცისკრის ვარსკვლავმა
მზეს უწინამძღვრა, აუბა მხარი,
მტერს შეუტია ქართველთ ლაშქარმა
ორით ნაკლები ხმლითა და ფარით.



სამგორი

სამგორის ველზე სამი გორაკი,
გაქვავებულა რიგში სწორებით,
ორი მათგანი ერთურთთან ახლოს,
ხოლო მესამე დგას მოშორებით.

ერთ სოფელში (წარსულში,
იესომდე ჯერ კიდევ),
იზრდებოდა ორი ძმა,
გვარის ორი მემკვიდრე.
უდარდელი ბავშვობა,
ხტუნვა–ხტუნვით გალიეს,
ჯოხის ცხენებს „კაზმავდნენ“,
წნავდნენ ჩიტის გალიებს.
მალე წამოიზარდნენ,
დაგვითა და ჯახირით,
სოფლელებმა იმედით,
ჩააბარეს ნახირი.
და მას შემდეგ ხალისით,
დილით ადრე დგებოდნენ,
მზის ამოსვლას ხან გზაში,
ხან მინდორში ხვდებოდნენ.
შრომაში ეძიებდნენ
უპოვნელს თუ საპოვნელს,
საღამოს მორეკავდნენ
ცურდაბერილ საქონელს.
ერთი ძროხა უყვარდათ,
სხვებზე უფრო ძალიან,
არ აკლებდნენ საცოხნელს,
კუდჭრელსა და ხალიანს.



ხალიანის პატრონებს,
ჰყავდათ ტურფა ასული,
თვალს არ ენახებოდა
ბოროტის და ავსულის.
თვალჟუჟუნა, ტიკტიკა,
სანატრელი მეზობლად,
მას ირჩევდნენ ტოლები,
დაქალად და მეგობრად.
საქმეც კარგი ევალა
(არც ძნელი, არც ადვილი),
შუადღისთვის წაეღო
მწყემს ბიჭებთან სადილი.
მონდომებით აწყობდა,
ორცხობილს თუ სეფისკვერს,
ბილიკს დაადგებოდა,
გაშლილ საძოვრებისკენ.
მოუთმელად ელოდნენ,
ძმები ნაცნობ კალათას,
ყუათიან შეჭამანდს,
ჭყინტ ყველსა და სალათას.
დამშეულებს, დაღლილებს,
(მწყემსობაში ქებულებს),
გოგო ავიწყდებოდათ
ჭამით გატაცებულებს.
წლები იფურცლებოდნენ,
როგორც წიგნის გვერდები,
ღინღლი წამოეზარდათ,
დაებერათ მკერდები.
რაღაც ახალ შეგრძნებამ,
აუძგერათ გულები,



უცხო ძალა შეიცნეს,
მინდვრის თაიგულების.
გაუცხოვდნენ, გაყუჩდნენ,
თავისუფლად შობილნი,
მოერიათ ნაღველი,
გახდნენ გულჩათხრობილნი.
სადილს აღარ ჩიოდნენ,
არც ახსოვდათ საჭმელი,
ყელში გაჩხერილიყო,
დაგროვილი სათქმელი.
ნერვიული თითებით
იგლიჯავდნენ კილიტებს,
სულ სხვა თვალით უმზრდნენ,
მათკენ მავალ ბილიკებს.
ერთ დღეს, როცა გოგონამ
ჩრდილში სუფრა გაშალა
(აბრეშუმი ემოსა,
მანდილად და თავშალად).
ეუცხოვა ბიჭების
სახემოღრეჯილობა,
თუმცა კარგა ხანია
ამჩნევს გულის ჭრილობას.
მიხვდა, რაც აწუხებდათ
(ჩხვლეტდა ხანჯლის წვერივით),
ენდო ქალურ გუმანს და
გაინაბა მწყერივით.
ირგვლივ თითქოს დამუნჯდა
ყველაფერი, ყოველი,
არ ისმოდა ხორხორიც
ფრინველის თუ ცხოველის.

სიჩუმეში აივსო
მოთმინების ფიალა,
„ბორბალი“ კი საწუთრომ
ისევ დაატრიალა.
და უფროსი ძმის ბაგეს
სიტყვა მოსწყდა წვალებით
(სათქმელს მძიმედ ამბობდა
ძირს დახრილი თვალებით):
„ჩვენ ორივეს გვიყვარხარ,
ტყვედ ვიქეცით ფიქრების,
გადაწყვიტე, გვითხარი,
ვისი ცოლი იქნები“.
ააღელვა გოგონა,
სიტყვის პირდაპირობამ
და ჩვეული ალერსით,
შესთავაზა პირობა:
„მეც მიყვარხართ ორივე,
ვერ გაგარჩევთ ვერა გზით
(რომ არ ვიყო თქვენს მიმართ,
მაცდური და ვერაგი),
ჩემი სიტყვაც ისმინეთ,
სიტყვა სამართლიანი,
მინდვრის შუა დავდგები
თქვენით თვალცრემლიანი.
წადით ორივე მხარეს,
ჩემგან ტოლი მანძილით,
მერე გამოიქეცით,
ნიშანს მოგცემთ მანდილით.
უმძიმეს და დამტანჯველ
ფიქრებს ნუღა აჰყვებით,
ვინც პირველი მოირბენს,
ცოლადაც მას გავყვები“.

ალბათ, ძნელი არ არის,
მიხვდეს ამის მკითხველი,
რა სისწრაფით მიჰქროდნენ,
ძმები ბედის მტვირთველნი.
მიწას მტვერი ავარდა,
დაფრთხა წვრილი ფრინველი,
გოგოს კითხვა აწუხებს:
„ვინ იქნება პირველი“?
უფრო სწრაფად, ფეხმარჯვედ,
ჰქროდა მწყემსი პატარა
(შესძლებდა კი ბოლომდე
მძიმე ლელოს გატანას?)
ფოცხვერივით მირბოდა,
კისერმოღერებული,
ქალაქნები ეცვა ფეხთ
ვარაყშემოვლებული.
სულ უფრო მოკლდებოდა
გასარბენი სიშორე
(გოგო მტანჯველ შეკითხვას
ვერა და ვერ იშორებს).
რა ნახა, რომ უფროსი
მარცხდებოდა ადვილად,
ნაბიჯ–ნაბიჯ თანდათან
მისკენ გადაადგილდა.
ჩანდა მომეტებულად
ის უყვარდა გოგონას
(სიყვარულის საღ ფესვებს
შეეპარა გონგოლა).
პატარა ძმა გაოცდა,
შესძრა თვალით ნანახმა
(ცოლად ჰყავდეს „ტიკტიკა“,
იქნება კი თანახმა?).



მოიკრიბა ძალები,
სძლია ბოღმას გაჩენილს,
შეუტია სიფიცხით
მანძილს ჯერაც დარჩენილს.
მაგრამ რას გახდებოდა
(ველი ექცა ჭიუხად),
გოგო უფროს ძმისაკენ
ინაცვლებდა ჯიუტად.
ღალატობდა ქალწული,
შეამჩნია პატარამ
(მოწმედ ჰყავდა ღმერთი და
მზე კაშკაშა, თაკარა),
ზე აღაპყრო ხელები,
ღმერთს აახლა მუდარა
(არ იკადრა, არ სცადა,
სიბილწე და მუქარა):
„გაგვაქვავე ადგილზე,
ჩაგვიფერფლე საცეცხლე,
ჩირის ფასი აღარ აქვს
ამა სოფლად სიცოცხლეს“.
მოისმინა უფალმა
შევედრება სულისა,
აღუსრულა უმცროს ძმას
თხოვნა განწირულისა.

სამგორის ველზე სამი გორაკი
გაქვავებულა რიგში სწორებით,
ორი მათგანი ერთურთთან ახლოს,
ხოლო მესამე დგას მოშორებით.

სარჩევი

წინათქმა ---------- 4
* * * (ქალის ხატს გულით ვატარებ) ---------- 6
სალაღობო ---------- 6
საბედისწერო როლი ---------- 6
გაიმეტე კოცნა ---------- 7
ჯანდაბისკენ გზა ჰქონია! ---------- 7
სენტიმენტალურ ნოტაზე ---------- 8
ტყეში ---------- 8
გელი ---------- 10
* * * (ვიღაცამ თქვა) ---------- 11
ხაბაზი ---------- 11
დედა ---------- 13
სხვას ნუ შემადრი ---------- 14
პაემანი თუ? ---------- 14
მეუღლეს ---------- 16
ბიჭავ ---------- 16
* * * (მგონი ვიყავი წლისა თექვსმეტის) ---------- 17
* * * (ტანწერწეტა, ქორფა ლიზას) ---------- 17
* * * გაემგზავრა მაროკოში ---------- 17
კურტიზანი ---------- 19
მამაკაცებს ---------- 20
* * * იები, კვირტები, სიო და სურნელი ---------- 20
სანატრელი გაგვხდომია კაბიანი ქალი ---------- 21
კნეინა ---------- 21
გზაზე ---------- 23
ვნება სიჭაბუკისა ---------- 23
* * * (ვიწრო ქუჩით მინარნარებს) ---------- 24

არ დამიმალო... ---------- 24
ხმა იმქვეყნიდან ---------- 25
გაღვიძებული იმედი ---------- 25
სამაია (წმინდა ნინო, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი) --------- 26
დალალები ---------- 27
რას იტყვის მეზობლის გოგო ---------- 27
ცეცხლივით მწველი იყავი მაშინ ---------- 29
პოლარიზაცია ---------- 30
ნატვრის მორევში ---------- 30
წითელლოყება კახელო გოგოვ! ---------- 31
უსიყვარულოდ სიცოცხლე არ ღირს ---------- 31
ნუ დამივიწყებ ---------- 33
დაგეძებდი სიბნელეში ---------- 33
უშენობა მაწუხებს ---------- 34
იავარღა შემორჩები... ---------- 35
ბიჭავ, მალხაზო ---------- 35
ბიჭო, სად დამეკარგე ---------- 37
აღარ ჩავქრები ---------- 37
დაგვიანებული სინანული ---------- 38
მედიცინის და ---------- 39
* * * (მხიბლავს შენი მიხვრა-მოხვრა) ---------- 40
ერთი კოცნა ---------- 42
რჩევა ქმარმიტოვებულს ---------- 42
გულნატკენის გულისტკივილი ---------- 43
სირცხვილი მას, ვინც სიყვარულს მალავს ---------- 43
საიდუმლო ---------- 44
ჩემო ---------- 44
ჯერ კიდევ... ---------- 45

* * * (წყალი მიართვა მამამთილს) ---------- 45
* * * (დღეს უნაკლოა ფაცია) ---------- 45
* * * (რომ წახვედი – წვიმა ცრიდა) ---------- 47
ქალი ---------- 47
გული არ ბერდება ---------- 48
* * * (გზას დავადექი ყოფის კარნახით) ---------- 49
გაგონილ-გამოგონილი ---------- 50
* * * (მივდიოდი ტურბაზაში) ---------- 52
გრაცია ---------- 52
სინათლე და ჩრდილი ---------- 52
მჭედელი ---------- 52
მეორე კლასი ---------- 53
თელავის მატარებელში ---------- 53
ავიასალაროსთან ---------- 53
ბოლოკისფერი ---------- 54
რატომ არ კვდება? ---------- 55
ხურდა ---------- 55
სიყვარულის დამტკიცება ---------- 56
რატომ დააგვიანა ---------- 58
უცნაური ---------- 59
მეორე ოპერაცია ---------- 59
ჯიუტი ნინო ---------- 60
მოდური ვარცხნილობა და ჩვევა ---------- 61
ბუნების დიალექტიკა ---------- 62
უცნობი ნაცნობი ---------- 66
გრძელი ფეხები ---------- 70
გამოგლეჯილი წინდიდან ბრილიანტამდე ---------- 71
ალერგიული დიაცი ---------- 73

თამაშობანა ---------- 77
ვიტრინის იქით ---------- 78
მოკრივის და ---------- 80
ჩინურ რესტორანში ---------- 87
კიეველი სტუმარი ---------- 94
ყიამყრალი ვიგინდარა ---------- 100
ყველის გადამყიდველი ---------- 104
მარაო ---------- 107
ზედმეტი ხურდა ---------- 109
* * * (შრიალებენ, ჩურჩულებენ ტირიფები) ---------- 113
ქალო! ---------- 113
სად ყური და სად ასო ---------- 113
თბილისის ცირკთან ---------- 115
* * * (არა მსურს მათი გაგება) ---------- 116
გუშინ, დღეს, ხვალ ---------- 116
* * * (ჩავარდნილი ვარ ცხელ დღეში) ---------- 116
მიძღვნილი ლექსები ---------- 117
ირინე ვარძიგულოვას ---------- 118
* * * (მეორე ვაჟიშვილის ქორწილში) ---------- 118
* * * (ანას უყვარს...) ---------- 118
ანას ---------- 119
ხანდაზმულ მანდილოსანს ხანდაზმული მამაკაცისგან --------- 119
მარიამ ტლაშაძე-ლომინაშვილს ---------- 120
სოფიკო მექვაბიშვილს ---------- 120
ირინეს ---------- 121
ნანიკოს ---------- 122
ნანა კვარიანთაშვილს ---------- 123
თათია ნადირაშვილს ---------- 123

გვანცა გვერდწითელს ---------- 124
მერი ჭიღლაძეს ---------- 124
ეკა ფილაურს ---------- 124
თეკლას და მარიამს ---------- 124
ნანა სულეიმანიშვილს ---------- 125
ოლღა ბიჩინაშვილს ---------- 125
ნინო ამბროლაძეს ---------- 125
ნინო ამბროლაძეს ---------- 126
ნონა პაიჭაძეს ---------- 126
ოლიკოს ---------- 127
ოლიკოს (დაბადების დღისთვის) ---------- 127
ნანა ბოტკოველს ---------- 128
მერი მარწყვიშვილს ---------- 128
ნინა გაბუნიას ---------- 128
ხათუნას ---------- 129
ხათ-ხათუნას ---------- 130
ხათოს ---------- 131
ქალბატონ ხათუნას ---------- 131
ხათო მაგარია ---------- 132
ლეგენდები ---------- 133
გრემის ციხესთან ---------- 134
სამგორი ---------- 140

წიგნის გარეკანზე:

წინ – თამარ გოცირიძე (მაღლა)
და თამარ ციციშვილი.

უკან – ირინე (მარცხნივ) და
ანა ჭანკოტაძეები;

მერაბ ბერძენიშვილის ნამუშევარი „კიდევაც დაიზრდებიან“.